619
1971




# დროშა

№ 9 სექტემბერი 1971

# ქართლის მინდვრებსა და ფერმებში



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო
თარხან არჩვაძისა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (418) სექტემბერი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ჩვენს წინაშე ძალიან მწვავედ დგას სოფლის მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაც, როგორიც არის მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. კვების ყველაზე ძვირფასი პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის, მათზე საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ახალ ხუთწლედში დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათ წინ ამ დარგში. აქაც საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვების უფრო სრული მობილიზაცია.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შევამციროთ პირუტყვის გაწყდომა ავადმყოფობისა და ცუდი მოვლის შედეგად. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ფერმების მშენებლობისა და მექანიზაციისათვის, სასელექციო-საჯიშთსაშენო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სახორცე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის.

**ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან სკკპ XXIV ყრილობაზე.**




# ქარელის მინდვრებსა და ფერმებში

## ცხარე დღეები

მკათათვის ბოლო დღეებია. მინდორს მზე დილიდანვე აყრის მცხუნვარე სხივებს. კაცს ეგონება დაიწვა და დაიბუგა ყველაფერიო, მაგრამ არა! ქარელის ველ-მინდვრებზე სიცოცხლე ხარობს, მიწას შეჭიდებული ადამიანის მარჯვენას მტკვარიც წამოშველებია და ღელავენ ქართლის ბაღები. თვალს ახარებს სიმინდის მოხასხასე ყანები, დაბლა დაუხრიათ ნაყოფით დაყურსული ტოტები ვაშლისა თუ ატმის ხეებს, გულს ახალისებენ კარგად და ფაქიზად მოვლილი ბოსტნები.

წლის ყველა დროს ხალხმრავალია რაიონის ცენტრის — დაბა ქარელის ქუჩები. ახლა კი აქ იშვიათად დალანდავ ადამიანებს.

ჯერ ისევ დილაა. დაბის ცენტრში კი არავინ ჩანს, მინდორშია დიდი თუ პატარა. ქუდზე კაცი გასულა, ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს იღებენ. ამიტომ აქ, დაბაში სიჩუმეა, მინდორი კი აბობოქრებულია, ყანების ოქროსფერ ზღვაში ლაღად მიმოდიან კომბაინები. მართლაც ზღვასავით მოსავალი მოუყვანიათ აქაურ მხვნელ-მთესველებს — გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად თვითეული ჰექტარიდან 20 ცენტნერ ხორბალს ღებულობენ.

პარტიის რაიკომშიც არავინ დაგვიხვდა, შოთა მახარობლიძეს, რაიკომის პირველ მდივანს, სადღაც, შუა გზაში წამოვეწიეთ. ახლა დინჯი საუბრისათვის მას არა სცალიან, მაინც ყოველ ჩვენს კითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევა.

— წლების მანძილზე სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა მეცხოველეობა, ფერმებში მოშლილი იყო შრომის ორგანიზაცია, უყაირათოდ იხარჯებოდა საკვები, — გვიყვება მდივანი, — არ იყო მტკიცე კონტროლი მიღებული პროდუქტების აღრიცხვაზე, ადგილებზე ნაკლებად ზრუნავდნენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზე.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობამ ახალი ამოცანები დაუსახა სოციალისტურ მეცხოველეობას; ამის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კონკრეტული და საქმიანი მითითებები მოგვცა. ჩვენც მტკიცედ გადავწყვიტეთ გულდასმით შეგვესწავლა და აღგვეკვეთა ჩამორჩენის მიზეზები, — განაგრძობს შოთა, — ავამოქმედეთ ყველა რეზერვი, მთავარი ყურადღება დავუთმეთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, მეცხოველეთა შრომისა და დასვენების, მათი მატერიალური დაინტერესებისა და წახალისების საქმეს.

— დავიწყეთ იმით, რომ ჩამორჩენილ ფერმებში სპეციალური კომისიები გავგზავნეთ. ალაგ-ალაგ ძალზე ცუდი ამბების მოწმენიც გავხდით. ასე, მაგალითად, სოფელ მოხის კოლმეურნეობაში, სადაც ფრინველი ბინით, საკვებითა და მომვლელი პერსონალით უზრუნველყოფილია, გასულ წელს 58.000 ცალის ნაცვლად მხოლოდ 15.000 ცალი კვერცხი მიიღეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფერმის გამგე თვალს უხვევდა ყველას — როცა კვერცხის აკრეფის დრო მოვიდოდა, მომვლელ ქალებს შინ გაუშვებდა და თვითონ აგროვებდა კვერცხს. არავინ იყო იმის აღმრიცხველი, თუ დღეში რამდენი კვერცხი მოგროვდა. იქ მომუშავე კომუნისტებიც უდარდელობას იჩენდნენ. როცა კომისიამ კვერცხის საკონტროლო აკრეფა მოაწყო, ხუთჯერ მეტი კვერცხი შეგროვდა. აი სადამდე მიიყვანა საქმე უკონტროლობამ და უდარდელობამ.

— ახლა კი უკვე შევძელით გარდატეხისათვის მიგვეღწია და საქმე წინ წაგვეყვანა. ეს გამოიწვია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ მოვლენების ღრმა ანალიზმა, საქმეში ჩაწვდომამ. ეს რომ ლიტონი სიტყვა არ გეგონოთ, ორიოდე ციფრს დაგისახელებთ: წელს სახელმწიფოს 2.480 ცენტნერი ხორცი უნდა მივყიდოთ; გასული 6 თვის გეგმა 180 პროცენტით შევასრულეთ. 10.088 ცენტნერი რძე გავუგზავნეთ ყველ-კარაქის ქარხნებს, თუმცა 6 თვეში 7.110 ცენტნერი უნდა დაგვემზადებინა; ამასთან, ფურების იმავე რაოდენობაზე, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 186 ტონით მეტი რძე მოვწველეთ. კვერცხის დამზადების ნახევარწლიური გეგმა 216, ხოლო წლიური გეგმა 108 პროცენტით შევასრულეთ, წლის ბოლომდე სახელმწიფოს კიდევ 400.000 ცალ კვერცხს მივყიდით.

— ხოლო რაც მინდორში ხდება, თქვენი თვალით ხედავთ. მოსავალს არ ვემდურით, საშუალოდ 20 ცენტნერს ვღებულობთ. ნაკვეთებიდან ნამჯა მკის პარალელურად გამოგვაქვს. ნაწვერალს თანმიყოლებით ვხნავთ... ნამჯას ცხრა ათას ტონაზე მეტს დავამზადებთ, ხოლო თივას ცამეტი ათას ტონას. საკვებმომპოვებლებს მეურნეობათა კომკავშირული და უფროსი კლასების მოსწავლეთა ბრიგადები ამოუდგნენ მხარში. ეგენი დიდ საქმეს გვიკეთებენ. სანაწვერალო ნათესების რწყვაზეც მოსწავლეები გვეხმარებიან. მათთან ვალში არ დავრჩებით, წავახალისებთ, შრომას დავუფასებთ.

გზა ხეხილის ბაღებს მისდევდა და მახარობლიძემაც ახლა მასზე დაიწყო ლაპარაკი.

## საპატიო სტუმრები ფერმაში

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან საიუბილეო ზეიმზე ჩვენს რესპუბლიკას აუარებელი სტუმრები ეწვივნენ. მოძმე ბელორუსი ხალხის დელეგაციაში, რომელსაც ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი პეტრე მაშეროვი ხელმძღვანელობდა, შედიოდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, სამამულო ომის დროს ბელორუსიაში პარტიზანული მოძრაობის ვეტერანი ივანე შუბითიძე. ზეიმის შემდეგ ბელორუსიიდან ჩამოსული სტუმრები ქართლელებმა მიიწვიეს.

კეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში.



71599

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სტუმრები გაეცვნენ რაიონის მეურნეობებს, ამხანაგი მაშეროვი კმაყოფილი დარჩა.

— კარგი სამშობლო გქონია, ივანე, — უთხრა მან შუბითიძეს, — ამ ხალხის შვილი სწორედ შენსავით მამაცი უნდა ყოფილიყო...

ერთ ფერმაში ამხანაგმა მაშეროვმა რძის წველადობა იკითხა და როცა უთხრეს წლიური წველადობა 900-1000 ლიტრს არ აღემატებაო, თავი გააქნია, ასეთი ძროხების შენახვა არ ღირსო.

— ასეთ პირუტყვს მალე გამოვიყვანთ მეურნეობიდან, — უპასუხა შოთა მახარობლიძემ, — ახლა ძირითად ყურადღებას ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას ვუთმობთ. ჯიშიანი პირუტყვი გვინდა შემოვიყვანოთ.

— შემოყვანილი ჯიშებიდან რომელი უფრო კარგად ეგუება აქაურ პირობებს? — იკითხა სტუმარმა.

—შვიცის ჯიში, ლებედინიც. მხოლოდ ველის წითელი ჯიშის პირუტყვი ვერ იტანს აქაურ კლიმატს.

— კეთილი, რახან ასეა, დავეხმაროთ, ივანე! — უთხრა ამხანაგმა მაშეროვმა შუბითიძეს და შემდეგ მასპინძლებს მიუბრუნდა: — იცით თუ არა მეგობრებო, რაოდენ დიდი ამაგი დასდო თქვენმა თანამემამულემ ბელორუსიის მიწა-წყლის განთავისუფლების საქმეს. ჩვენ დიდად ვაფასებთ მის ღვაწლს.

და ცოტა ხანს შემდეგ დაუმატა:

— ფონდის გარეშე გამოგიყოფთ 1000 სულ სანაშენო მოზარდს. როცა გინდოდეთ, შემატყობინეთ.

ქარელის მშრომელები ბელორუსიიდან წელს შემოიყვანენ ჯიშიან სანაშენო პირუტყვს. ამისათვის უკვე ამზადებენ ბაკებსა და სადგომებს.

## ერთი ქუდის ამბავი

ქარელის კოლმეურნეობის კანტორაში მხოლოდ ერთი მოხუცი კაცი დაგვიხვდა. ახალგაზრდა თავმჯდომარე გურამ ბრეგვაძე მინდორში წასულიყო. სანამ რაიკომის მდივანი და მოხუცი კოლმეურნე საუბრობდნენ, ჩემი ყურადღება საკიდზე ჩამოკიდებულმა ქუდმა მიიპყრო. ვიფიქრე, ალბათ ზამთარში იხურავს ამ ქუდს თავმჯდომარე, ახლა კი უქუდოდ დადის-მეთქი.

მოხუცი თითქოს მიმიხვდა, მომიბრუნდა და მითხრა:

— ჩვენი კოლმეურნეობა ძალიან ჩამორჩენილი იყო, ვშრომობდით და სახლში კი არაფერი შეგვქონდა. და აი, ოცდაათიათასელები რომ გაიწვიეს სოფლად, მაშინ გამოგზავნეს ჩვენთან ხვთისო რაზმაძე. მოვიდა ის დალოცვილი და სული ჩაუდგა აქაურობას, კაცური კაცი იყო და საქმეც ემარჯვებოდა.

მას მერე ჩვენს კოლმეურნეობას მთავრობაც ემადლიერებოდა და ხალხიც.

ერთ საღამოს მინდვრიდან მოვიდა ჩვენი თავმჯდომარე, ქუდი აი მაგ კაჩოზე ჩამოკიდა და ცოტახნის შემდეგ გარეთ გავიდა. გავიდა, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. მოულოდნელად წამოეწია ტიალი სიკვდილი. მას შემდეგ ორ წელიწადზე მეტმა გაიარა, მაგრამ მისი ქუდი აქვე ჰკიდია.

ახალი თავმჯდომარე ამბობს, — როცა რამე გამიჭირდება, მაგ ქუდს შევხედავ ხოლმე და მხნეობა მემატებაო. გამახსენდება ხოლმე როგორ აუღელვებლად ხვდებოდა ხვთისო ყველა გასაჭირს და როგორ აუჩქარებლად იცოდა საკითხის სწორად გადაწყვეტაო.

ასეა, ხალხი მუდამ აფასებს თავის მოამაგეს.

— ორ წელიწადზე მეტმა გაიარა, მაგრამ მისი ქუდი აქვე ჰკიდია (გურამ ბრეგვაძე და უშანგი მეყანწიშვილი).



ც. მალალდაძე (მეკურდღლეობის ფერმის მუშა).





ნარკვევის დაბეჭდვა ვერ მოვასწარით, რომ ჯიშიანი პირუტყვის ჩამოყვანა უკვე დაიწყო.

## კომუნისტებო, წინ!

ბრეძის საბჭოთა მეურნეობაში შრომის ნამდვილი ზეიმია. ოფლში იწურებიან ხარაჩოებზე მდგომი ოსტატები, საცაა დაამთავრებენ ტიპიური საძროხის მშენებლობას 200 ფურისათვის.

საძროხე ჯერ მზად არ არის, მაგრამ საკვებმომპოებლებს წლიური გეგმით გათვალისწინებული 99 ტონის ნაცვლად 270 ტონა თივა უკვე მოუტანიათ და ზვინებად დაუდგამთ.

— გვაცადეთ კაცო, სული მოგვათქმევინეთ, — ბრაზობენ ხელოსნები, — გავიტანოთ აქედან ჩვენი ხარა-ხურა და მერე გინდა თივა დადგით და გინდა ქვა დაყარეთ.

— ეგ თივა საჩრდილობლად დაგიდგით, ოსტატებო, მაშა, — შეეპასუხა ხანდაზმული გლეხკაცი ხელოსნებს, — ხვალიდან ნამჯასაც მოგართმევთ და მაშ აღარ წახვალთ აქედანა. კაცო, ხეკაკუნები ხომ არა ხართ, როდემდი უნდა აკაკუნოთ, ჰა?

1100 ჰექტარზეა გადაშლილი მეურნეობის პურის ყანები. ახლა აქ ჰექტარზე 20-23 ცენტნერ მარცვალს იღებენ. ეს ყანები კომუნისტმა მექანიზატორებმა — გიორგი მეყანწიშვილმა, ნოდარ შუბითიძემ, შოთა ცარციძემ, ნოდარ გულიკაშვილმა, ტარიელ ბირთველიშვილმა და არჩილ გელაშვილმა დათესეს. წლის მანძილზე მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს ნათესებს, ქიმიაც მოიშველიეს, გამოცდილებაც და ახლა შეჰხარიან კარგ მოსავალს.

ცხელა. ხანდახან ნიავიც ჩაიძინებს. ჰაერი არ იძვრის, ოფლის ნაკადით ლბება მაშვრალთა მკერდი, მაგრამ მიწაზე და ბუნებაზე გამარჯვებული მექანიზატორები აინუნშიაც არ აგდებენ პაპანება სიცხეს. შეუფერხებლად გუგუნებენ კომბაინები, ღამღამობით კი ტრაქტორებს ნაწვერალის ხვნაზეც ამუშავებენ.

მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ბეგლარ ძაბახიძე ხვავებზე მომუშავე მოსწავლე გოგონებს ესაუბრება. დაგვინახა თუ არა, ჩვენსკენ გამოსწია.

— ჩვენი სკოლის მოსწავლეები წელს ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ, — გვითხრა ბეგლარმა, — ახლა ნაწვერალს ისინი რწყავენ. ამასთან, მათი დახმარებით ჩვენმა საკვებმომპოებლებმა 99 ტონის ნაცვლად 295 ტონა თივა დაამზადეს, ახლა კი ნამჯის დაზვინვაზე მუშაობენ.

მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 116 კომუნისტია. ისინი ყველა უბანზე მოწინავენი არიან და პირადი შრომითი სიმამაცით მაგალითს უჩვენებენ მეურნეობის მუშებს, მთელი ენერგიის დაძაბვით იღწვიან იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც ჩვენს ხალხს დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეოთხე ყრილობამ.

მზისაგან სახეგარუჯული ადამიანები მოულლელი მარჯვენით ჰქმნიან მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ხვავსა და ბარაქას.

გიორგი გოჩიტაშვილი.
ქარელი — თბილისი. აგვისტო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომკავშირი

**ი. გამრეკელი**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, ამ ისტორიის ყოველი ფურცელი — აღსავსეა გმირობისა და მამაცობის წარმტაცი მაგალითებით. საქართველოს კომკავშირი მუდამ, თავისი არსებობის მთელ მანძილზე იყო და არის პარტიის ერთგული თანაშემწე; კომკავშირელები ყოველთვის ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ და არიან.

საქართველოს ახალგაზრდობა მუდამ მხარში ედგა მუშათა კლასსა და მოწინავე გლეხობას რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ყველა ეტაპზე.

1917 წლის სექტემბერში თბილისში დაარსდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტების ორგანიზაცია „სპარტაკი"; ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი ახალგაზრდობის ნამდვილი რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზაზე. მომდევნო ხანებში „სპარტაკის" ორგანიზაციები მოეფინა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს.

1919 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მიმდინარეობდა „სპარტაკის" თბილისის ორგანიზაციების პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელმაც დაამტკიცა წესდება, მიიღო „დეკლარაცია მუშა-ახალგაზრდობისადმი", გააერთიანა თბილისის ოთხივე რაიონის „სპარტაკის" ორგანიზაციები და აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი მგზნებარე ბოლშევიკის ბორის ძნელაძის მეთაურობით.

„სპარტაკის" თბილისის ორგანიზაციების პირველმა საერთო-საქალაქო კონფერენციამ გააფორმა კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი ორგანიზაცია თბილისსა და საქართველოში.

1920 წლის მაისში ჩამოყალიბდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა საქართველოს კომკავშირის ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყრილობის მოწვევამდე, ამ ყრილობისათვის საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციები უდიდესი პოლიტიკური აქტივობით ემზადებოდნენ. იქმნებოდა ახალი უჯრედები, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საგუბერნიო, საქალაქო, სამხარეო და რაიონული ორგანიზაციები. ყოველივე ამასთან ერთად საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები შეურიგებლად ებრძოდნენ მენშევიკების რეჟიმსა და უცხოეთის ინტერვენციას.

1920 წლის 25 აგვისტოს, მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, მუშაობას შეუდგა საქართველოს კომკავშირის პირველი „ლეგალური" ყრილობა. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის აგენტებმა აიძულეს ყრილობა ორი სხდომის შემდეგ მუშაობა დაემთავრებინა, მან მაინც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომკავშირის ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, ხოლო ამავე წლის 21 აგვისტოს მუშაობას შეუდგა საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებით საბჭოთა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე.

ყრილობამ გულდასმით განიხილა სოციალისტურ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის, ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხები. საქართველოს კომკავშირი აქტიურად შეუდგა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები აჩვენებდნენ შრომითი მამაცობის მაგალითებს ზაჰესისა და რიონჰესის მშენებლობებზე, პირველი ხუთწლედების სხვა მრავალ ობიექტებზე; ქართველი ახალგაზრდობა ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების განმტკიცებისათვის. კომკავშირელები იყვნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური შეჯიბრების წამომწყები და შრომის დამკვრელების მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი.

გმირობისა და მამაცობის ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს ქართველმა ახალგაზრდებმა დიდი სამამულო ომის მატიანეში. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა კომკავშირელთა განცხადებები ფრონტზე მოხალისედ გაგზავნის შესახებ.

ჩვენი პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითები გვიჩვენეს შოთა გამცემლიძემ, თინა იოსებიძემ, ჰიჰიკო ბენდელიანმა, ზოია რუხაძემ და მრავალმა სხვამ, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლების საქმეს. აღსანიშნავია, რომ 130-ზე მეტი ქართველი მეომრის მამაცობა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით აღინიშნა, ათასობით კომკავშირელი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საქართველოს კომკავშირმა ომის შემდგომ წლებშიც არა ერთხელ დაამტკიცა პარტიისა და ხალხის საქმისადმი თავდადება. დიდი ამაგი დასდო ქართველმა ახალგაზრდობამ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეს, ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

აგრძელებენ რა მამათა სახელოვან ტრადიციებს, სამოცდაათიანი წლების კომკავშირელები თავდადებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენი ახალგაზრდა მეჩაიეებისა და მეფოლადეების, მევენახეებისა და მებაღეების, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის სასახელო წარმატებები. დღითიდღე იზრდება მათი როლი ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე დამკვრელურად შრომობს 4 ათასზე მეტი კომკავშირული ახალგაზრდული საამქრო, ცვლა, უბანი, ბრიგადა და რგოლი, რომლებიც აერთიანებენ 40 ათასზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს. კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების რიცხვი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო წოდება, 1200-ს აღემატება.

თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირელები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს; ისინი აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ეძღვნება საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ორი ათასზე მეტი ქართველი ჭაბუკი და ქალიშვილი გაემგზავრა კომკავშირული საგზურით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ. სამი ათასზე მეტი ქართველი სტუდენტი თავდადებულად შრომობდა ყაზახეთის ყამირ მიწებზე.

დიდი შრომითი საჩუქრებით შეხვდა ჩვენი ახალგაზრდობა სკკპ XXIV ყრილობას. ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა ვადაზე ადრე შეასრულა მერვე ხუთწლედის დავალება და ყრილობის გახსნისათვის შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეთა წარმატებები, რომლებმაც ყრილობისათვის მზადების პერიოდში სახელმწიფოს ჩააბარეს 180 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 ტონისა.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში საქართველოს კომკავშირის იუბილესათვის მზადების პერიოდი აღინიშნა ახალი შრომითი აღმავლობით. ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახ. მაღაროს ახალგაზრდულმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მისცეს სამშობლოს ყოველ ცვლაში ორი ტონა ზეგეგმითი მადანი. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ივალდებულეს მიმდინარე წელს მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიის საფუძველზე გამოუშვან ერთი ზეგეგმითი ელმავალი. თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ივალდებულეს მიმდინარე წელს გაარემონტონ ზეგეგმით ორი ელმავალი.

დიდად ისახელა თავი სოფლის ახალგაზრდობამ. მარნეულის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ფართო მოძრაობა გაშალეს მეცხოველეობის ფერმების მთლიანი მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. გარდაბნის, წითელწყაროს, სიღნაღისა და სხვა რაიონების მეცხოველეობის ფერმების კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივებმა გამოაცხადეს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის კომკავშირული ორწლედი. გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიპშის" კომკავშირულმა ორგანიზაციამ ვალდებულება აიღო ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულოს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი ყურადღება, ზრუნვა და დახმარება, რომელსაც იჩენენ პარტიული ორგანიზაციები ჩვენი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მიმართ. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ ამ მხარდაჭერასა და დახმარებას, რომლებიც გვმატებს ძალასა და ენერგიას, კიდევ უფრო ამაღლებს კომკავშირული ორგანიზაციების აქტივობასა და პასუხისმგებლობას.

ჩვენი კომკავშირი სამართლიანად ამაყობს თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, რომლის ყოველი ეტაპი აღბეჭდილია სამშობლოსა და პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით.

# სიტყვა ჰქონდეთ კომკავშირელებს



## თამუშა გოგინავა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოწინავე მეჩაიე.**

მამა არ მახსოვს. იგი დაიღუპა სამამულო ომის ფრონტზე. დედამ ობლად დარჩენილ პატარებს ზრუნვა არ მოგვაკლო, თავიდანვე შეგვაყვარა შრომა; მეც და ჩემი დებიც ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობდით, როცა დედამ პლანტაციაში წაგვიყვანა და ჩაის კრეფა გვასწავლა.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩავებით შრომის ფერხულში. მუდამ უხვი მოსავალი მომყავდა, საბჭოთა საქართველოს საიუბილეო წელს 5.200 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელსაც გადიდებული ვალდებულებები ავიღე: გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამი 10 ივნისისათვის მოვკრიფე, ხოლო 5 აგვისტოსათვის ჩემს ანგარიშზე უკვე 5.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი იყო. სეზონის დასასრულამდე მოვკრიფე კიდევ 1.500 კილო მწვანე ოქროს.

ხალხმა დამიფასა შრომა, ამირჩია საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მთავრობამ დამაჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

დიდი სიხარულით შევხვდი საქართველოს კომკავშირის იუბილეს. ლენინურმა კომკავშირმა ფასდაუდებელი ამაგი დაგვდო, მან ჩაგვინერგა უშრეტი სიყვარული ხალხისა და საქვეყნო საქმისადმი, ჩვენი დიადი სამშობლოსადმი, რომლის დასაცავად სიცოცხლე გასწირეს ჩვენმა მამებმა.



## ლამარა ბარბაქაძე

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ლინოტიპისტი**

დავიბადე და გავიზარდე საჩხერის რაიონში, სოფელ გორისაში. საშუალო სკოლა კი სოფ. მერჯევში დავამთავრე; კარგად მახსოვს რა გაცხოველებული სჯა-ბაასი გაიმართა ჩვენს ოჯახში იმის თაობაზე, თუ სად სჯობდა გამეგრძელებინა სწავლა.

მამის სურვილი იყო, აუცილებლად სამედიცინოზე შევსულიყავი, უფროსი ძმა ჯუმბერი უნივერსიტეტს მირჩევდა, დედაჩემი კი ოცნებობდა აგრონომი გამოსულიყავ.

მაგრამ მე უკვე ჩემი გადაწყვეტილება მქონდა, პოლიგრაფიული საქმე შორიდანვე მიტაცებდა.

წიგნი და გაზეთი ბავშვობაში ჩემთვის ამოუცნობი საიდუმლო იყო; ვინ აკეთებს მათ ასე კოხტად, ასე ლამაზად, როგორ გამოჰყავთ ეს ზუსტად ჩამწკრივებული სტრიქონები და სურათები... პირველივე წიგნმა — ჩვენმა საყვარელმა „დედა-ენამ" აღმიძრა სურვილი მენახა ეს ადამიანები, და როცა წამოვიზარდე, უკვე ოცნებად მექცა ვყოფილიყავ მათთან, ვმდგარიყავ მათს გვერდით, მეკეთებინა ის საქმე, რომელსაც ესოდენ დიდი სარგებლობა და ესოდენ დიდი სიხარული მოაქვს ადამიანისათვის, ქვეყნისათვის.

და აი, თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სალინოტიპო საამქროში გამამწესეს.

მე ძალიან მიყვარს ჩემი სამუშაო: ზიხარ ჭკვიან მანქანასთან — ლინოტიპთან და ერთმანეთის მაყოლებით აწყობ სტრიქონებს. შენი ხელით ჩამოსხმული ლითონის სტრიქონები ჩალაგდებიან და შეადგენენ წიგნისა და გაზეთის გვერდებს, მერე აგურგურებული საბეჭდი მანქანიდან ნიაღვარივით წამოვა ახალი, ჯერ კიდევ სადებავშეუშრალი ფურცლები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვურჩიო ჩვენს ახალგაზრდებს, მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ აურჩევია თავისი პროფესია — წამოდით ჩვენთან, პოლიგრაფიაში... ეს ძალიან კარგი საქმეა, უაღრესად საპიროც და სახალისოც. პოლიგრაფისტი რომ არა, ვინ მიაწვდიდა ხალხს ათასობითა და ათიათასობით რუსთაველისა და შექსპირის, ბარათაშვილისა და ილიას, აკაკისა და ვაჟა-ფშაველას წიგნებს.

საქართველოს ლენინური კომკავშირის საიუბილეო თარიღს მე დამკვრელური შრომით ვეგებები. ჩემი სურვილია, საქართველოს კომკავშირელებმა კვლავაც ისე ესახელებინოთ თავი, რომ მათი სამაგალითო სწავლისა და გმირული შრომის ამბები მარად და ხშირად ამეწყოს ლინოტიპზე.



## გურამ ქუმარიტაშვილი

მეტეხის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი

**მეტეხის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის კომკავშირული ბრიგადა ექვსი კაცისაგან შედგება. პირდაპირ ვიტყვი: ჩემს ბრიგადაში სულ დარჩეული ბიჭები არიან. მაგრამ ნათქვამია, საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. მეც ჩვენს საქმეზე მოგითხრობთ.**

**ავიღოთ თუნდაც ერთი ამბავი: მეტროს სადგურ „ოქტომბრის" საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგეგმილი დრო ახლოვდებოდა. მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო. მეტრომშენებლებს პირის გატეხვა არ ჩვევიათ, ახლა კი იმდენი სამუშაო იყო დარჩენილი, რომ შეიძლებოდა შევრცხვენილიყავით. უბანზე საგანგაშო მდგომარეობა გამოცხადდა. გვირაბმშენებლები გაორკეცებული ენერგიით შეეხიენ საქმეს. მოწინავეთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენი კომკავშირული ბრიგადა. ბიჭებს აღარც ჭამა ახსოვდათ და აღარც დასვენება. განუწყვეტლივ გუგუნებდნენ ფოლადის ბურღები და საქართველოს მრავალათასიანი კომკავშირის ექვსი რიგითი წევრი აი აქ, მიწის ქვეშ თავდადებით იბრძოდა თავისი კომკავშირული პირობის პირნათლად შესასრულებლად.**

**აბა რა შეედრება იმ სიხარულს, როცა მეტროს სადგური დანიშნულ დღეს ამუშავდა და ჩვენ, ამ დიდი გამარჯვების შემომქმედნი, თბილისელთა გაბრწყინებულ და კმაყოფილ სახეებს შევცქეროდით.**

**ჩვენს კომკავშირულ ბრიგადას ახლა მეტეხის პიტალო მთის გულში სატრანსპორტო გვირაბი გაჰყავს. აქაც მოწინავეთა რიგებში ვართ. ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ვასრულებთ.**

**მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მთელი ჩვენი ბრიგადის სახელით, გულითადად მივულოცო დიდი დღესასწაული — საქართველოს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავი. დაე კვლავაც გაგვემართლებინოს პარტიისა და მთავრობის მშობლიური ზრუნვა და ახალ-ახალი გამარჯვებებით გაგვეხარებინოს დედასამშობლო!**



## თენგიზ კეკელიძე

**თბილისის პირველი მაისის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი**

ჩვენი რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდები გამრჯე შრომითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით შეეგებნენ საქართველოს ახალგაზრდობის დიდ ზეიმს — კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღისათვის მზადება დაემთხვა იმ ახალ შრომითი გამარჯვებებს, რომლებიც ჩვენმა ახალგაზრდობამ მიუძღვნა ლენინის პარტიის XXIV ყრილობას. დღეს რაიონის ყველა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში დიდი შრომითი ენთუზიაზმი იგრძნობა. ჩვენთან დღეისათვის 251 კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქრო, ცვლა და ბრიგადაა. 2 485 კომკავშირელს მინიჭებული აქვს „კომუნისტური შრომის დამკვრელის" საპატიო სახელი. შრომითი საქმიანობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს", ტელეგრაფული აპარატების ქარხნის, თბილგვირაბმშენის სამმართველოს, ქარხანა „მაგნიტოფონის", ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს, საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის" და რაიონის მთელი რიგი სხვა წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდები. სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების კომკავშირელების თაოსნობის შედეგია ის, რომ რაიონის 1200 ახალგაზრდა საქართველოს კომკავშირის საიუბილეო თარიღის პირველ დღეს იმუშავებს მხოლოდ დაზოგილი ნედლეულის ხარჯზე და სამშობლოს მისცემს ათასობით მანეთის ღირებულების ზეგეგმით პროდუქციას; ამას გარდა, 235 ახალგაზრდა აითვისებს ერთს და მეტ მონათესავე პროფესიას, ხოლო 450 აიმაღლებს თავის საწარმოო კვალიფიკაციას.

შემოქმედებითი შრომის კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს ახალგაზრდა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების საქმიანობა. მათი დაუღალავი ძიების შედეგია ის, რომ მარტო მიმდინარე წელს, წარმოებაში დანერგილია 54 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის ეკონომიური ეფექტი 6.230 მანეთს შეადგენს.

საქართველოს კომკავშირის იუბილეს ეძღვნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომლებიც ტარდება რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებში: ეწყობა ლაშქრობები, ტურისტული მოგზაურობანი რესპუბლიკის ისტორიულ და რევოლუციურ ადგილებში, ეწყობა შეხვედრები ვეტერან კომკავშირელებთან, ტარდება ლექციები, თემატური საღამოები და ა. შ.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნება რაიონის სამითაობის ახალგაზრდობის შეხვედრა და ახალგაზრდობის მასობრივი შაბათობები რაიონის მნიშვნელოვან სამშენებლო ობიექტებზე. რაიკომის ახალგაზრდა ლექტორთა ჯგუფის ძალებით ეწყობა სარაიონო აგიტლაშქრობა თემაზე — „საქართველოს კომკავშირი 50 წლის მანძილზე".



## ელგა წერეთელი

**მეცხრე პოლიკლინიკის ქირურგიული კაბინეტის ექთანი**

პოლიკლინიკის ქირურგიულ კაბინეტში საკაცით შემოიყვანეს ხანში შესული კაცი. თურმე ქუჩაში წაქცეულიყო და ასფალტზე ცუდად დაეკრა თავი. ქირურგი არ იყო კაბინეტში, სასწრაფოდ გამოიძახეს სხვაგან. მე მაშინ ჯერ გამოცდილება არა მქონდა, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ახლა დაყოვნება და ლოდინი არ შეიძლებოდა. ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში იყო და ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ სასწრაფოდ მივიღე ყველა ზომა, ავადმყოფს ჭრილობა შევუხვიე, პირველი დახმარება აღმოვუჩინე და კაცი სიკვდილს გადავარჩინე.

მე მიყვარს ჩემი პროფესია და მეამაყება იგი. ამ გზას მშობლების რჩევით დავადექი. დავამთავრე თბილისის მეოთხე სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობა დავიწყე მეცხრე პოლიკლინიკაში, ქირურგიულ კაბინეტში. თავიდანვე დიდი მონდომებითა და სიყვარულით შევუდექი კაბინეტში მუშაობისათვის საჭირო ჩვევების ათვისებას, სკოლაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას. კარგად ავითვისე შესახვევი მასალების მომზადება, რომელიც ერთი მთავარი პირობაა ჩემი დარგის მუშაკისათვის. მე თვითონ, ქირურგის დაუხმარებლად ვაწარმოებ რთულ პროფილაქტიკურ აცრებს.

თეთრხალათიანი კაცი თუ ქალი ჩვენში განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ეს გასაგებიც არის — ისინი ხომ სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან, დღე თუ ღამე, ისინი მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს, იხსნან და გადაარჩინონ იგი. და მე მიხარია, რომ ვეკუთვნი ამ თეთრხალათიანთა რიგებს.

მე ბევრი წამიკითხავს კომკავშირელ ქალიშვილებზე, სათნოების დებზე, ფრონტზე ესოდენ გაბედულად და თავგანწირულად რომ მოქმედებდნენ ჩვენი სახელოვანი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის პირველი დახმარების აღმოჩენის დროს. დიდი ხანია გადაიარა ომის ქარიშხალმა, მაგრამ ის ფრონტელი დობილები ჩვენთვის, დღევანდელი კომკავშირელებისათვის მუდამ სამაგალითონი იქნებიან. ახლა, მშვიდობის დროს, ნაკლები ზრუნვა როდია საჭირო ადამიანზე! რამდენი შემთხვევაა, როცა მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ ბავშვი საფრთხეში ვარდება. და ჩვენ, სამედიცინო დარგის მუშაკები მუდამ მზადა ვართ დახმარების ხელი გავუწოდოთ მათ.

მე კომკავშირში გავიზარდე, ჯერ ახალგაზრდა ვარ და ვიცი, რომ წინ მრავალი საქმე მოშელის. შევეცდები მუდამ ღირსეულად შევასრულო და გავაკეთო ჩემზე დაკისრებული საქმე.

სულითა და გულით ვულოცავ ჩემს თანატოლებს, საქართველოს კომკავშირელებს ჩვენს დიდ დღესასწაულს— საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.



## თამაზ ძლიერი

ჩარხმშენებელი ქარხნის საიარაღო საამქროს მღარავი

პოლიტექნიკური სასწავლებელი რომ დავამთავრე, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში გამგზავნეს საიარაღო საამქროს მღარავად.

1969 წლის ბოლო თვეებში ქარხნის კომკავშირის კომიტეტის თაოსნობით ჩვენს საამქროში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადა. ამ ბრიგადაში მოხვედრაზე ბევრი ოცნებობდა, საამქროს კომკავშირულმა კრებამ, სხვა ამხანაგებთან ერთად, მეც დამასახელა ბრიგადის წევრად.

ხუთი კაცისაგან შემდგარ ჩვენს ბრიგადას სათავეში ტარიელ ცინცაძე უდგას. ბრიგადის ჩამოყალიბებისთანავე პირველ ამოცანად დავისახეთ ღირსეულად შევხვედროდით ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შეგვესრულებინა გეგმა. ამ საქმეს წარმატებით გავართვით თავი და სხვებთან ერთად მეც დამაჯილდოვეს დიდი ბელადის საიუბილეო მედლით.

გასულ წელს ლენინის რაიონში ჩატარდა ახალგაზრდა სპეციალისტთა კონკურსი. ჩვენი ქარხნის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მეც მივიღე მასში მონაწილეობა და მღარავთა შორის პირველი ადგილი დავიჭირე.

მიმდინარე წლის მარტში გამგზავნეს ლენინგრადში, ახალგაზრდა სპეციალისტთა საკავშირო შეკრებაზე; აქ ახალგაზრდა სპეციალისტები ეცნობოდნენ ერთი-მეორეს და უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას. ამ შეკრებაში მონაწილეობამ ბევრი რამ მომცა.

XXIV ყრილობის მუშაობის დღეებში სხვებთან ერთად მეც ვიდექი საყრილობო ვახტზე. გულდასმით გავეცანი ყრილობის დირექტივებს და გადავწყვიტე ქარხნის კოლექტივთან ერთად, ვადაზე ადრე შევასრულო ჩემი პირადი გეგმაც.

ასე შევხვდი ჩვენი კომკავშირის სახელოვან იუბილეს.



## დემურ შეროზია

მექანიზატორი (ცხაკაიას რაიონი, სოფ. ეწერი).

მამაჩემი დავით შეროზია სახელგანთქმული მექანიზატორია. საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავის საზეიმო დღეებში მთავრობამ იგი დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ჯერ ისევ VIII კლასში ვსწავლობდი, როცა მამამ შემასწავლა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" მართვის წესები. შემაყვარა ეს საქმე. როგორც კი დავამთავრე საშუალო სკოლა, მივუჯექი ამ მანქანის საჭეს. ჩვენს კოლმეურნეობაში მექანიზაციის წესით მოკრეფილი ჩაის ფოთლის სამოცი პროცენტი ჩემმა „საქართველომ" აიღო.

თავისუფალ დროს გატაცებით ვკითხულობ ქართველი მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს. ძალიან მიყვარს გალაკტიონის, ალიო მირცხულავას, ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ლექსები, განსაკუთრებით მისი „არ დაიდარდო დედაო", მიყვარს სპორტიც, დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს სახელოვანი ქართველი სპორტსმენების გამარჯვებებს და თვითონაც ვეუფლები სპორტულ წრეს.

მე ვამაყობ ჩემი პროფესიით. ახალგაზრდა მექანიზატორები პირნათლად ვხვდებით ჩვენი აღმზრდელი კომკავშირის სახელოვანი იუბილეს.



## გიორგი კახაბრიშვილი

თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტი

იყო კომკავშირელი — ეს ნიშნავს იყო ყოველმხრივ მოწინავე, პირველ რიგში, ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლო არჩეულ პროფესიის ყველა საიდუმლოებას.

მე რეჟისორის პროფესიას ვეუფლები. ეს ერთ-ერთი უაღრესად რთული და საინტერესო საქმეა.

იყო ნამდვილი პროფესიონალი — აი, ის ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩემს წინაშე დგას და რომლის წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ დიდი შრომის, ნებისყოფის დაძაბვის, საკუთარი საქმისადმი დიდი რწმენისა და სიყვარულის შედეგად.

ადამიანი, რომელიც ჩემთვის პროფესიაში სამაგალითოა, რომელიც ატარებს თანამედროვე რეჟისორისათვის ყველა საჭირო თვისებას — არის ჩემი პედაგოგი რესპ. სახალხო არტისტი, დოც. მ. თუმანიშვილი; მისი სპექტაკლები მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს დღეს რეჟისორი.

თეატრალურ ინსტიტუტში მე ჯერ სამსახიობო ფაკულტეტზე შევედი, ხოლო შემდგომ უკვე სარეჟისორო ფაკულტეტზე. რაც შეეხება ჩემს ნამუშევრებს ინსტიტუტში სწავლის დროს — ესენია ნაწყვეტი ა. წერეთლის „პატარა კახიდან", ა. ცაგარელის „ჭკუისა მჭირს", გ. სუნდუკიანის „პეპო" (II მოქმედება) და ჩემი საკურსო სპექტაკლი — გ. ერისთავის „ძუნწი"; რა თქმა უნდა, მათზე ლაპარაკი ხელოვნების პოზიციებიდან ზედმეტია, რადგან ყოველი მათგანი შეიქმნა სწავლების პროცესში და ისინი აყენებდნენ ამა თუ იმ ამოცანას ჩემს წინაშე.

ამჟამად ჩემთვის ყველაზე უახლოესი და უმთავრესი ამოცანა არის სადიპლომო სპექტაკლი, ეს არის ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი პროფესიულ ხელოვნებაში და მასზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ჩემი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება.



# ოცდაოთხი დღე და ოცდაათი წუთი

ლირიკული პოემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

I

მოსკოვი, კრემლის დიდი სასახლე
და ოცდაათი ივნისის დილა.
დარბაზში ისხდნენ ოქროპირები
სხვადასხვა ერის და ეროვნების.
მოსჩერებოდნენ ჭერს, ვითარ ზეცას,
ძველი მგოსნები და ქურუმები,
რომელთა უხმო, უსიტყვო დარდი
აატირებდა ქვასაც და ხესაც.
გაფითრებული და ფიქრიანი
ცრემლებს მალავდა თაობა ჩემი,
რომელიც თითქმის ახალბედებში
იწერებოდა თამამად გუშინ.
ოდნავ გოროზი, თავაწეული,
მაგრამ კეთილი ახალგაზრდობა,
იმშუშნებოდა, როგორც ნორჩი ტყე,
ტყე აქოჩრილი და მოშრიალე...
ყველამ იცოდა, ყრილობის ჩვენის
ყველა სტუმარმა და მონაწილემ,
რომ დედამიწას ცამ გამოსტაცა
სიცოცხლე სამი კოსმონავტისა.
მაინც სასწაულს ველოდით ყველა,
დაუჯერებელს და შეუძლებელს,
რომ პირველმთქმელი შეცდა უბრალოდ
და ტრაგედია შორს არის ჩვენგან:
ვინ იცის, იქნებ გამოელვიძოთ,
როგორც ზღაპარში ხდება ჟამიჟამ,
ან მშობლიური მიწის შეხებამ
გამოაცოცხლოს ძალამიხდილნი.
ვეჭიდებოდით ამ იმედს, როგორც
ხავსს ეჭიდება წყალწაღებული.
მაშ, რა გველოდა, — გუშინ არ იყო,
რომ დაგვილოცეს შემოქმედების
გზა უძნელესი და საპატიო,
კოსმონავტების გზასავით მძიმე?!

II

ო, იქნებ სჯობდა, ოცდაცხრა ივნისს
არც გაგვეგონა ძახილი მათი!
უცებ წამოდგნენ დელეგატები
და მწუხარების ფეხქვეშ განრთხმული
დადგა სიჩუმე — მრავლისმეტყველი,
(ჩანს, დამსხვრეულა ჩვენი იმედი!).
სიჩუმე იგი მომავლის მგოსნებს
ეუბნებოდა, როგორც მოძღვარი:
— მემკვიდრეებო, გახსოვდეთ მარად,
ძმადნაფიცები იმ გაგარინის,
ვინც კაცთა შორის ყველაზე ადრე
გახსნა კოსმოსის ათასკლიტული;
ძმადნაფიცები ბელიაევის,
ძმადნაფიცები კომაროვისა,
ძმადნაფიცები ლომგულებისა,
რომ დასტირიან მეგობრებს ახლა...
გახსოვდეთ მარად: მათი დიდება
შთამომავლობას დარჩება ვალად, —
საუკუნეებს უნდა გადასწვდეს
მათი ამბავი, როგორც თქმულება.
არა იმიტომ, დღეის მეხოტბეს
რომ აღარ ჰყოფნის ძალა მგოსნური,
მას დატირება უმძიმს იმისი,
ვინც ესაუბრა ზეციდან წუხელ.
როგორ გამოთქვას ეს მწუხარება —
მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი;
ვით დაამშვიდოს შვილები გმირთა,
ვით ანუგეშოს ცოლები გმირთა,
ანდა რა უთხრას მშობლებს, ახლობლებს,
მეგობრებს, ტოლებს და ამხანაგებს;
რა დააწყნაროს, სიტყვა როგორი
ოდესას, მოსკოვს, აქტიუბინსკის,
სიხარულს ენა იოლად იტყვის,
მწუხარება კი ამუნჯებს მასაც!

III

ოცდაოთხი დღე... ოცდაოთხი დღე...
სამი რაინდი და მეოცნებე,
დასტრიალებდა თავს დედამიწას,
როგორც ფრთოსანი — მშობლიურ ბუდეს.
მეცნიერებაც და პოეზიაც
არ შორდებოდნენ დღითა და ღამით,
როგორც სიცოცხლის ღამისმთევლები,
როგორც ერთგული თანამგზავრები.
მეცნიერებამ იცოდა მტკიცედ,
პოეზია კი იდუმალ გრძნობდა,
რომ დობროვოლსკი და მისი ძმები
არ დასდგომიან გზას უხიფათოს.
მეკვლეს იმიტომ უწოდეს მეკვლე,
ვამაც ელის და საშიშროებაც,
მოულოდნელი, როგორც დიდება,
ანაზდეული, როგორც სიკვდილი.
მაგრამ მიზანი არის მეკვლისა,
გაუკვალავზე რომ გაიაროს
და შემდეგ თუნდაც დაეცეს ისე,
როგორც ენგური ვარდება კლდიდან,
აი, ამ მიზნით აიჭრა ცაში
სამი რაინდი და მეოცნებე,
სამი ძმობილი და... სამი შვილი
დიდი რუსეთის და ყველა ერის.
ოცდაოთხი დღე... დღე ოცდაოთხი...
გაუგონარი ბრძოლა კოსმოსში,
უწონადობა, რომლის სიმძიმეც
ყოველგვარ ლოდზე უმძიმესია.
ოცდაოთხი დღე... და ოცდაათი,
სულ ოცდაათი წუთი მიწამდე...
— ეს დროც გაივლის, ეს დროც გაივლის
და შინ მშვიდობით დაბრუნდებიან! —
ასე ფიქრობდა ქვეყანა მთელი,
ნიადაგ ცისკენ თვალმიპყრობილი.

IV

მათ ერთმანეთთან, თუნდაც თვალებით,
გამოთხოვებაც ველარ მოასწრეს
და ცის ხომალდში ქარიშხალივით
შეიჭრა უმალ სიკვდილის ელდა.
ო, ამ დასასრულს ელოდნენ განა?!
ო, ამ დასასრულს ველოდით განა?!
არავინ უწყის რაზე ფიქრობდნენ,
საბედისწერო წუთებში, როცა...
ვაგლახ, რამდენი მსხვერპლი სჭირდება
მეცნიერებას და პოეზიას!
ვაგლახ, რამდენი ცრემლი სჭირდებათ
მშობლებს, რომლებიც არწივებს ზრდიან!
მერე დუმილი... ივლისის ორი...
მავზოლეუმი უკვდავი კაცის
და ტერეშკოვას მზიან თვალებში
აელვებული ცრემლების ზოლი.
ხალხის მორევი შედედებული,
ვითარცა სისხლი დაჭრილი ვეფხვის.
შოპენის მარში, შოპენის მარში
და ბეთჰოვენის ჰანგების გმინვა...
მიწის შვილებო, ამ ტრაგედიას,
ჩვენ უფრო მწარედ შევიგრძნობთ ხვალ-ზეგ!
ძნელია, როცა ძეთა მამაცთა,
სამშობლოსათვის თავდადებულთა,
ეთხოვებიან სამარადისოდ
ქვეყანა, დედა, მამა, პლანეტა.
ძნელია, როცა გამარჯვებულებს
ელის მამული ხელებგაშლილი
და უცაბედად აზრი მწუხრისა
მის განუზომელ სიხარულს ახშობს.
ძნელია, როცა თვალნათლივ ხედავ,
როგორ ქცეულან გულები ფერფლად,
როგორ ქცეულან თვალები ფერფლად,
როგორ ქცეულან ხელები ფერფლად!

V

როგორც ყოველთვის, იმედიანად
რეკენ ზარები, კრემლის ზარები,
და ეფინება წითელ მოედანს
ხმა მიმზიდველი, ხმა სანატრელი.
წითელ მოედანს ახსოვს ისინი:
ვიდრე კოსმოსში შეიჭრებოდნენ,
ამ წმინდა ადგილს ეწვივნენ ერთად
და ფიცი დადეს ქვეყნის წინაშე.
ორს არ იცნობდა ჯერ კიდევ ხალხი,
ხოლო მესამეს — ვლადისლავ ვოლკოვს
ჩვენ შევეჩვიეთ, როგორც ახლობელს,
მისი პირველი გაფრენის შემდეგ.
ვოლკოვის ღიმილს, ვით ნატეხს მზისას,
და ალერსიან, თბილ გამოხედვას, -
რა დაავიწყებს მის მშობელ მოსკოვს,
რა დაავიწყებს რუსეთის მიწას,
რა დაავიწყებს ჩვენს მოძმე ერებს,
რა დაავიწყებს ვარსკვლავთა ქალაქს,
რა დაავიწყებს საქართველოსაც,
რომლის სტუმარიც ყოფილა ერთ დროს!
ვიდრე იდინებს ველებზე ვოლგა,
ვიდრე იგრგვინებს მთებში ენგური,
ემახსოვრება კაცობრიობას
ოცდაოთხი დღე ლეგენდარული...
ის ოცდაათი წუთიც დარჩება
ადამიანთა მეხსიერებას,
როგორც ჭრილობა განუკურნელი,
ვით სინანული დაუფარავი.
და მაინც იფრენს ადამიანი,
უფრო ჯიუტად, მეტი სურვილით,
ახდება ფიცი შატალოვისა
და ფანტაზია ყველა წინაპრის.
უფანტაზიოდ და უოცნებოდ
ნულარ გვაცოცხლოს ერთი წამითაც!

ივლისი, 1971.
მოსკოვი — თბილისი.

# ცხოვრების შუაგულში

## ალ. გომიაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულების გამო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გომიაშვილი, ჩვენი ლექსო, როგორც მას ეძახის მთელი ქართული მწერლობა და ყველა ნაცნობ-მეგობარი, კარგ ილბალზეა დაბადებული. [illegible]იან თერგსა და ფანტასტიკურ დარიალის ხეობას, მყინვარწვერსა და სამების ტაძარს საიდან სად ჩამოსული მთელი ქვეყნის პოეტები აგერ თითქმის ორი საუკუნეა შესტრფიან, ესიტყვებიან და თავს დასტრიალებენ, როგორც ყველაზე სანუკვარ პოეტურ ოცნებას, ყველაზე მომხიბვლელ სახილველსა და სანახავს. ალექსისათვის კი ეს ყველაფერი მისივე ეზო-კარია, სადაც დაბადებულა, გაზრდილა და ფეხი აუდგამს. პატარაობიდანვე, აახელდა თუ არა დილით თვალს, სარკმელში მყინვარწვერი უნდა დაენახა. როგორც სურათი ჩარჩოში, ისე ზის ახლაც, სტეფანწმინდაში, ღრუბლების მაღლა. გომიეთ ქოთიას ძველებური სახლის ფანჯარაში ეს ბუმბერაზი, მოხევეები ალერსით ხევის პატარძალს რომ ეძახიან. ხოლო თრუსოს ხეობიდან ქუხილით წამოსული თერგის ბორგვა და ხმაური ალექსის ჩაესმოდა დედის ნანასთან ერთად, და სტრიქონშიც ამიტომ გამოჰყვა. როგორი სასიხარულოა, რომ ამ ბუნებამ, ამ ადამიანებმა, მოხევეებმა თავიანთი ღონე, ვაჟკაცობა და ალალ-მართალი კეთილი გული თავიანთ შვილს თან გამოატანეს ქართულ მწერლობაში, მათ მისცეს ძალა პოეტის სიტყვას, მის ლექსს, და ამან განაპირობა ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიის თავისებურება, მისი ინდივიდუალური სამყარო, გახადა იგი ესოდენ საინტერესო და პოეტს მისი საკუთარი ადგილი დაუმკვიდრა მრავალფეროვანსა და მრავალხმოვან ქართულ პოეზიაში.

ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლისა იყო ალექსი, თბილისში რომ ჩამოვიდა. რუსთაველის პროსპექტზე, „ზარია ვოსტოკას“ შენობის ზემოთ, იმ დარაბაში. სადაც ახლა ხელმოწერითი წიგნების მაღაზიაა, თავშეფარებული იყო ე. წ. მთიელთა კულტურული საზოგადოება. აქ იყრიდნენ თავს მთიდან ახლადჩამოსული მოხევეები, ფშავლები, ხევსურები, მთიულები. საზოგადოების თავმჯდომარე იყო ერთი დინჯი მოხევე — ალექსი ყამარაული, კავშირ-გაბმულობის სახალხო კომისარი; იქვე მუშაობდა ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა — სანდრო რაზიკაშვილი. ისინი იყვნენ პირველი გზის გამკვლევნი მთიდან ჩამოსული ყმაწვილებისათვის. აქ შეხვდნენ ერთი-მეორეს უდროოდ დაღუპული ბრწყინვალე პროზაიკოსი ბასილ მელიქიშვილი, ვანო შადური — ამჟამად ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მაშინ ჯერ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი და სხვები. ზოგს ახლა იქნებ გაუძნელდეს იმის წარმოდგენა, თუ რა როლი ეკისრა ამ პატარა საზოგადოებას, მაგრამ მაშინ ის აუცილებელი იყო, და მან კარგი ამაგიც დასდო როგორც ჩამოსულ ახალგაზრდობას, ისე მთელ ქართულ კულტურას.

ალექსანდრე გომიაშვილის ნამდვილი ლიტერატურული ნათლია ტიციან ტაბიძე იყო; 1929 წელს ახალგაზრდა პოეტმა ტიციანს მიუტანა თავისი „მთის ბალადა“; ტიციანმა წაიკითხა, მოეწონა და სასწრაფოდ გადასცა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორს სიმონ ხუნდაძეს. იმანაც დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა იგი „ქართული მწერლობის“ 1929 წლის მეთორმეტე ნომერში. ამ დღიდან გამოდის ალექსანდრე გომიაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის ვრცელ ასპარეზზე.

იმ პირველი ლექსის დაბეჭდვიდან ორმოც წელზე მეტი გავიდა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი დროა და პოეტმაც ამ ხნის მანძილზე მტკიცედ დაიმკვიდრა ქართული სიტყვის მოწინავე ოსტატის სახელი; ალექსანდრე გომიაშვილი ღირსეულად აგრძელებს ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციებს, უმღერის და ადიდებს სამშობლოს სიყვარულის, ჰუმანიზმის, სიკეთისა და ვაჟკაცობის მაღალ გრძნობებს.

ყველაზე მთავარი ალ. გომიაშვილის პოეზიაში ფუძის, კერის, საქართველოს უკვდავების გრძნობაა; ეს მოტივი გასდევს მთელ მის შემოქმედებას, და ყველაზე მძაფრად მან ეს თავის „ადგილის დედაში“ გამოთქვა. ყველას ჰყავს თავისი ადგილის დედა და იმას აბარია ის ნათელი, ის სითბო კერისა, ადამიანის სულს რომ აძლევს ძალას იცოცხლოს, იშრომოს, იბრძოლოს, შესტრფოდეს ცასა და ხმელს. ძველი მითოსიდან წამოსული ეს ცნება ახალი ძალით გაცოცხლდა გომიაშვილის ლექსში; აქ ადგილის დედა გულისხმობს რაღაც ძალას, რომელიც დედასავით იფარავს და იცავს სიცოცხლეს და უზრუნველყოფს მის უკვდავებას — თაობები შესცვლიან ერთიმეორეს, მაგრამ უცვლელი დარჩება ნაცარწაყრილი ნაპერწკალი კერისა და ფუძისა:

ა. გომიაშვილი და გ. ლეონიძე



> ვხედავ, რომ ძმები ცელავენ სათიბს
> და მამაჩემიც ისევ მხნედ არი, —
> დედის ნანაში სამშობლოსათვის
> კიდევ იზრდება ერთი მხედარი.
> გაქრა ზმანება. დავხურე კარი.
> ძველი სახლიდან წასულა ყველა,
> მხოლოდ ჭერხოში გრიალებს ქარი
> და აკვანს არწევს, ვით საქანელას.
> დგას სიჩუმეში მყინვარის ახლოს
> ის ძველი სახლი, ახლების ბედად
> და ლადარივით კერაზე სახლობს
> ჩემი ბავშვობის ადგილის დედა.

ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიაში მძაფრად იგრძნობა ეროვნული ფესვები, წერს ის რუსთაველზე თუ დარიალის ხეობაზე, ხევსურ აკია არაბულზე თუ გუდამაყრელ პატარძალზე, ბაზალეთის ტბაზე, თუ ხევის ელექტრონით გაჩირაღდნებულ სოფლებზე... ქარაფების თავებიდან ამაყად იმზირებიან ჯიხვები, და ფერდობებში დგას ახლად მოთიბული ბალახის სუნი, ბეთლემის კარს ეხვევა ნისლი და ბორგავს, ბორგავს თერგი, ხოლო მყინვარიდან მთელ ქვეყანას მოესმის არწივების ყივილი. პოეტის სიმღერასაც ჰყავს თავისი ადგილის დედა, სიმღერაც ცოცხალია და არც იმას შეუძლია უწინაპროდ გაძლება —

> ...სტეფანწმინდაში — მოჩხუბარიძე,
> ჩარგალში — ლუკა რაზიკაშვილი.

ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებად დარჩებიან ალექსანდრე გომიაშვილის „წუთისოფელი“, „შავი კლდე“, „ორი მწვერვალი“, „თბილისი“, „რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა“, „ბაზალეთის ტბა“, „სიმღერა მესხი ჭაბუკისა“, „დარიალის ბალადა“, „თერგმა თქვა“ და მრავალი სხვა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე ალ. გომიაშვილი ბუნებრივად ესწრაფვოდა ლექსის საკმაოდ რთულ ფორმას — ბალადას და მის განვითარებას ჩვენს დროში პოეტმა დიდად შეუწყო ხელი.

ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიაში მუდამ მძაფრად იგრძნობოდა ეპოქის მაჯისცემა. მისი პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“ დაიწერა 1933 წლის დასაწყისში, იმ ხანებში, როცა ფაშისტმა ბარბაროსებმა გერმანიაში ხელთ იგდეს ძალაუფლება, როცა ჰიტლერული ტირანიის წყვდიადი ჩამოწვა გერმანიის ცაზე; ქართველმა პოეტმა შორიდან დაინახა და განჭვრიტა აღსასრული შუასაუკუნეობრივი ბნელეთისა:

> აჰა, დაჰბერა ქარიშხალმა,
> ჩაქრა ვარსკვლავი.
> ღამის წყვდიადის ნაპრალები
> ნაპრალებს ხრავენ...
> — ჰიტლერ, ჩაძაღლდი!
> დგება ღამე უკანასკნელი,
> უკანასკნელი
> რეაქციის ვალპურგის ღამე!..

პოეტმა მონახა მართალი სიტყვები, აზრის ფართოდ დამტევი სახეები, როცა ჰიტლერული ბნელეთი ვალპურგის ღამეს შეადარა. ძველი ხალხური გერმანული თქმულების მიხედვით, ვალპურგის ღამეს, მაგდებურგის ახლოს, ჰარცის მთებში, უღრანი ტყით და მიუვალი კლდეებით მოცულ მიდამოში თავს იყრიდნენ ბნელეთის ძალები, ქაჯები და ბოროტი სულები; აქ მოდიოდნენ გრძელფეხიანი, სქელმუცელა ხვლიკები,ხის ფესვებიდან გველები ძვრებოდნენ და სახრჩობელას მარყუჟებივით იგრიხებოდნენ, აქვე იყო მეძონძე ქაჯი. ის ჰყიდდა იმ ხანჯლებს, რომელიც ოდესმე მოღალატესა და მოსისხლეს სჭერია ხელში, რათა ზურგიდან დაეკრა მართალი კაცისათვის, ჰყიდდა ფინჯანებს, რომლითაც ოდესღაც მუხთალი მტრები საწამლავს ასმევდნენ კეთილშობილ ადამიანებს; აქვე იყო მითოლოგიური მედუზა, რომელსაც თმის ნაცვლად გველები ესხა თავზე. ყველა ისინი მართავდნენ თავის ჯოჯოხეთურ დღესასწაულს. ეს იყო ვალპურგის ღამე.

პოეტმა კარგად იცოდა, რომ იმპერიალისტური რეაქციის ეს სისხლიანი ვაკხანალია განწირული იყო დასაღუპად. მთელი პოემა ჰიმნი იყო იმ მოწინავე ადამიანებისადმი, რომელნიც მამაცურად იბრძოდნენ ქვეყნად ბოროტის დათრგუნვისა და კეთილის დამკვიდრებისათვის.

გაიარეს წლებმა გომიაშვილის ამ ლექსის დაწერის შემდეგ და პოეტი ყირიმსა და ჩრდილო კავკასიაში თვითონ აღუდგა წინ მკერდით ჰიტლერელთა ურდოს. ეს იყო დიდი სამამულო ომის წლები...

ალ. გომიაშვილის ლექსებს ბრძოლისა და შემართების პათოსი აქვს. „სიმღერა რაა, თუ მახვილზე მჭრელი არ არი, თუ არა მალი, ვიდრე მალი ხირიმის ტყვია“ — წერდა იგი. პოეტის ადრინდელი ლექსები ეხებოდნენ მთის ბუნებას, მთიელთა სულიერ სამყაროს, გადმოგვცემდნენ მთის ზვიად და პირქუშ პეიზაჟებს. აქ არ იყო ეგზოტიკა, რადგანაც არ იგრძნობოდა ის დისტანცია მასალასა და პოეტს შორის, რომელიც ეგზოტიურობის შთაბეჭდილებას ჰქმნის; პოეტი გადმოგვცემდა მთიანი საქართველოს განუმეორებელ კოლორიტს; სწორედ ამ მხარეში აღზრდილ ადამიანებზე, მათს ვაჟკაცურ ფსიქოლოგიაზე ცდილობდა გამოეხატა ის ცვლილებანი, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოხდა რევოლუციური გარდატეხის შედეგად. პოეტმა ახალი ადამიანის სულიერი განცდები თუ ახალი ყოფითი მოვლენები იმავე პათოსით და რიტმით გადმოგვცა, როგორც ის წერდა თოვლიანი მთების, მდინარეთა ზარიანი ჰექა-ქუხილის, მთიელთა ვაჟკაცური გულისთქმის შესახებ. თავის ადრინდელ ლექსში „თქმულება ამირანზე“ პოეტი გვიხატავს საბჭოთა ადამიანების ასვლას მყინვარწვერზე. აქ ბუნებრივად ჩნდება სახე ამირანისა, რომელმაც გაწყვიტა ჯაჭვები, გაინთავისუფლა თავი და ფართო გასაქანი მისცა თავის დაულეველ ენერგიას. აქ ძველი მითი ბუნებრივად არის გამოყენებული და შეფარდებული ლექსის საერთო კომპოზიციასთან, დედა-აზრთან. ასევე ბუნებრივად არის გამოყენებული ქაჯეთის ციხის ლეგენდა ლექსში, რომელსაც ავტორი „ფშაურ ბალადას“ უწოდებს. ამ ლექსში პოეტი მიუვალ მთაში გზის გაყვანას ადარებს ქაჯეთის ციხის აღებას. ბალადის გმირებმა კარგად იციან: სიმამაცე ისაა, ებრძოლო ქაჯეთის ციხესავით ალმართულ პირქუშ კლდეებს, დასძლიო ისინი და მთაში გზა გაუკაფო ახალ კულტურას. ესაა გამარჯვება ადამიანისა ბუნებაზე.

ალ. გომიაშვილის შემოქმედების ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ორგანული შეთავსება მკვეთრი და ხმიერი პათოსისა ეპიკური აღწერილობის ელემენტთან. ეს ნათლად გამოჩნდა მის პოემაში „ამბავი სამასი არაგველისა“. ამას გარდა, აქ უნდა აღვნიშნოთ ალ. გომიაშვილის პროზაული ნაწარმოებები — „თორღვა ძაგანი“, „ზვავი“, „დაუვიწყარი შეხვედრები“, „ქერჩი“, „ხევსურის სიზმარი“; ეს ხშირ შემთხვევაში განცდილის გახსენებაა, მაგრამ დოკუმენტურობას თან ახლავს ნაზი ლირიზმიც და ეპოსისათვის დამახასიათებელი პლასტიკურობაც.

დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც უკვე ვთქვით, ალ. გომიაშვილი საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა. ფრონტზე გატარებულმა წლებმა მისი შემოქმედებითი ფანტაზია გაამდიდრა ახალი შთაბეჭდილებებით. ამის შედეგად დაიწერა ლექსები „მოსკოვი“, „ასეთი იყო დასაწყისი განთიადისა“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „თოვლი თოვს“, „მშვიდობის ჯარისკაცი“; აქ აღწერილია როგორც ცხარე ბრძოლების, ისე დიადი გამარჯვების საზეიმო დღეების ეპიზოდები.

პოეტი მთელი თავისი გულის ფესვებით დაკავშირებულია ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებთან. აქედან მოდის მის ლექსში უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი, ნათელი გრძნობა ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა. რომელიც დაამკვიდრა ჩვენმა ეპოქამ. ეს შემობრუნება ისტორიისა განსაკუთრებით მძაფრად გამოჩნდა ალ. გომიაშვილის ლექსში „დავითიანი“ დაღესტანში“; ამ ნაწარმოებში ჩვენს თვალწინ ნათლად წარმოსდგება დაღესტნის მიუვალი მთები. ისევ ლეწავს კლდეებს დაუცხრომელი ავარიის ყოისუ, ისევ ხმიანობენ კლდიდან კლდეზე გატყორცნილი ჩანჩქერები ამ მდინარისა... მოღუშულნი არიან გიმრის მწვერვალები; და ამ ფონზე ვიღაც მგზავრი გამოჩნდება კლდიან ბილიკზე; თურმე გაქცეული ტყვე ბრუნდება უკან, ბრუნდება თავისი ნებით; მას შორი გზები მოუვლია, უმოგზაურნია საუკუნეებში და, აი, ახლა ისევ დაღესტანში მოდის. შორი გზიდან დაბრუნებულ ტყვედყოფილს თავიანთ სახლისკარსა და თავიანთ გულსაც ფართოდ უხსნიან ლეკები. მოდის პოეტი და მღერის, მოდის და მისი ფრთიანი ლექსის შუქი როგორც ნაწვიმარზე, ნაავდრალზე გაბრწყინებული ცისარტყელა, ისე გადასწვდენია გიმრის მთებს. ასე დახატა ალექსანდრე გომიაშვილმა დავით გურამიშვილის აჩრდილის გამოჩენა ახალ დაღესტანში. გამტაცებლებთან კი არა, ძმებთან მიდის პოეტი, ავარიის ყოისის ტალღებს დიდი ხანია თან წაუყოლია ის დრო, როცა ერი ერს ესეოდა, იკლებდა, სახლებს უწვავდა, კერას უნადგურებდა. ახლა ძმობის შუქი ჩამომდგარა და ყინული გაულღვა. პოეტი განაგრძობს:

ვგრძნობ თუ ახალ ქართლის დილას
როგორ ხატვენ მთიები,
როგორ ლაღად ამოდიან
ენძელები, იები,
როგორ წვება ხნულზე ხნული,
ხარობს მხარე მთიანი,
და ვით მართლა გაზაფხული,
მღერის „დავითიანი“.

გურამიშვილის დაბრუნება დაღესტანში — ეს მართლაც წარმტაცი თემაა — ის შესაძლებლობას აძლევს პოეტს მთელი სიმძაფრით გამოხატოს სიდიადე ახალი დროისა, ჩვენი საბჭოთა ეპოქისა, როცა ხალხები და ერები ესოდენი პატივისცემით ეპყრობიან ერთი-მეორის ენას, კულტურას, წარსულს.

ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიას, წრფელ ლირიზმსა და ეპიკურ სილაღესთან ერთად, ახასიათებს მდიდარი და ძარღვიანი ენა; პოეტი ღირსეულად უდგას მხარში სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატებს, რომლებიც ჰქმნიან ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ალექსანდრე გომიაშვილს სამოცი წელი შეუსრულდა, მაგრამ ის კვლავ ჭაბუკური ენერგიით იღწვის ჩვენი ლიტერატურის სარბიელზე და კვლავ ჭაბუკური ძალით ისმის მისი ხმა:

შენც, ჩემო ლექსო, არწივის ფრთაო,
ახალ სიმღერის თავო და თავო,
გაიშრიალე ზეცაში ლაღად
გადაიარე ყაზბეგის მთაო,
თოვლში და ქარში გზა გაიმოკლე,
ველებისაკენ გასჭერ ზეკარი,
გასჭერ მანძილი, და როგორც მეკვლემ,
სოფლად, ქალაქად შეაღე კარი.

დავულოცოთ გზა ხალხის გულისაკენ მის ლექსებს და მათს ავტორს — ჩვენს საყვარელ მეგობარს, შესანიშნავ ქართველ ვაჟკაცს და გამოჩენილ პოეტს — ალექსანდრე გომიაშვილს ვუსურვოთ დღეგრძელობა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი

# კაფია

...მიწაც ნისლშია თავრიდის,
გუგუნებს სევასტოპოლი.
მივდივარ ტრიალ მინდორზე,
როგორც კვირია ობოლი.

ა. გომიაშვილი

კვლავ მზეს ეფიცხვის მყინვარი, ირმებიც ისევ ყვირიან,
მზიან მინდორზე მიდიხარ გულშუქიანი კვირია.
მოგდევს თერგის ხმა მქუხარე, შენს სიმღერაში ჩართული,
მშობელ ხალხს აუტაცია შენი მართალი ქართული.

იმ დღეთა თოვლი გამქრალა, ნუშის ყვავილმა დათოვა,
შენს თმებში თეთრი ფიფქები იმ ზამთარმა თუ დატოვა,
მოდიხარ, მოგაქვს ამაყად, როგორც ტრფიალი ტკბილმწარე,
თმების ქათქათა სითეთრე, სულის ხასხასა სიმწვანე.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი



ჩემს არქივშია უნიკალური ფოტოპორტრეტი, 1942 წელს სტალინგრადის ფრონტზე გადაღებული. ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილი 21 წლის ჭაბუკის სერიოზული გამომეტყველება, უხეშ ბეწვმოვლებული ფრონტული ტყავის ჯუბა, ჯარისკაცური თბილი ყამყურა ქუდი შუბლზე ვარსკვლავით... ეს გახლავთ ვახტანგ გორგანელის და არა მარტო მისი, არამედ მთელი მისი თაობის სასიქადულო წარსულის ძვირფასი დოკუმენტი.

ფოტოსურათი გადაღებულია 1942 წლის სექტემბერში. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ვახტანგ გორგანელი გერმანული ტყვიით უნდა დაჭრილიყო, ხოლო სტალინგრადის საველე ფოსტას თბილისში მეომრის ლექსი ჩამოეტანა, ის ლექსი, რომელიც წინ უძღვის ვახტანგ გორგანელის ციკლს ქართული საბჭოთა პოეზიის ახლახან გამოცემულ ანთოლოგიაში:

**გუშინ ამ დროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა, —**
**ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან, —**
**მაგრამ ახლა ნატყვიარი ველზე ვწევარ**
**და იმედად თავს მადგია ერთი მუხა.**
**იქნებ ფიქრობთ, გორგანელი მტრების ტყვეა,**
**მე კი ახლა სისხლში ვცურავ**
**და ვიტოვებ უკანასკნელ თოფის ტყვიას,**
**რომ მტერს დავხვდე ვაჟკაცურად!**

ვახტანგ გორგანელი ეკუთვნის პოეტების იმ თაობას, რომელიც დიდმა სამამულო ომმა მოუვლინა ქართულ მწერლობას. გაიზარდა ნაძალადევში — ჩვენი დედაქალაქის მუშურ რაიონში, მუშის ოჯახში. აქედან წავიდა იგი ომში და ომიდან მოვიდა იგი პოეზიაში. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია სწორედ მუშათა კლასის ზნეობრივი სისუფთავე და მეომრის სიმხნე-გაუტეხლობა. ვახტანგ გორგანელი ქალაქის შვილია. მეორე მხრივ ვახტანგი, როგორც დედით მთიულს, ბავშვობიდანვე იზიდავდა თიანეთი თავისი ბუნებითა თუ მშრომელი ადამიანებით — დედულეთიც იყო მისი შთაგონების პირველწყარო.

ვახტანგ გორგანელი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, მაგრამ მისი ნამდვილი დებიუტი ქართულ პოეზიაში ომის შემდეგ, 1946 წელს შედგა. „სალამურებში" — ოთარ ჭელიძესთან, თეიმურაზ ჯანგულაშვილთან და ამ სტრიქონების ავტორთან ერთად გამოცემულ საერთო კრებულში — პოეტმა უმალვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოებისა და მწერლობის ყურადღება. გორგანელის ლექსებში პოეზიის მოყვარულს ხიბლავდა გულწრფელობა, ომის გამოცდილებით გამოწვეული ომახიანი შეძახილი და ჯანსაღი ოპტიმიზმი. აწ განსვენებულმა ჩვენმა მასწავლებლებმა სიმონ ჩიქოვანმა და კონსტანტინე ჭიჭინაძემ საჯაროდ მოწონების სიტყვა შეაწიეს ვახტანგს და იმედის თვალით შეხედეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაშინ „სალამურებში" ვახტანგ გორგანელის ლექსები: „ფერფლი", „დაჭრილი არწივი", „ახალი წელი ფრონტზე", „ფშავში დგას ერთი პატარა ქოხი" და ომში დაღუპული ჩვენი საერთო მეგობრის, ფრონტელი პოეტის ვაჟიკა ფხოველისადმი მიძღვნილი ვრცელი ლექსი „სიმღერა".

**როგორ? მტრებმა ჩვენ ცრემლები გვადინონ,**
**ამოშანთონ სიყვარული წმინდა?**
**საქართველო ცეცხლით მოინადირონ,**
**ვარსკვლავები გაიტაცონ ციდან?**
**დაგვილეწონ ბაზალეთის აკვანი,**
**ქართველები დავიხოცეთ? არა!**
**მას ხომ ჩვენთა გმირთა მამა-პაპათა**
**ხმლის შუქი და უკვდავება ფარავს!..**
**ბრძოლის ველი — გმირს სხვა არა უნდა რა, —**
**ელვის რაში და მახვილი ხელში...**
**ძმაო, როგორც შაშხანა და ყუმბარა —**
**მეც მიგულე კარპატების მთებში!**

წლები გადიოდა და ვახტანგ გორგანელის სამყარო ფართოვდებოდა. „სალამურებს" მოჰყვა პოეტის ცალკე წიგნები: „გზა მთებში", „მთელი გულით", „ცეცხლი და ყვავილი", „მთები და ვარსკვლავები", „დედოფლის მინდორზე" და სხვები. მშობლიური თბილისისა და თიანეთის ბუნებით მოგვრილ შთაბეჭდილებებს, აგრეთვე ომის მოგონებებს ენაცვლებოდა მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ლექსები ომისშემდგომ ჩვენს ცხოვრებაზე, მშვიდობაზე და მშვიდობიან მშენებლობაზე. თუმცა აქვე დავსძენ: ვახტანგ გორგანელის შემოქმედებას ომის დაღი აზის, პოეტის შთაგონებას დღემდე არ ასვენებს სტალინგრადის გმირული ეპოპეა, თავისი ჰეროიკითა და ტკივილებით.

დღეს ვახტანგ გორგანელი ოცზე მეტი წიგნის ავტორი და ქართული ლექსის გამოცდილი ოსტატია. თავისი სამშობლოს, საბჭოთა საქართველოს ტოლს — ოცდაათწლიანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა აქვს განვლილი, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია და ქართული პოეზიის მკითხველი მისგან ახალ სიხარულს მოელის. ამის გარანტიას გვაძლევს იტალიის ეროვნული გმირის, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ფორე მოსულიშვილისადმი მიძღვნილი და სულ ახლახან გამოქვეყნებული მისი შესანიშნავი ციკლი.

**ეს ომის გზა რა ყოფილა, დედი!**
**მოვდივარ და ვეღარ მოველ, დედი!**
**ყანწი სტუმარს მიმიწოდე, დედი!**
**უუყვარდათქო ლხინი ფორეს, დედი!**
**ჩემ თოხი გამიხარე, დედი!**
**ჩემი ცელიც გაიცვითოს, დედი!**
**ჩემი გადაშლილი წიგნი, დედი,**
**ვარსკვლავებმა წაიკითხონ დედი!**

ისევე, როგორც ფორე მოსულიშვილს, ოცი წლის ვახტანგ გორგანელსაც მაგიდაზე გადაშლილი დარჩა თავისი საყვარელი წიგნები. ასეულ ათასობით სხვა პატრიოტის მსგავსად, გამორიცხული არ იყო, ვახტანგ გორგანელსაც გაეზიარებია ფორეს ბედი. ჩვენდა სასიხარულოდ ვახტანგ გორგანელი დაუბრუნდა თავის მაგიდას უმძიმეს დღეთა გულმართალ მომღერლად და მემატიანედ. ვულოცავთ ვახტანგ გორგანელს დაბადების 50 წლისთავს და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს ვუსურვებთ.

**მურმან ლებანიძე.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ გორგანელი

### საარაგვო

ბაზალეთის ლერწმიანში მთვარე ჩადის,
ნუკრებივით ტბებზე ტოვებს ნისლის ნახევს
და ღიმილში იბადება განთიადი
საარაგვო,
        სალხინო და საკალმახე.

მთათა წვერებს განთიადი ისე უვლის,
ვარდის დილა ველს ფერებში ისე ახვევს,
ახლა მინდა დაუთვლელი სიყვარული
საარაგვო,
        სალხინო და საკალმახე.

ვეაჯები მზით დახატულ მთათა სერებს,
კლდეთა ექოს, ქარაფებს რომ აცახცახებს,
ამ გაფრენილ ტალღებივით ამამღერეთ
საარაგვოდ,
        სალხინოდ და საკალმახედ.

სანამ ქედებს წეროები გადუვლიან,
ხმა მარგუნეთ ახლა აქ რომ შურთხი ჩემობს.
განა სხვა ვარ, დიდი ვაჟას ნათლული ვარ,
ნუ გამიშვებთ ულექსოდ და უსიმღეროდ.

### შემოდგომა არაგვზე

ფოთოლთა ცვენის დგას ოქტომბერი,
დაფარფატებენ ღრუბლები მრუდე,
მოსძალებია მთებს ოქროსფერი
და ცა არაგვის ღელვაში ურევს.

დაკარგულ ფერებს ხევდახევ ეძებს,
ეძებს და არღვევს ამაყად სივრცეს,
და მოაგონებს არაგვი ქედებს,
რომ გაზაფხული კვლავ მოვა ისევ.

### ტელევიზორთან

გზა უპოვნია დიდიხნის მიზანს,
ბერდო, ეს რა მზე გადაგდის გულზე!
სტუმრად ჩამოსულ ქისტებთან ზიხარ
და ტელევიზორს განცხრომით უმზერ.
სად არ ჭადადის ოცნება ლალი,
სიკეთის ტოტი სად არ შლის კვირტებს,
ფარის ოდენა ხევსურის სახლი
ეს რამოდენა სივრცეებს იტევს!
მე, რა იქნება თუნდ ერთი წამით,
მარადიული გაიფრთხოს ძილი,
საიქიოდან წამოდგეს მამა
და დატკბეს შენი სტუმრების ხილვით.
ისმინოს საძმოთ მოსულთა აჯა,
ნახოს ვით ეტრფის რაინდი რაინდს
და ხმლის ქნევაში დაღლილი მაჯა
დღეს მოასვენოს მშობელმა მაინც.
გზა უპოვნია დიდიხნის მიზანს,
ბერდო, ეს რა მზე გადაგდის გულზე.
სტუმრად ჩამოსულ ქისტებთან ზიხარ
და ტელევიზორს განცხრომით უმზერ.

# უკვდავი ჰიმნი

ასი წლის წინათ, 1871 წლის ივნისში, პარიზის კომუნის ბრძოლების აქტიურმა მონაწილემ, პოეტმა ეჟენ პოტიემ დაწერა თავისი სახელგანთქმული „ინტერნაციონალი“. „კომუნა ჩაახშეს... მაგრამ პოტიეს „ინტერნაციონალმა“ მისი იდეები მთელ მსოფლიოს მოჰფინა და პარიზის კომუნა ახლა ცოცხალია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე“, — წერდა ლენინი 1913 წლის „პრავდის“ ფურცლებზე.

„ინტერნაციონალი“ დაიწერა კომუნის დამარცხების შემდეგ, მაგრამ ეს არ იყო სამგლოვიარო ჰიმნი წაგებულ ბრძოლასა და დაღუპულ ოცნებებზე. იგი მომავალი ბრძოლების პროგრამაა. პარიზის მუშების მარცხმა ვერ გატეხა პოეტის რწმენა ნათელი მომავლისადმი. უკანასკნელ ბარიკადაზე რაღაც სასწაულით სიკვდილს გადარჩენილმა 55 წლის პოეტმა მუშათა კლასს მისცა ბრძოლისა და გამარჯვების ახალი სიმღერა.

ეს ლექსი წარმოადგენს მიმართვას მთელი დედამიწის მშრომელებისადმი. პოეტი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებს შიმშილისა და უსამართლობისაგან დაბეჩავებულ შრომის შვილებს, რათა მათ თავი დააღწიონ მონობის ბორკილს, გაანადგურონ მჩაგვრელები და თვითონ გახდნენ თავისი ბედის ბატონ-პატრონნი. მოვიყვანთ ერთ ადგილს ამ ლექსიდან (თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა):

თვით სახელმწიფო არის ყაჩაღი,
ჩვენი უფლება — ხმა ცარიელი.
თავზე გვეცემა, როგორც ნაჯახი
ყალბი კანონი — მდიდრისა
მცველი.
ძირს მჩაგვრელები! დავგმოთ
ტყვეობა!
თანასწორობა ჩვენ ახლა გვინდა.
დე, იყოს მუდამ მოვალეობა
და მასთან ერთად უფლება წმინდა!

„ინტერნაციონალი“ სულ მალე საერთაშორისო პროლეტარულ ჰიმნად იქცა. „რომელ ქვეყანაშიც არ უნდა აღმოჩნდეს შეგნებული მუშა, სადაც არ უნდა გადაისროლოს იგი ბედმა, რაც უნდა უცხო ადამიანად გრძნობდეს ის თავის თავს უენოდ, უნაცნობებოდ, სამშობლოს მოშორებული, მას შეუძლია იპოვოს თავისი ამხანაგები და მეგობრები „ინტერნაციონალის“ ნაცნობი კილოთი“, — წერდა ლენინი პოტიეს „ინტერნაციონალის“ შესახებ.

მუშა-პოეტის ეჟენ პოტიეს პირველი ლექსები 1830 წლის ივლისის რევოლუციას მიეძღვნა. 1848 წლის რევოლუციის დღეებში პოტიე ბარიკადებზე იბრძვის. 1870 წლიდან იგი პირველი ინტერნაციონალის ფრანგული სექციის წევრი ხდება, პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ის საცხოვრებლად ჯერ ინგლისში მიდის, ხოლო შემდეგ ამერიკაში, სადაც კვლავ აქტიურად იბრძვის ჩაგრულთა უფლებების დასაცავად.

1880 წელს პოეტი სამშობლოში ბრუნდება და კვლავ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობს, სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე იგი მტკიცედ იდგა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

1888 წელს ბელგიელი მუშა პიერ დეგეიტერი, რომელიც ლილის მუშათა მუსიკალურ წრეს „მშრომელთა ლირას“ ხელმძღვანელობდა და მისთვის ტექსტებსა და მელოდიებს თხზავდა, აღაფრთოვანა „ინტერნაციონალის“ შინაარსმა და პათოსმა; მან შეთხზა მუსიკა ამ ლექსისათვის. „ინტერნაციონალი“ პირველად 1888 წლის 23 ივნისს იქნა საჯაროდ შესრულებული ლილში მუშათა დღესასწაულზე.

„ინტერნაციონალის“ ჰანგი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ხალხის გულში. იგი სწრაფად გასცილდა საფრანგეთის საზღვრებს. რუსეთში „ინტერნაციონალი“ 900-იანი წლების დასაწყისში გავრცელდა, პირველი რევოლუციის წინა წლებში. მისი მძლავრი მელოდიის გუგუნი ყოველ კრებასა და დემონსტრაციაზე გაისმოდა. 1917 წელს „პრავდა“ წერდა: „ინტერნაციონალს“ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც წითელ დროშას.., მას მღერიან ევროპის მუშები, ჩვენც უნდა ვიმღეროთ იგი ყოველი პროლეტარული გამოსვლების დროს; სიმღერის მოტივი ახლობელია ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის“.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „ინტერნაციონალის“ სამსტროფიანი ტექსტი საბჭოთა სახელმწიფოს ჰიმნად იქნა გამოცხადებული. 1944 წლიდან, როდესაც სსრ კავშირის ახალი სახელმწიფო ჰიმნი დამტკიცდა, „ინტერნაციონალი“ პარტიულ ჰიმნად იქცა.

„ინტერნაციონალი“ თარგმნილია საბჭოთა ხალხების ყველა ენაზე.

საქართველოში, სხვა რევოლუციურ სიმღერებთან ერთად („ვარშაულა“, „მარსელიეზა“ და სხვა), „ინტერნაციონალის“ თარგმნასაც დროზე მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. ქართულ ენაზე იგი პირველად ითარგმნა 1905 წელს, როდესაც საქართველოს რევოლუციის მძლავრმა ტალღამ გადაუარა. „ინტერნაციონალის“ თარგმნას არა ერთმა და ორმა პოეტმა მოჰკიდა ხელი. ქართველ რევოლუციონერ პოეტს იროდიონ ევდოშვილს სხვადასხვა დროს სამი განსხვავებული ვარიანტით უთარგმნია ეს ლექსი (ა. კოცის რუსული თარგმანის მიხედვით): პირველად 1905 წელს („ივერია“, 1905 წ. № 224), სადაც მეორე და მესამე სტროფებს შორის ორი თავისი საკუთარი სტროფიც ჩაუმატებია; მეორედ — 1906 წელს სამ სტროფად („ლამპარი“, 1906 წ. № 11); ხოლო მესამედ ისევ 1906 წელს; აქაც, პირველი ვარიანტის მსგავსად, ორი საკუთარი სტროფი ჩაუმატებია. მისი თარგმანებიდან გავრცელებული მხოლოდ უკანასკნელი ვარიანტი იყო (წინა ორი ხელმოუწერლად დაიბეჭდა).

იმავე 1905 წელს აკაკის თავისებურად გადმოუქართულებია (საერთო შინაარსის დაცვით) რევოლუციური პოეზიის ეს შესანიშნავი ნიმუში. აკაკისეული თარგმანი პირველად „პატარა გაზეთის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა 1906 წელს. ამ ლექსის დაბეჭდვისათვის მთავრობამ ეს გაზეთი დახურა, ხოლო აკაკიც და გაზეთის რედაქტორიც პასუხისგებაში მისცა.

„ინტერნაციონალის“ თარგმნაზე მუშაობა არც შემდეგ წლებში შეწყვეტილა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გაზეთმა „კომუნისტმა“ კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო თარგმანზე. ამას მოწმობს იმავე გაზეთის ფურცლებზე (1921 წ. № 45) გამოქვეყნებული სამი ხელმოუწერელი თარგმანი. სწორედ აქედან არის აღებული სასიმღეროდ აღიარებული და დამტკიცებული ქართული ტექსტი, მცირეოდენი შესწორებით. ეს თარგმანი სიკო ფაშალიშვილს ეკუთვნის. ორიგინალიდან „ინტერნაციონალის“ პირველი სრული თარგმანი (ყველა ექვსი სტროფი, თავსა და ბოლოში დართული მისამღერით) შესრულებულია ვ. გაფრინდაშვილის მიერ („დროშა“ 1924 წ. № 10).

„ინტერნაციონალი“ მსოფლიო მუშათა კლასის მისწრაფებათა ნათელი გამოხატულებაა. იგი აკავშირებს ყველა ქვეყნის მშრომელებს, რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს მათ. „ინტერნაციონალი“ გამოხატავს იმ ადამიანთა ნათელ მრწამსსა და წმინდა იდეალებს, ვინც მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის იბრძვიან.

ეკ. მთვრალაშვილი.

---

ალექსანდრე ბეგაშვილი

# ჩემი მასწავლებელი

ვუძღვნი გიორგი ნარჩემაშვილს

მახსოვს,
როდესაც ჩვენს სკოლაში შემოდგი ფეხი,
მიტოვებული ახლად გქონდა
სტუდენტის მერხი.

მახსოვს, მორცხვად რომ მოგვესალმე
უცხო ჭაბუკი...
ჯერ არ გაგევლო ქარიშხალი,
ომის ქარბუქი...

ჯერ არ გენახა დღე
ქარ-წვიმით გამწარებული...
მახსოვს, ულვაში ახლად გქონდა
ამწვანებული...

იყავ ღარიბი
ღარიბული გეცვა სამოსი,
მაგრამ არ გაკლდა სხვა სიმდიდრე —
გქონდა ნამუსი!

არა, არ გაკლდა
უკეთესი დღის საწინდარი:
იყავ სპეტაკი, აზრნათელი,
გულით მდიდარი!

შენი სიკეთის, შენი ცოდნის
ვიცოდით ფასი
და სიყვარულით შეგცქეროდით
ჩვენ — მთელი კლასი.

ხატრი იქ ჩნდება,
სადაც ხვდება მხურვალე გული
და ჩვენც ვისმენდით შენს გაკვეთილს
სულგანაბული.

ასე, სწავლაში, სიყვარულში
ვიდოდნენ დღენი,
გულში სიამის, სიხარულის,
მზის შუქის მფენი...

მაგრამ იქუხა...
გაგივარდა ხელიდან ცარცი...
კეთილი შუბლი შეგეჭმუხნა,
გაგიხდა მკაცრი...

მტრის ტყვიას ფარად დაახვედრე
ფოლადის მკერდი...
მე მიხაროდა,
ფრონტიდან რომ წერილებს მწერდი.

მასწავლებელო,
შენახული მექნება მარად,
გულში ჩავიკრავ შენს გაცრეცილ,
სამკუთხა ბარათს!

ლამაზ ასოებს ამჩნევია
სისხლის ლაქები...
ვხარობ, სკოლაშიც
და ბრძოლაშიც
რომ ხარ ნაქები!

ცამ გადიდარა.
ძლევის დროშა აღვმართეთ გზნებით,
გავიდა წლები....
ვაიყარა ცხოვრების გზები...

და შემხვდი... შემხვდი...
განა ბიჭი, — ტანბრგე ვაჟკაცი.
შენს ქართულ თვალებს
არწივულად გააქვს კაშკაში...

კვლავ სკოლაში ხარ,
კვლავ ბავშვების ტრფობით ინთები,
კვლავაც დაფასთან დაგისვრია
ცარცით თითები...
კვლავ ზრდი,
ასწავლი,
თავს აყვარებ ახალგაზრდობას...
ჩემი მადლობაც მიემატოს
ათას მადლობას!

გიორგი ლეონიძეს მთელი სულითა და გულით უყვარდა მშობლიური ქვეყნის წარსული და აწმყო; ხალხური პოეზიის საუნჯე, ხალხური სიბრძნე მას მიაჩნდა ამ სიყვარულის, ამ მაღალი პატრიოტული რწმენის ახალ თაობებში დანერგვის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად; ხალხური შემოქმედება არა მხოლოდ წყარო იყო მისი თვითმყოფადი პოეზიისა, არა მხოლოდ სტიმული და შთაგონება, არამედ პოეტის შეუნელებელი ინტერესისა და ზრუნვის საგანიც. გ. ლეონიძე თითქოს დარაჯად ედგა ხალხის პოეტურ გენიას, ხალხურ მოხდენილ ფრაზასა თუ სიტყვას. ჯერ კიდევ 1985-1986 წლებში პოეტი აქტიური მონაწილე იყო რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობისა, იმ ხანებში გაზეთ „კოლექტივიზაციის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები. საერთოდ პოეტი მუდამ იწერდა თავის უბის წიგნაკში ხალხურ ლექსსა თუ გამოთქმას, რომელიც მანამდე უცნობი იყო. ასე მოიპოვა მან მრავალი მნიშვნელოვანი ხალხური მასალა, მათ შორის ქართული ზღაპრის ისტორიული ფუნქციის მაჩვენებელი შესავალი ფორმულა, პოეტის თქმით — „ზღაპრის თავი“:

თქვენ ძილი და მოსვენება,
ჩვენგან ზღაპრის მოხსენება,
ჩვენი ბატონის ორგულსა
ღამე ქაჯის მოჩვენება...
ეგი არის ზღაპრის თავი,
ბატონის მტერს ზღარბის თავი




გ. ლეონიძის მოპოვებული ეს ფორმულა დადასტურებაა აკაკი წერეთლის ცნობისა იმის თაობაზე, რომ ფეოდალურ საქართველოში იყო მთელი გვარეულობა, რომელიც ბატონის ბეგარას შაირების თქმითა და ზღაპრების მოყოლით იხდიდა.

გ. ლეონიძე მუდამ თვალყურს ადევნებდა ქართველ ფოლკლორისტთა საქმიანობას, მათს საველე-შემკრებლობით მუშაობას. ფოლკლორული ექსპედიციის წევრებს, იყვნენ ისინი მისი თანამშრომლები თუ არა, აძლევდა რჩევა-დარიგებას; მრავალთაგან სანიმუშოდ ერთ ფაქტს აღვნიშნავთ. 1968 წელს სტუდენტმა ნანა ბარისაშვილმა, ლექციის დაწყების წინ უკონვერტო, გახუნებული წერილი გადმომცა — დაკეცილ ქაღალდზე მისამართი ეწერა: „მცხეთა. ამხ. ალ. ბარისაშვილს“. იქვე, ფრჩხილებში გამგზავნის ხელმოწერა იყო — გ. ლეონიძე. წერილის ადრესატი პოეტის დისწულის ეთერ გედევანიშვილის მეუღლეა. ტექსტი მთლიანად მოგვყავს:

„სალამი ალეს! რასა იქ და როგორა ხარ ცოლშვილით. ვერ მოვახერხე თქვენი ნახვა დატვირთულობის გამო.

მოკლე ხანში გოროვანში ვაპირებ ავლას და გზად გინახულებთ.

ახლა ჩემი თხოვნა: თქვენს რაიონში მოდიან სამუშაოდ მეცნიერი ქალები აკადემიიდან (ფოლკლორის განყოფილება) თამარ ოქროშიძე, ქსენია სიხარულიძე, გთხოვ ჩემს მაგიერ გადასცე ამხ. ხუჯაძეს, რათა დაეხმაროს. ერთი თვით მოდიან თქვენს რაიონში ზეპირსიტყვიერების შესაკრებად და იმედია შენ და რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები დაეხმარებით.

ეთერი და ნუკრია დამიკოცნე. გიორგი ლეონიძე“.

წერილი დათარიღებული არ არის. ჩვენთვის კი ნათელია, რომ იგი დაწერილია 1949 წლის ივნისში, მაშინ როდესაც გ. ლეონიძე ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი იყო; იმ ხანებში მცხეთის რაიონში საველე მუშაობას ატარებდნენ წერილში მოხსენებული პირნი. საგულისხმოა, რომ ექსპედიციის წევრებმა მაშინ არც ვიცოდით პოეტის ჩვენდამი ამგვარი მზრუნველობის შესახებ.

1961 წელს გიორგი ლეონიძის თაოსნობითა და ხელისშეწყობით ჩატარდა დიდი ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ექსპედიციებში ასამდე კაცი მონაწილეობდა, მათ შორის 75 სტუდენტი იყო. ველად გასვლის წინ ექსპედიციის წევრებს გიორგი ლეონიძემ ვრცელი სიტყვით მიმართა, მოუწოდა ახალგაზრდებს გულდასმით შეეკრიბათ ხალხური საუნჯე. ექსპედიციათა მიერ 1961 წელს შეკრებილი მრავალი ათასი ნიმუში ზეპირსიტყვიერებისა დაცულია ფოლკლორის განყოფილების არქივში.

გიორგი ლეონიძემ ღრმა შინაარსის ნარკვევები მიუძღვნა ეროვნული ზეპირსიტყვიერების საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი სამამულო ომის წლებში დაწერილი ნარკვევები, რომლებიც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა. იმ მრისხანე დღეებში პოეტმა ხალხური ლექსებისა და თქმულებათა მიხედვით გააცოცხლა ძველი ეროვნული გმირები (შალვა ახალციხელი, ზეზვა გაფრინდაული, შალვა-შავლეგო და სხვ.).

ხალხურ საუნჯესთან გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი კავშირის ჩასაწვდომად არ კმარა მისი მდიდარი და მეტად თავისებური პოეზიის ზოგადი მიმოხილვა. არც იმ ხალხური მასალის აღნუსხვაა საკმარისი, რასაც პოეტი დიდი ოსტატობით იყენებს. ამ დიდი შემოქმედებითი კავშირის ამოსაცნობად საჭიროა საგანგებოდ იქნას შესწავლილი პოეტის ის ქმნილებანი, რომელნიც საგნობრივად, თემატურად, ჟანრობრივად და მხატვრულ სახეთა მიხედვით ხალხურ შემოქმედებას ენათესავებიან. ჩვენს ახლანდელ მსჯელობას, ისევე როგორც ადრინდელ ნაშრომს, მიძღვნილს გიორგი ლეონიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულებისადმი, მხოლოდ საკითხის დასმის პრეტენზია აქვს. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ წამოვჭრით ზოგ საკითხს, დამახასიათებელი ნიმუშების მოყვანითა თუ ამგვარ ნიმუშებზე მითითებით, რასაც ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს ლეონიძის პოეზიისა და ხალხური საუნჯის ურთიერთობის გასარკვევად.

ამგვარი ძიების დიდ გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია ლეონიძის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედების ოსტატებისადმი. პოეტი მუდამ მოკრძალებითა და სიყვარულით იხსენიებს სახალხო მგოსნებს. დიდი ქართული პოეზიის ფუძემდებლებს მიუძღვნა მან ღრმად პატრიოტული ლექსი „ვინც სთქვა ქართული ლექსი პირველმა“.

ნეტამც ვინ იყავ პირველი მთქმელი,
შენ, ბედნიერო და უსახელო,
ქართული სიტყვა, სულის ჩამდგმელი,
სტვირს რომ მიაწვე სახელდახელოდ!
იქნებ ლერწამი შენი ძვლებით,
არაგვის ჩქერზე ამოზრდილი;
იქნებ ჩუქურთმას შენაცვლებია
სვეტიცხოველზე შენი სხეული?
იქნება მტკვარზე მდგარი ნისლი ხარ,
გვერდი რომ გაჰკრა ახლა ფრინველმა?
არ ვიცი, მაგრამ ყველგან მიცვნიხარ,
ვინც სთქვი, ქართული ლექსი, პირველმა!

ხალხური შემოქმედებისადმი გიორგი ლეონიძის დამოკიდებულების პრობლემის შესწავლისას ისმის კითხვა, თუ როგორ ესმის პოეტს ესა თუ ის ხალხური ტექსტი, როგორ კითხულობს მას. ლეონიძის მდიდარი პოეზია უფლებას იძლევა ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და მშობლიური ენის ღრმა მცოდნე პოეტისათვის დამახასიათებელია ხალხური მასალის დაუფლება, მისი გაახლება, შინაარსით გამდიდრება და ამ მასალისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება. ამის ერთი ნიმუშია პროლოგი საისტორიო-პატრიოტული პოემისა „სამგორი“:

რეკება ციდან ზარი,
საოცარი,
ვერცხლის ზარი...
ეფინება ქვეყნის კიდურს
და არა აქვს ხმას საზღვარი!
რეკს ლაჟვარდის ბინადარი?
ან გგონიათ ვარსკვლავთ რეკა,
ცისარტყელის მინანქარის?
— არა!
— რეკავს ხალხის გული,
ხალხის გულის ღია კარი!
მას სამშობლო იმეორებს
დღე ცისმარი,
დღე ცისმარი...
მისთვის მიყვარს მისი ხმები,
მიტომ ამ ზარს არ აქვს ბზარი,
ისმოდა და ახლაც გვესმის
ყველა ხმაზე საოცარი —
ხალხის ზარი!..

ეს სტრიქონები, როგორც ამას ადვილად მიხვდება მკითხველი, შთაგონებულია ვახტანგ გორგასალზე შექმნილი გავრცელებული სიმღერით:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა
დიდმა მთებმა შექმნეს ღრეკა.

ამ ხალხურ სიმღერას მრავალგვარი ფუნქცია ჰქონდა, იგი სალაშქრო იყო, მას მღეროდნენ მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ვაჟკაცები. ეს სიმღერა ამშვენებდა აგრეთვე სარიტუალო თუ საოჯახო ნადიმებს.

გიორგი ლეონიძე ღრმად ჩაწვდა ამ ხალხურ ტექსტს, ამოიცნო მასში ხალხის გულისთქმა. პოეტმა ხალხურ სიმღერაში დაინახა რეალური სამყარო და დიდი ხელოვნებით დაუპირისპირა იგი რელიგიურ მისტიციზმს. „სამგორის“ პროლოგი ხალხური სიმღერის ერთგვარი პასუხია, რითაც ავტორმა პოემის პირველი სტრიქონებითვე ამცნო მკითხველს დიდი ეროვნული გმირის — ვახტანგ გორგასალის ისტორიული როლი.

გიორგი ლეონიძის ლირიკული ლექსები „ყივჩალური ღამე“ და „ყივჩაღის პაემანი“ შთაგონებულია ხალხური ბალადით „შემომეყარა ყივჩაღი“, მაგრამ აქაც პოეტი შემოქმედებითად უდგება ფოლკლორის საგანძურს.

ხალხური შემოქმედებისადმი ლეონიძის დამოკიდებულების პრობლემის ერთი აქტუალური საკითხთაგანია, თუ რა როლს აკისრებს პოეტი ხალხურ მასალას გმირთა სახეებისა და ხასიათების შექმნისას. სანიმუშოდ დავაკვირდეთ ქალთა სახეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

ძველ ხარფუხელებს ჯერ ისევ ახსოვთ იოსებ გრიშაშვილის სიჭაბუკე. ცოტანი-ღა დარჩნენ მისი ტოლები; სოსოს სიყრმე მათთვის ტკბილ მოგონებად იქცა. ამაყობენ მოხუცები, რომ ეს შესანიშნავი სასახელო პოეტი მათი უბნიდან იყო.

მათ ახსოვთ ფეშტამალშემოკრული პატარა ფირუზა, ცქვიტი და მოუსვენარი, საქმეში რომ ეხმარებოდა თავის მამას — ძველ მოკრივესა და დარბაისელ ყარაჩოღელს გრიშა მამულაიშვილს.

სოსო ბავშვობიდანვე ალალ-მართალი იყო, კეთილი, მოსიყვარულე.

ჩვენ მაშინ ხარფუხში ვცხოვრობდით. მამაჩემმა გიორგიმ თავიდანვე ყურადღება მიაქცია მომავალი მგოსნის ნიჭს, გამოჰგლიჯა იგი ქუჩას და უფროს ძმასთან ერთად, სასწავლებელში მიაბარა...

სოსომ შეიყვარა წიგნი და „წიგნის კითხვამ გადაარჩინა".

პურის ფული არ ჰქონდა და წიგნს დაეძებდა, ხალათი არ ეცვა და წიგნს ყიდულობდა. კითხულობდა დაყინებით, დღისით, ღამით...

მახსენდება ერთი ასეთი ამბავი: ფირუზა სახლიდან პურის სასყიდლად გაგზავნეს. გავიდა ქუჩაში და... ბუკინისტებში კარგ წიგნს მოჰკრა თვალი. დაავიწყდა დანაბარები. რამდენჯერ დამართია ასე...

ჩვენ მოწმენი ვართ მისი პირველი პოეტური ნაბიჯებისა, მაგონდება ჩვენი უბნის შინაური წარმოდგენებიც. სოსო წერდა ვოდევილებს, რეჟისორობდა, მსახიობიც თვითონ იყო. თეატრის შენობა? — თეატრი იყო ყველა ის აივანი, თუ ეზო, სადაც ფარდა ჩამოიკიდებოდა. ამ მხრივ, ყველაზე დიდი ფასი კაპაანთ სახლს ედო.

გავრცელებული აზრია, თითქოს იოსებ გრიშაშვილის ადრინდელი ლექსები მარტოოდენ სატრფიალო მოტივებს მოიცავსო. მაგრამ აი, 1908 წლის მარტით დათარიღებული მისი ჩემდამი მოძღვნილი გამოუქვეყნებელი ლექსი; აქ პოეტი ცხოვრების გზას სწორ არჩევანზე მსჯელობს, ახალგაზრდას სწავლისკენ მოუწოდებს.



ი. გრიშაშვილი თავის სიყრმის მეგობართან ერთად.

## ისწავლე!..

ვუძღვნი ელიზბარ შათირიშვილს

ჩემო ელიზბარ! ნუ ცელქობ, კმარა,
გმართებს იკითხო ბევრი წიგნები;
თუ უსწავლელი ამ სოფლად დარჩი,
იცოდე არვის გამოადგები.

მსურს შენც წაჰბაძო შენს უფროს
ძმებსა,
სწავლით ახარე დედ-მამის გული;
შენ ნუ აჰყვები ქუჩის ბიჭებსა,
სწავლაში გქონდეს შენ
გულისყური.

ეგრე, შენსავით, როს მეც ვიყავი
ჯერ სულ პატარა, გამოუცდელი
წიგნის სწავლებას ვანებე თავი, —
თუმც ეხლა ვნანობ, რაღას
ვუშველი?

მაშ ეგრე, ჩემო პაწა ელიზბარ!
ისწავლე წერა, ისწავლე კითხვა.
და თუ არა და უსწავლელობით
მუდამ მოგელის დევნა და კიცხვა.

სიყვარულით, სათუთად ვინახავ ამ ლექსს, ვუკითხავდი მას ჩემს ქალვაჟს, როცა ისინი პატარები იყვნენ. ეს ლექსი ჩემთვის უძვირფასესი რელიქვიაა.

**ელიზბარ შათირიშვილი.**
ხარფუხი.

---

გ. ლეონიძის დახატულ ქართველ ქალთა განუმეორებელ სახეებს ღრმა ეროვნული ფესვები აქვს. ამ შემთხვევაში პოეტი ახლო ნათესაობას ავლენს ხალხის პოეტურ გენიასთან. ამავე დროს, მისი პოეზიის გმირი ქალები სავსებით თვითმყოფნი არიან. ფორთოხალა, პირიმზე, ნინო ჭავჭავაძე, თოლია და კიდევ მრავალი რეალური თუ პოეტის წარმოდგენით შექმნილი ქალთა სახეები უჭკნობი შარავანდედით არიან მოსილნი. პოეტი დიდი ხელოვნებით აცოცხლებს მათ სახეებს; საგმირო-საისტორიო პოემაში „სამგორი" გიორგი ლეონიძემ მგზნებარედ მიმართა წარსული დროის მშრომელ ქალებს, ადიდა მათი საქმის უკვდავება, მათი წმინდა იავნანას შთამაგონებელი ძალა:

ნუთუ მართლა აღარა ხარო?
ნუთუ გახდით ნიავ-მტვერი?
არა, თქვენი იავნანა
ჩვენს აკვნებზე დღესაც მღერის!

ამავე პოემაში შთამბეჭდავი სტრიქონებითაა გაცოცხლებული ძველი საგმირო ტრადიცია — მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ვაჟკაცთა გასტუმრება ბრძოლის ველზე ახალგაზრდა ქალთა შთამაგონებელი სიმღერებით. ჭირთა შიგან მყოფ ძველი თბილისის პატრიოტ ქალებს მიუძღვნა პოეტმა ემოციური სტრიქონები:

აქ პირველად გიმღერიათ,
რა სჯობს იმ ხმის გაგონებას!
თქვენ მიეცით პირველ გმირებს
და ოსტატებს შთაგონება!

ქართველი ქალები არა მარტო საგმირო სიმღერებით მონაწილეობდნენ სამშობლოსათვის ბრძოლებში, ისინი ვაჟკაცების მხარდამხარ იდგნენ და უმკლავდებოდნენ მტრებს. სახალხო მგოსნებმა ღრმად ემოციური სტრიქონები მიუძღვნეს ქართველ ქალთა ამგვარ ამაღლებულ პატრიოტიზმს. ყოველივე ეს მუდამ იყო დიდი შთაგონების წყარო გიორგი ლეონიძისათვის.

მხატვრული სიტყვის ჯადოქარი პოეტი უდიდესი ტრფიალი იყო უშუალო, ძალადაუტანებელი ხალხური გამოთქმებისა. მას უყვარდა ხალხური მხატვრული სიტყვა და თავის შემოქმედებაში დიდი ოსტატობითაც იყენებდა მას. ამ საკითხის დასმისას პოეტის ერთ ლექსზე მივუთითებთ. ეს არის სამამულო ომის თემაზე შექმნილი, ამაღლებული პატრიოტიზმით შთაგონებული, სასიმღეროდ ატაცებული ლექსი „არ დაიდარდო დედაო". იგი ასე მთავრდება:

არ დაიდარდო დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა.

ესა და წინა სტრიქონებიც სიტყვათა წყობითა და ცალკე გამოთქმებით მსგავსია გავრცელებული ხალხური ლექსებისა: „მზეო ამოდი, ამოდი", „არ დაიდარდო გიგაი" და აგრეთვე ხევსურული მოთქმისა:

მზეო დადეგ და დაგვიანდიო,
მზევ, დგეხარ უკვენობისაო,
ვიყრებით დედა-შვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხურ გამოთქმებსა თუ ფრაზებს გიორგი ლეონიძის პოეზიაში ახალი, საოცრად ღრმა შინაარსი და დიდი ფუნქცია გააჩნია.

ხალხურ შემოქმედებასთან გიორგი ლეონიძის დამოკიდებულების დიდი პრობლემა აყენებს კიდევ ერთ საკითხს. ეს არის პოეტის შემოქმედების დიდი გავლენა ზეპირსიტყვიერებაზე: გიორგი ლეონიძის ბევრი ლექსი მასობრივი გახდა და ზოგ მათგანს ვარიანტებიც კი გაუჩნდა. ეს იმიტომ, რომ ხალხური ტალანტის მესაიდუმლე პოეტი ადვილად იკვლევდა გზას ხალხის გულისაკენ. ამაშია გიორგი ლეონიძის უბადლო ოსტატობა.

ასეთია ჩვენს მიერ დასმულ საკითხთა წყება. ამ საკითხთა გადაწყვეტა მოითხოვს საგანგებო ძიებას გიორგი ლეონიძის იმ ქმნილებათა, სადაც მაღალი ხელოვნებით არის გამოყენებული პოეტური ფოლკლორის სიუჟეტები, მოტივები, ხერხები. ასეთებია მისი მრავალი ლირიკული ლექსი, პოემები — „ფორთოხალა", „ბერშოული", „სამგორი", „ბავშვობა და ყრმობა" და მხატვრული პროზის ბრწყინვალე ნიმუშთა კრებული „ნატვრის ხე".

მთლიანად ხალხურ შემოქმედებასთან გიორგი ლეონიძის დამოკიდებულების პრობლემა ისევე დიდი, რთული და მრავალმხრივია, როგორც მისი განუმეორებელი პოეზია.

**ქსენია სიხარულიძე.**

გიორგი ლეონიძე ფოლკლორისტებთან ერთად



# დიმიტრი ერისთავი



მესაათე.

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატს, ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს დიმიტრი ერისთავს ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. მან თავიდანვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ინდივიდუალური ხელწერისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე ხელოვანმა.

დ. ერისთავის ხატვის მანერა სადაა, გამჭვირვალე, ყოველი მისი შტრიხი ფართოდ დამტევი და ბევრის მთქმელია. მის ნაწარმოებებში ჩვენ გვხიბლავს როგორც იდეური ჩანაფიქრი — ადამიანის სიყვარული, სწრაფვა სიცოცხლისა და სიკეთის გამარჯვებისაკენ, — ისე შესრულების ხარისხი, მაღალი ოსტატობა.

ხარაზი.



დ. ერისთავის ძირითადი თემა ახალგაზრდობაა. აქ იგი ხედავს სიცოცხლეს, სიხარულსა და სიხალისეს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია დ. ერისთავის მიერ პროფესიული ოსტატობით შესრულებული ჟურნალებისა და წიგნებისათვის შექმნილი ილუსტრაციები.

უკანასკნელ ხანებში დ. ერისთავმა შექმნა მისი ხელწერისათვის რამდენადმე განსხვავებული მანერით დაწერილი სურათების სერია. შესრულების მანერის ეს სიახლე, რომელიც ძირითადად ფაქტურის გულმოდგინე დეტალიზაციაში ვლინდება — თვით თემამ უკარნახა მხატვარს.

ასეთი გულმოდგინე და ოსტატური დეტალიზაციის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა „მესაათის“, „ხარაზის“ „მეცნიერისა“ თუ „მეეზოვის“ ჭეშმარიტად შთამბეჭდავი და მაღალოსტატური ტიპაჟის შექმნა.

ხელოვნის ყალმით გაცოცხლებული ადამიანები უბრალო მშრომელები არიან. ისინი ჩუმ, უპრეტენზიო, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ეწევიან. დიმიტრი ერისთავის ამ ახალ ნაწარმოებთა რეპროდუქციებს აქვე ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

# კოტე კიკნაძე



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: ა. ხორავა, ა. ვასაძე და ვ. ანჯაფარიძე.



გოგონას პორტრეტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის პორტრეტი.

თანამედროვე ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებაში კოტე კიკნაძეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საუკუნის მეოთხედზე მეტია, რაც იგი თანაბარი გულმოდგინებით და ენერგიით მუშაობს როგორც მხატვარი და როგორც პედაგოგი. თავის მოსწავლეებს იგი უნერგავს მაღალ პროფესიულ კულტურას, რეალიზმისადმი ერთგულებას, იმ კეთილშობილური ტრადიციებისადმი სიყვარულს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შექმნეს და დაამკვიდრეს ძველი ქართული კულტურის დიდოსტატებმა.

კოტე კიკნაძემ სამხატვრო აკადემია 1935 წელს დაამთავრა; მომდევნო წლების მანძილზე სწავლობდა ასპირანტურაში, მუშაობდა კინოსტუდიაში, სამხატვრო აკადემიაში. 1946 წლიდან დღემდე იგი ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის დირექტორია და საშუალო სამხატვრო განათლების საქმეს მეთაურობს რესპუბლიკაში.

კ. კიკნაძის ფერწერა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. დიდი წარმატებით და მოწონებით სარგებლობენ მისი საპორტრეტო, საპეიზაჟო, ისტორიული და ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის სურათები. კომპოზიციურად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მისი ჯგუფური პორტრეტები — „ივანე მაჩაბლის სტუმრები“, „სახალხო არტისტები“, „ქართველი მხატვრები საგამოფენო დარბაზში“ და სხვ. ძალზე საინტერესოა მისი პეიზაჟები — მხატვარი ახლებურად განაცდევინებს მნახველს კახეთის, მთიულეთის, იმერეთის, თბილისის და აგრეთვე უცხო ქვეყნების პეიზაჟებს. ამ ნაწარმოებებში იგრძნობა ღრმა პოეტური განცდა.

არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა მხატვარმა ქართველი კაცის შრომას. მან შესძლო გამოეხატა ჩვენი დროის ადამიანის— მშენებლისა და მებრძოლის კეთილშობილური სახე. მხატვრის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია სივრცის კომპოზიციური ხილვა, ფერწერულობის დიდი ძალა და უშუალობა, სახიერების დიდი დიაპაზონი.

შალვა კვასხვაძე

იმერეთი.



სიღნაღი.



# დიმიტრი ერისთავი



მევიოლინე ბიჭი.



მეეზოვე.



მეცნიერი.



მქსოველი ქალი.

# მძიმე დღეები

თავის ცნობილ წიგნში „გენერალური შტაბი ომის წლებში“ არმიის გენერალი სერგეი შტემენკო, მოგვითხრობს რა კავკასიის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებზე, იხსენებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მითითებით განხორციელებულ იქნა როგორც ბაქოს მიმართულების, ისე კავკასიონის უღელტეხილების, საქართველოს სამხედრო გზისა და ნოვოროსიისკ-ტუაფსეს მიმართულების დასაცავად. სწორედ ამ ღონისძიებების განხორციელების დაჩქარებისა და ხელისშეწყობის მიზნით კავკასიაში, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, ჩამოვიდნენ ს. მ. შტემენკო, პ. ი. ბოდინი და მათი თანმხლები პირები. ისინი აქ ერთ თვეს დარჩნენ.

„ერთი თვის შემდეგ, — წერს შტემენკო, — დავბრუნდით მოსკოვში. გერმანელთა არმიების „ა“ ჯგუფის სარდლობის ტრაბახა განცხადებების მიუხედავად, რომ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგობას მალე გავტეხთო, მდგომარეობა ამიერკავკასიაში სტაბილური გახდა. ჩვენთან არ იყო მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტი პ. ი. ბოდინი — იგი დანიშნეს ფრონტის შტაბის უფროსად. მაგრამ დიდხანს არ ეჭირა მას ეს მაღალი პოსტი. 1 ნოემბერს ბოდინი დაიღუპა ორჯონიკიძის რაიონში, რომელსაც გერმანელთა ავიაცია ბომბავდა: არ მოისურვა უსაფრთხოების მიზნით მიწაზე დაწოლილიყო და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა“.

ბოდინთან ერთად დაიღუპა კიდევ ორი კაცი. სწორედ მათს შესახებ მინდა მივაწოდო მკითხველს ცნობა, რომელიც მე მომეპოვება.

1942 წლის 1 ნოემბერი იყო, თუ არ ვცდები კვირა დღე. 6-7 საათი იქნებოდა. შინ ვბრუნდებოდი. ის-ის იყო ჩემს ქუჩაზე (ლეო ქიაჩელის ქ. № 23) გავუხვიე, რომ რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი სერგო ბუაძე შემომხვდა, რომელიც იქვე, პარალელურ ქუჩაზე ცხოვრობდა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა. ჩვეული მოკითხვის შემდეგ შინ მივიპატიჟე სადილად. „ჩემთან წამოდიო, — მომიგო სერგომ, — ცოლშვილი აქ არა მყავს, სახლში მხოლოდ ჩემი და, ხელს არავინ შეგვიშლის და გულს ვიჯერებთ ლაპარაკით, თანაც, ისეთი სადილი მაქვს, გესიამოვნებაო“. თავპატიჟი არ გავიდე და გავყევი. ჩემიანებს დავურეკე და შევატყობინე, რომ დამიგვიანდებოდა. მეგობრულ საუბარში ისე განვლო დრომ, არც შეგვიმჩნევია თერთმეტი საათი როგორ შესრულდა. სერგომ შემატყობინა — ხვალ დილით სამხრეთის საზღვარზე მივდივართ, ნახიჩევანის მახლობლად, სხვა ამხანაგებთან ერთად, ადრე ვარ ასადგომიო, მომიბოდიშა და მეც გამოვემშვიდობე.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, ის-ის იყო ჩავიძინე, როდესაც ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. მატყობინებდნენ სასწრაფოდ მოვმზადებულიყავი ქალაქიდან გასასვლელად, ფრიად სერიოზული შემთხვევის გამო. მოგეხსენებათ, ომის წლები იყო და შეკითხვები — სად? ან რატომ? მიღებული არ იყო. მხოლოდ ის შევეკითხე რა დროს გამომივლიდნენ. დაუყოვნებლივ მოემზადეთო, — მომიგეს. მაშინვე ავდექი.

დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც გათენებამდე მომიხდა ლოდინი. დილის შვიდი საათი იქნებოდა, ორი კაცი რომ მომადგა კარს — წავიდეთო. ვუსაყვედურე — „პირველი საათიდან ჩაცმული გელოდებით-მეთქი“, მათ მიპასუხეს — „არც ჩვენ გვეძინაო. საჭირო იყო ისეთი ავტომანქანის შოვნა, რომ ოთხივე ბორბალი წამყვანი ყოფილიყო. ვლადიკავკავის გზა უნდა გავიაროთ და ყველა მანქანა არ გამოდგება“.

„მ-1“ გველოდებოდა — საბჭოთა მარკის ერთ-ერთი გამძლე მანქანა; საქართველოს სამხედრო გზას რომ გავუდექით, მაშინ მითხრეს — ვლადიკავკავთან სამი ამხანაგი დაიჭრა ბომბარდირების დროს და მათთვის დახმარების აღმოსაჩენად უნდა წაგიყვანოთო. დაჭრილები იყვნენ გენერალი ბოდინი — ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი, გენერლები ანდრო ზოდელავა და ალექსანდრე საჯაია — სამხედრო საბჭოს წევრები.

მანქანა სწრაფად ლევდა გზას. ფასანაურს რომ გავცდით და მლეთის აღმართს შევუდექით, საპირდაპიროდ მომავალი მანქანა შემოგვხვდა. ზოდელავას ცხედარი მოჰქონდა თბილისისაკენ. გვითხრეს — დარჩენილი ორი კიდევ ცოცხალია, იჩქარეთ, იქნებ უშველოთო.

ვლადიკავკავის ახლოს, პატარა სოფელში, სადაც მხოლოდ რამდენიმე მოსახლე ცხოვრობდა, შეგვატყობინეს — საჯაია უკვე აქ ჩამოიყვანეს და ბოდინს ველოდებითო. საუბარი ჯერ არ დაგვემთავრებინა, სასწრაფო მანქანამ გარდაცვლილი ბოდინის ცხედარი რომ ჩამოიტანა.

ალიოშა საჯაიას დიდი ჭრილობები ჰქონდა ზურგის არეში და მარცხენა ხელი მოგლეჯილი; მოგლეჯილი არე ნაამპუტაციები იყო.

ავადმყოფი ძლიერ აღზნებული იყო, რაც მე დასაწყისში ნარკოზის მოქმედებას მივაწერე, ხოლო როდესაც ჭრილობას დავუკვირდი, მივხვდი, რომ მძლავრ ინფექციასთან ე. წ. „ელვისებრ აიროვან განგრენასთან“ მქონდა საქმე. გულმოდგინე გასინჯვის შემდეგ კანქვეშა კრეპიტაციის უბნებიც აღმოვაჩინე. მაშინვე გავხსენი ჭრილობა და კრეპიტაციის ადგილები გავაღრმავე. მოგეხსენებათ, იმ დროს არც ანტიბიოტიკები და არც სულფამიდები გაგვაჩნდა და ჩემთვის საჯაიას უიმედო მდგომარეობა აშკარა იყო.

ბოდინის ცხედარი თბილისს გამოვისტუმრეთ და მე ჩემს თანმხლებ პირებთან ერთად იქვე დავრჩი. მეორე დღეს, დილით, ის სოფელი, სადაც გაჩერებული ვიყავით, მტრის ავიაციამ დაბომბა. მე და საჯაიას ყოფილი შოფერი სასწრაფოდ გამოვედით სახლიდან. მან ძლით ჩამაწვინა თხრილში: „შენი ჭირიმე, ვაჟკაცობას თავი დაანებე, ჩაწექი ამ თხრილში. ეს სამი კაცი გაუფრთხილებლობამ იმსხვერპლაო“, და შემდეგი მომითხრო:

მ ო გ ო ნ ე ბ ა

— ვლადიკავკავში მტრის თვითმფრინავებმა ძლიერად დაბომბეს ქალაქის გარეუბანი; როდესაც განგაში ჩათავდა, ბოდინმა, საჯაიამ და ზოდელავამ გადაწყვიტეს დაზარალებული ადგილის დასათვალიერებლად წასულიყვნენ. სამივე გამოვიდნენ და ჩასხდნენ პატარა უცხოურ წითელ მანქანაში, საჭესთან მე ვიჯექი, გვერდით — ბოდინი, ხოლო ზოდელავა და საჯაია უკან ისხდნენ. როგორც კი კავკავიდან გამოვედით, მტრის თვითმფრინავიც გამოჩნდა. მივხვდით, რომ დაგვინახა და არ დაგვზოგავდა. მანქანა გავაჩერე. მე იქვე თხრილში ჩავწექი. გავიგონე როგორ მიმართა ბოდინმა მანქანიდან გადმოსულ საჯაიას და ზოდელავას: — „ყმაწვილებო, ხომ არ შეგეშინდათო“, და სამივენი გზის გადაღმა მიტოვებული თავლის კედელთან მიდგნენ, ზურგით გზისაკენ. მფრინავმა სწორედ აქ ჩამოაგდო ბომბი. მე თხრილში ჩაწოლამ გადამარჩინა. ისინი კი, სამივე ზურგში დაიჭრნენ. ჩემსავით თხრილში რომ ჩაწოლილიყვნენ, ნამდვილად გადარჩებოდნენო, — ნაღვლიანად დაამთავრა ეს ამბავი შოფერმა. საგულისხმოა, რომ შტემენკოს წიგნში სწორედ ასეა მათი დაღუპვის ამბავი მოთხრობილი — თხრილში ჩაწოლა ითაკილეს და ამიტომ დაიღუპნენო.

როგორც მითხრეს, ბოდინი თურმე გამოირჩეოდა რაღაც განსაცვიფრებელი სიმამაცითა და გაბედულობით. მან სახელი მოიხვეჭა ორმოცდაერთი წლის ოქტომბერ-ნოემბერში, პერეკოპის დაცვის დროს, სადაც მისმა კორპუსმა ჰიტლერის ჯარებს დიდი ზარალი მიაყენა.

...საჯაიას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. მესამე დღეს თბილისიდან ერთი პასუხისმგებელი პირი ჩამოვიდა მის სანახავად, საჯაია რომ უიმედო მდგომარეობაში ნახა, გვითხრა: „თქვენ ცუდი ამბავი დამახვედრეთ; მაგრამ უბედურება ის არის, რომ მეც ცუდი ამბავი მოგიტანეთო“, და შეგვატყობინა, რომ რამდენიმე დღის წინ ირანის საზღვრიდან უკან მომავალი მანქანის კატასტროფის დროს დაიღუპნენ ს. ბუაძე და გ. კვარაცხელია. ორივესთან ახლო საქმიანი ნაცნობობა მაკავშირებდა. ამას გარდა, პარტიული კონტროლის მაშინდელი უფროსის კვარაცხელიას შვილი ჩემი მოწაფე იყო. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ საჯაია გარდაიცვალა. თბილისს წამოვიღეთ მისი ცხედარი. როგორც ვლადიკავკავში, ისე ირანის საზღვარზე დაღუპულები ერთად დავმარხეთ ვერის სასაფლაოზე.

იმავე დღეს მე ირანის საზღვრისაკენ გამგზავნეს. ბუაძესა და კვარაცხელიას ახლდა კიდევ ერთი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მას საექიმო დახმარება სჭირდებოდა. მე და ის კაცი თბილისში ერთად დავბრუნდით.

გაიარა დრომ. გრიპით ვიყავი ავად და სახლში ვიწექი, როდესაც უცნობი სამხედრო პირი მოვიდა (მისი გვარი არ ვიცი) და ჩემთან შემოსვლა ითხოვა. „ავად ბრძანდებით, მაგრამ კარგი საჩუქარი მოგიტანეთ და ამით გაგახარებთ“, — ასე მომმართა. გაოცების გამოთქმა ვერ მოვასწარი, რომ „წითელი ვარსკვლავის ორდენი“ ამოიღო და გადმომცა. ძლიერ გამიკვირდა და წყენით ვუთხარი :„რას ხუმრობთ? როდის ყოფილა ორდენით სახლში აჯილდოებდნენ ადამიანს“. მან მომიგო: „ამჟამად ფრონტის სარდლობა უფლებამოსილია თვითონ გადასცეს ჯილდო და ამიტომაა, რომ სახლში მოგიტანეთ“.

როგორც შტემენკოს წიგნიდან ირკვევა, მართლაც და ადგილზე დასაჩუქრების უფლება არა მხოლოდ ფრონტის, არმიის სარდლობასაც ჰქონდა იმ დროს მიცემული.

არ დამავიწყდება, ერთ-ერთი თავშეყრის დროს, ერთმა ჩემმა კოლეგამ ამ ორდენის თაობაზე თქვა: „თურმე შესაძლებელია სახლში იჯდე და საომარი ორდენები მიიღო“. ჩემი მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ ვერას მივუგებდი, რადგან სად ან რისთვის დამასაჩუქრეს, ამის თქმა არ მმართებდა.

მსგავსი გამოძახებანი ფრონტზე დაჭრილთა დახმარების აღმოსაჩენად შემდეგშიაც არაერთგზის მქონდა, მაგრამ 1942 წლის ნოემბრის პირველი რიცხვების მძიმე დღეებს არცერთი არ შეედრება.

აკადემიკოსი

**კონსტანტინე ერისთავი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეღამებისას

მიხეილ ლოხვიცკი

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ხანს ნახირი მთიდან დაეშვა. წითური ძროხები სულ მალე ორღობეებში გამოჩნდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, დრუნჩები წინ გაეშვირათ და შინისკენ ისწრაფვოდნენ.

ნახირს ენაგადმოგდებული ძაღლები მოსდევდნენ.

მდინარის მეორე მხარეს, კლდოვან ნაპირზე თეთრი ბურთებივით ხტოდნენ თხები. გზაზე ჩამოიშალნენ და კიკინით გასწიეს დაკიდულ ხიდისაკენ. მათ წინ მედიდურად მიაბაკუნებდა ვაცი. თხებს შინ კი არ მიეჩქარებოდათ, უნდოდათ ხიდს გაღმა ვინმეს ბაღში შეცვივნილიყვნენ.

სკოლის ეზოში ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. ისმოდა ხან მოწონების შეძახილები, ხან გულშემატკივართა გამამხნევებელი ყიჟინი.

რკინიგზის ბაქანთან, მორზე ისხდნენ მოხუცები და დინჯად ბჭობდნენ ცხოვრებაზე. მათ მახლობლად ზურგზე ტომარაწამოკიდებულმა მოხუცმა ქალმა გაიარა. ამ ქალს მთელი სოფელი დიდედას ეძახდა. ბებიები ცოტანი როდი იყვნენ სოფელში, დიდედა კი ის ერთი იყო.

— აბა, ბიჭებო, — დაიძახა მოხუცთაგან რომელიღაცამ, — ვერ უყურებთ, მიშველება უნდა!

გულშემატკივართაგან ერთი ცამეტიოდე წლის ბიჭი ადგილს მოწყდა და დიდედასთან მიირბინა. მოხუცმა ქალმა იუკადრისა:

— არ შემარცხვინო, ბიჭო! — შეუტია ხმადაბლა, — მე თვითონ წავიღებ.

ბიჭი არ მოეშვა. ტომარა გამოართვა, ზურგზე მოიგდო და სოფლის ვიწრო ქუჩაზე გაემართა. დიდედა მსუბუქი, მოკლე ნაბიჯით გაჰყვა ბიჭს.

— უწინ არაფრით არ დაანებებდა ტომარას, — თქვა ერთმა მოხუცმა.

— ჩანს, უჭირს უკვე!

— არა, ის აღარ არის, რაც იყო.

— ეჰ, რას იზამ... ყველას ბედი ეგ არის... იქნებ თითო ჭიქა დაგველია, რას იტყვით?

— კარგი სიტყვაა, შალიკოსაც დავუძახოთ!

გზაზე საბარგო მანქანა გამოჩნდა, ხიდი გადმოიარა და ბაზრისაკენ რკინიგზა გადმოჭრა.

— ალბათ სურსათი მოიტანეს მაღაზიაში.

— არა, ეგ კინოს მანქანაა. ალბათ ფილმი მოიტანა.

მოხუცების წინ ორმა მხარზე თოხგადადებულმა კაცმა ჩაიარა.

— სიმინდს თოხნიდით? როგორი სიმინდია, ვანო?

— სიმინდი კი კარგია, მაგრამ ის ვერანა დათვი შეეჩვია.

— მახე უნდა დაუგოთ.

— მეტი გზა არ არის.

გზაზე ახლა ხარებმა გაიარეს, რომლებიც ხის გრძელ მორს მიათრევდნენ.

— გიორგი შენდება, მიშიკო მალე არმიიდან დაბრუნდება და სახლ-კარი ხომ უნდა.

ბინდ-ბუნდში ისხდნენ მოხუცები. შემოუქდნენ მთის ფერდობები, სახლებში ელნათურები აციალდა. ცა კი ისევ ნათელი იყო, იასამნისფერი.

როცა აღმოსავლეთით პირველი ვარსკვლავი აენთო, მოხუცები წამოიშალნენ და შინ წავიდნენ. მაგრამ ცოტა ხნით. მათ ისევ შეიყარეს თავი ერთ-ერთის ეზოში, ვაშლის ხის ქვეშ, სადაც ელნათურა ანათებდა: ვინ დოქით ღვინო მოიტანა, ვინ მწვანილი, ვინ პური და ხაჭაპური. ხის ქვეშ გაშალეს სუფრა, აირჩიეს თამადა და ნელა შემსვეს ღვინის სმას და ქვეყნის ავ-კარგზე ბჭობას. შიგა და შიგ ხუმრობდნენ და გულიანად იცინოდნენ.

ამ დროს კლუბში კინოაპარატი ხმაურობდა. ეკრანზე იტალიელი გოგო და ბიჭი დიდხანს ეძებდნენ თავშესაფარს, ისე დიდხანს, რომ მაყურებლებს მოთმინების ფიალა აევსოთ. ბოლოს, როგორც იქნა, გოგომ და ბიჭმა მოძებნეს თავშესაფარი და ერთმანეთს საკოცნელად მისწვდნენ. ისე გულიანად ჩაკოცნეს, კარგა ხანს ერთმანეთს არ მოშორებიან. დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა და ვიღაცამ დაიძახა: „სული შეგვეხუთებათ, თქვე ოხრებო!" ეს არაფერი: გაშორდნენ გოგო და ბიჭი და ახლა თითო სილით დაასაჩუქრეს ერთმანეთი. მაყურებლები ისევ აჩოჩქოლდნენ.

ბაქანთან, მორზე ახლა ქალები ჩამომსხდარიყვნენ. გაღმა, მდინარის ჩაპირზე ბიჭებს ცეცხლი დაენთოთ და მის შუქზე თევზს იტყუებდნენ.

ხეობიდან მატარებლის ხმა მოისმა. მერე ბნელში გამოჩნდა ვაგონების განათებული ფანჯრები. ტყიან ფერდობსა და კლდეს პროჟექტორის შუქი მიეფინა. შუქი ბაქნისაკენ შემობრუნდა და დამაბრმავებელ სინათლეს ქალებმა თვალი ვერ გაუძლეს. გაისმა ელმავლის ჩაგუდული, მაგრამ ძლიერი ხმა და მალე მატარებელი ბაქანზე ჩამოდგა. ვიღაცამ ვაგონის ღია კარიდან დაიძახა:

— ეი, ხალხო! ერთი ქალი მოდიოდა თქვენთან, შეცდომით კარიერთან ჩამოხტა. გეყურებათ, ხალხო?

ქალები წამოდგნენ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

— გაიგეთ? შეცდომით ჩამოსულა...

— ნეტა ვინ იქნებოდა?

— თანაც, ამ სიბნელეში!

მატარებელი წავიდა.

კარიერი — დინამიტით ჩამონგრეული მთის ფერდობი — ხუთ კილომეტრზეა სოფლიდან. იქ დღისით ქვას ამზადებენ, მატარებელი კარიერთან სვლას ანელებს ხოლმე, რომ კლდე არ ჩამოიქცეს, ხანდახან შედგება კიდეც. ღამ-ღამობით კარიერზე კაციშვილი არ არის.

— რას მარჩიელობთ? რა მოხდა? — დაიძახეს ბაღიდან მამაკაცებმა.

ქალებმა გასძახეს:

— ვიღაც ჩვენიანი შეცდომით კარიერთან ჩამომხტარა... ქალია, უბედური... რა ეშველება ამ სიბნელეში?

— ჩვენიანს არ შეეშლებოდა. ალბათ, ვიღაც სხვა იქნება, — დაიწყეს მსჯელობა მოხუცებმა, — დევაძეს თბილისელი მდგმურები ჰყავს. იმათიანი იქნებოდა ალბათ... რაზმაძეებთანაც ცხოვრობენ. გელაშვილებმაც გააქირავეს ოთახი.

— შორს არ არის. მოვა.

— იქნებ ბევრი ბარგი აქვს?

— ქალს მარტო შეეშინდება.

— ამას წინათ დათვები სიმინდში დაძვრებოდნენ. ქალს არ გადაეყარონ — რამე არ მოხდეს!

— მე ნათურა მაქვს. წავალ, შევხვდები, — წამოდგა ერთი მოხუცი, — თქვენ აქ ნუ აჩქარდებით. ერთ საათზე მეტი არ დამჭირდება.

— ერთიც დალიე, ვასო. ნათურა რად გინდა, ეგერ წადი. გზა არ იცი თუ რა?!

— როგორ არ ვიცი. სამოცი წელი სულ აქ დავდივარ. ბნელა, ქალს შევაშინებ. ნათურით კი, გავანათებ და გული დაუამდება.

— იქნებ უფრო შეაშინო. იფიქრებს ბებერი ეშმაკი მიწიდან ამოძვრაო.

— მე შენ გიჩვენებ ეშმაკს! — საერთო სიცილში დაემუქრა მთქმელს ვასო.

ყოველგვარი ახალი ამბავი სოფელს უმალ მოედებოდა ხოლმე. ერთმა ქალმა კლუბში შეიხედა, მეორემ მეზობლები დაიარა, სადაც ჩამოსული ხალხი ცხოვრობდა, მესამე სხვებს გაეხმიანა. შეიძრა სოფელი.

ვასო უკვე გზას ადგა. სანათურით რელსებს ანათებდა, შუქი მაყვლის ბუჩქებსაც ეცემოდა. ვასო მონადირის მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა.

სულ მცირე მანძილიღა იქნებოდა კარიერამდე, ვასოს წინ სინათლემ გაიელვა და ფეხისხმაც გაისმა. ვასო მიხვდა, რომ ისინი მოდიოდნენ. დააკვირდა. ღამის სიბნელეში ორნი გალანდა, მამაკაცი და ქალი. მამაკაცს ხელში ნავთის სანათური ეჭირა.

მალე ვასომ მამაკაცში თავისი მეზობელი, რკინიგზის დარაჯი, გიორგი შეიცნო.

— გამარჯობა, გიორგი. ამ შუაღამისას ვისთან ერთად სეირნობ, კაცო?

— ო, ვასო შენა ხარ? აი, ეს ქალი შეცდომით ჩამოსულა კარიერთან...

ვასომ სანათური შემართა, რომ ქალის სახე დაენახა.

— გამარჯობათ, ეს როგორ მოგივიდათ?

ქალმა ხმადაბლა დაიწყო:

— რა ვიცი. ჩამთვლიმა. უცებ ვიღაცის ხმა მომესმა კორტანეთიო. მე კართან ვიჯექი. მატარებელი გაჩერდა თუ არა, ბარგი უმალ ჩამოვყარე და მეც ჩამოვხტი. როცა ვიგრძენი, რომ ბაქანზე არ ვიყავი, ყვირილი დავიწყე, მაგრამ მატარებელი უკვე წავიდა...

— ალბათ ვერ გაიგო მემანქანემ, თორემ გააჩერებდა. რაც იყო, იყო, გიორგი, მომეცი ჩემოდანი. მე სწორედ ამ ქალის დასახვედრად მოვდიოდი. ახლა მე გავისეირნებ მასთან ერთად. რა გქვიათ? — ახლა ქალს მიუბრუნდა ვასო.

— ნინო.

— ვისთან მიდიხართ?

— რაზმაძეებთან. იქ ჩემი დედა და ბავშვები არიან.

— წავიდეთ. ნახვამდის, გიორგი!

— ნახვამდის, ვასო.

— გმადლობთ, გიორგი, — უთხრა ნინომ.

— არაფერს, რის მადლობა.

ვასომ და ნინომ გზა განაგრძეს.

— შეშინდით? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ჰო, ცოტა, შევკრთი...

მათ წინ ელექტრონათურის შუქი გამოჩნდა.

— ვიღაც მოდის, — თქვა ნინომ.

მალე მათ ორი ახალგაზრდა მიუახლოვდა.

— დააგვიანეთ ბიჭებო! — შეაგება ვასომ.

— რა ვქნათ, კინოს ვუყურებდით. როგორც კი გავიგეთ, ქალი კარიერთან მატარებელს ჩამორჩაო, მაშინვე წამოვედით, — დაიწყო ერთმა, — ძია ვასო, მომეცით ჩემოდანი. კიდევ რა გაქვთ. მომეცი, მომეცი!

გზა რომ მოკლედ გადაეჭრათ სოფლისაკენ, მარცხნივ გაუხვიეს, ბილიკით ბექობზე ავიდნენ და დაინახეს, რომ რკინიგზაზე ხალხი მიდიოდა ჩირაღდნებით.

— ეჰეი! — შეუძახა მათ ვასომ, — შეჩერდით, ხალხო! აქ არის, ჩვენთან არის!

— კარიერთან რომ ჩამოვიდა? — მოისმა რკინიგზიდან.

— რაზმაძეებთან მიდის. ნინა ჰქვია.

— ბარგი აქვს? მოგეხმაროთ?

— არა, ჩვენც კარგა ვშველით.

— გმადლობთ, გმადლობთ! გასძახა ნინომ რკინიგზაზე მყოფთ.

— აი, კიდევ მოდიან, — თქვა ვასომ, — გესმით ხმები! რა უთავბოლოა ჩვენი სოფელი. ქვა დამარტყით თავში, თუ ყველა სახლიდან ვიღაც არ იყოს გამოქცეული.

ბიჭებმა გაიცინეს.

— ძია ვასო, შენც ხომ სხვების უკითხავად წახვედი?

მოხუცმა ჩახველა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს შეკითხვა არც კი გაუგონიაო.

თარგმნა თინათინ გოგოლაძემ.

# ვინ იყო გრიგოლ ბაკურიანის ძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა აკად. აკაკი შანიძის სამეცნიერო ნარკვევი „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე და მისი დაარსებული ქართული მონასტერი ბულგარეთში“.[1] აკ. შანიძისათვის ჩვეული პირველწყაროების სკრუპულოზური ანალიზის შედეგად წიგნში დადგენილია პეტრიწონის მონასტრის დამფუძნებლის ვინაობა.

პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს მონასტერმა, რომელიც ბულგარეთში (სამხრეთ თრაკიაში) მდებარეობს და დღემდე მოქმედი მონასტერია, თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. იგი დააარსეს 1083 წელს გამოჩენილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნინოსის (1081-1118) კარზე აღზევებულმა ქართველმა (ტაოელმა) ერისთავებმა — დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ და მისმა ძმამ დიდმა მაგისტროსმა აბაზმა.

გრიგოლ ბაკურიანის ძე უაღრესად განათლებული და ენერგიული კაცი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნინოსმა გრიგოლი „სევასტოსის“ პატივით შემოსა და მთელი დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ანუ იმპერიის ევროპულ თემებში ბიზანტიის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. გრიგოლის ძმას, აბაზ ბაკურიანის ძეს, სახელოვან სარდალსა და დიდ ფეოდალს, აღმოსავლეთის დიდი მაგისტროსის ხარისხი უბოძეს, ალექსი კომნინოსმა გრიგოლს დამატებით მისცა მამულები ფილიპოპოლის (ახლანდელი პლოვდივის) მხარეში, სამხრეთ თრაკიაში, სერის თემში. გრიგოლი დიდხანს ოცნებობდა ქართული მონასტრის აგებაზე. ეს ოცნება მხოლოდ სიბერის ჟამს, დაღუპვამდე სამი წლით ადრე განახორციელა (გრიგოლი პაჭანიკებთან ბრძოლაში დაიღუპა 1086 წელს).

პეტრიწონის ახლად აგებულ მონასტერს გრიგოლ ბაკურიანის ძემ 1083 წელს (დეკემბრის თვეში) შეუდგინა წესდება ანუ ტიპიკონი; პეტრიწონის ტიპიკონი, როგორც ქართული ტექსტიდან ჩანს, გრიგოლ ბაკურიანის ძემ ქართულ და ბერძნულ ენებზე შეადგინა. ბერძნული ტექსტი დაიწერა ორ ცალად, რომელთაგან ერთი გრიგოლმა კონსტანტინოპოლის პანაგიის მონასტერში მოათავსა. ჩვენამდე მოღწეულია არა ეს დედნები, არამედ შემდგომ ხანებში გადანუსხული ქართული და ბერძნული პირები, რომლებიც, ა. შანიძის აზრით, შესრულებულია არა უადრეს XIII საუკუნისა.

იურიდიული ძალა ბერძნულ ტექსტს უნდა ჰქონოდა. გრიგოლ ბაკურიანის ძე ამასთან აუცილებლად თვლიდა, სახელმძღვანელოდ ქართული ტექსტიც ჰქონოდათ, ვინაიდან მონასტრის მსახური ბერები ქართველნი იყვნენ და ბერძნულად კითხვა არ შეეძლოთ.

ტიპიკონის ძველი ბერძნული ტექსტი ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1904 წელს, როცა ფრანგმა მეცნიერმა ლუი პტიმ ჟურნალ „ვიზანტიისკი ვრემენნიკის“ XI ტომის № 1 დამატების სახით გამოსცა ტიპიკონის გვიან ხანებში გადაწერილი ბუქარესტული ნუსხა. ძველი ნუსხის მოპოვება მან ვერ შეძლო. რაკი ბუქარესტული ნუსხა ნაკლული აღმოჩნდა, გამომცემელმა იგი გიორგი მუსეოსის მიერ გამოქვეყნებული ახალი ბერძნული თარგმანის მეშვეობით შეავსო.

გამოსცა თუ არა ლუი პტიმ „პეტრიწონის წესდების“ ბუქარესტული პირი, ზოგიერთმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხური შთამომავლობის შესახებ. 1905 წელს გამოსულ სპეციალურ მონოგრაფიაში ნ. მარმა პეტრიწონის მონასტრის დამფუძნებელი სომხური წარმომავლობის პირად გამოაცხადა. შემდგომში სცადეს გაევრცელებინათ აზრი, რომ გრიგოლი იყო ტომით სომეხი, მაგრამ ბერძნულ-ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას აღიარებდა (პ. მურადიანი და ვ. არუთინოვა).

როგორ დაიბადა აზრი გრიგოლ ბაკურიანის ძის სომხურ წარმოშობაზე? 1. XII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი ქალი ანა კომნინი თავის „ალექსიადაში“, რომელიც ავტორის მამის, იმპერატორ ალექსი კომნინოსის, მეფობის ისტორიას წარმოადგენს, გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ ამბობს, რომ იგი იყო „წარმოშობით სომხის წარჩინებული გვარისა“; 2. ტიპიკონის ჩვენამდე მოღწეული ბერძნული რედაქციის ტექსტის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ხოლო წინამდებარე ტიპიკონის სრულიად პატიოსანი ჩვენი მონასტრისა, რომელიც არის პეტრიწონის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელობისა, დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად... და ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ, ესე იგი, სათნო გრიგოლის დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ, სომხური ასოებით“; იქვე გამეორებულია, რომ ტიპიკონი „დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის ბერები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; ამიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც“.

აკაკი შანიძე დაწვრილებით იხილავს ამ არგუმენტებს და ფაქტებზე დაყრდნობით ადგენს, რომ ისინი სინამდვილეს არ ასახავენ. ანა კომნინის ცნობა საისტორიო წყაროთა შორის ერთადერთი და განმარტოებული ცნობაა, რომელსაც არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს. ანა კომნინი „აღმოსავლეთის“ ხალხთა ეროვნული შემადგენლობის უაღრესად რთულ საკითხში საერთოდ ვერ ერკვეოდა და კერძოდ უჭირდა გაერჩია, ვინ იყო არმენიელი და ვინ ივერიელი. ბიზანტიური ხანის ბერძნულ წყაროებში ასეთი უზუსტობანი არცთუ ისე იშვიათია. რაც მთავარია, თვითონ გრიგოლ ბაკურიანის ძე ტიპიკონში არაერთხელ აცხადებს: მე ქართველი ვარ, ქართული მონასტერი ავაშენე და მას წესი და განგება შევუდგინე და დავუმტკიცეო. ტიპიკონის შესავალ ნაწილში გრიგოლი ამბობს: „...აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაითა სევასტოსისა და დიდისა დომესტიკოსისა დასავლეთისათა, ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაითა აღმოსავლელისა და ქართველისაითა“. მონასტრის მკვიდრ ბერებს გრიგოლი ასე მიმართავს: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩვეულნი“. ბერძნული რედაქციის ტექსტში „ქართველთა“ და „ქართველთა მონასტრის“ შესატყვისებია „ივერნი“ და „ივერთა მონასტერი“: „აღვაშენე მე გრიგოლმა, ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც წარმოშობით ვარ აღმოსავლეთი მხარეებიდან, ივერთა უბრწყინვალესი გვარიდან“ (14825): ჩვენო, ამბობს გრიგოლი, „ივერნი ვართ“ (ივერეს ჰიპარქონტეს). ბერძნულ ტექსტში ყველგან, სადაც ლაპარაკია „ივერებზე“, ეთნიკური ნიშანი იგულისხმება და არა კონფესიონალური — სარწმუნოებრივი. ცხადია, გრიგოლის აღიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ანა კომნინის ცნობას მკვეთრად უპირისპირდება პირველწყაროებში დაცული არა ერთი გადმოცემა გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართული შთამომავლობის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მათე ედესელის ანუ ურჰაელის (მატთეოს ურჰაეცი) ცნობას. მათე ედესელი თავის „ქრონოგრაფიაში“, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს სომხეთის, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ 952 წლიდანვიდრე 1136 წლამდე, დაბეჯითებით გადმოგვცემს: „გრიგოლ ბაკურიანის ძე ტომით ქართველი იყოო“ („ქრონოგრაფია“, ვაღარშაპატი, 1898 წ. გვ. 148, სომხ. ენაზე).

აკაკი შანიძე „პეტრიწონის წესდების“ ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ადგენს ამ ტექსტებში არსებულ სხვაობებს და დაასკვნის, რომ ქართული რედაქციის ტექსტი შემონახულია პირვანდელი სახით, ბერძნულ ტექსტში კი შეიმჩნევა შესწორებები და გვიანდელი ხანის დანართები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გრიგოლ ბაკურიანის ძის ვინაობის თაობაზე უმართებულო აზრის წარმოშობას.

ძირითადი სხვაობა ქართულსა და ბერძნულ ტექსტებს შორის შემდეგია: 1. ქართული ტექსტის მიხედვით წესდება დაიწერა ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად. ტექსტის სომხური ვერსიის შესახებ აქ არაფერია ნათქვამი; 2. ბერძნულ ტექსტში კი ვკითხულობთ, რომ ტიპიკონი შედგა სამ ენაზე — ბერძნულად, ქართულად და სომხურად (რომაიკონ, ივერიკონ ტე კე არმენიკონ). იქვე ნათქვამია, რომ ტიპიკონი გრიგოლის მიერ ხელმოწერილია სომხურად.

ბერძნულ რედაქციაში მოხსენებული სომხური ტექსტი მართლა არსებობდა თუ არა, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ ასეთი ტექსტი უცნობია. აკაკი შანიძის აზრით, იგი საერთოდ არ დაწერილა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბერძნული ტექსტის შემდეგი სიტყვები: „დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის ბერები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა; ამიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი შესრულებულ იყოს ქართულადაც და სომხურადაც“. თუ მონასტრის ბერები ქართველები იყვნენ, რაღა საჭირო იყო ტიპიკონის სომხურად დაწერა? ტექსტში სიტყვები „სომხურად“ და „და სომხურადაც“ ჩამატებული ჩანს ისევე, როგორც გრიგოლის მიერ ტიპიკონის სომხურად ხელმოწერის ამბავი.

„პეტრიწონის წესდების“ ქართული და ბერძნული ტექსტების სწორი შეფასებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით აკაკი შანიძე ცენტრალურ პუნქტად მიიჩნევს ტიპიკონის მეექვსე თავში დამოწმებულ მონასტრის თანამდებობის პირის ერთ სახელს, რომელიც ქართულ ტექსტში გადმოცემულია როგორც „ოსტიგანი“, ხოლო ბერძნულში, როგორც — „ტანუტერი“. აკაკი შანიძე ასწორებს უზუსტობას, რომელიც ნ. მარმა დაუშვა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დამოწმებულ სიტყვა „საოსტიგნის“ განმარტების დროს. სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონსა“ და „პეტრიწონის წესდების“ ქართულ ტექსტზე დაყრდნობით აკაკი შანიძე ადგენს ამ სიტყვის მნიშვნელობას: „ოსტიგანი“ არის კელარი ანუ „სასურსათო საწყობის გამგებელი“ — „საჭმელ-სასმელთ მნე“, ხოლო „საოსტიგნე“ აღნიშნავს „საკუჭნაოს“. პ. მურადიანის მტკიცებით, ქართულ ტექსტში თავდაპირველად იყო არა „ოსტიგანი“, არამედ სომხური სიტყვა „ტანუტერი“, რომელიც მონასტრის დამფუძნებლის სომხური წარმომავლობის მისაჩქმალავად შეცვალეს. „ტანუტერ“ სიტყვა ადრევე ჰქონდა ქართულს შეთვისებული და მისი შეცვლა სხვა სიტყვით არაფრით არ იყო გამართლებული, თუ არა წინასწარგანზრახული მიზნითო. აკაკი შანიძე ძველი ტექსტების მოშველიებით ადგენს, რომ ქართულში სომხური სიტყვა „ტანუტერი“ ყოველთვის აღნიშნავდა საერო თანამდებობის პირს — „სახლისა უფალს“, „მამასახლისს“ და არა სამონასტრო თანამდებობას. „პეტრიწონის წესდების“ ქართულ ტექსტში „ოსტიგანი“ ზუსტად თავის ადგილასაა და სწორედ იგია შეცვლილი ბერძნულ ტექსტში „ტანუტერ“ სიტყვით.

ანა კომნინის ცნობის მიუხედავად, გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართველობაში მათე ედესელის დროიდან მოკიდებული XX საუკუნემდე ეჭვი არავის შეუტანია. ყოველ შემთხვევაში საეკლესიო წრეებში, როგორც ეტყობა, არსებობდა მტკიცე ტრადიცია, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს ქართველად, ხოლო მის მიერ პეტრიწონში დაარსებულ მონასტერს ქართულ მონასტრად აღიარებდა. სოფიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს ჩვენ წავაწყდით ფრიად მცირე ტირაჟით ვენაში გამოცემულ ორ იშვიათ ბერძნულ წიგნს, რომლებშიც პეტრიწონის მონასტერია აღწერილი. პირველი გამოცემულია 1819 წელს და წარმოადგენს ფილიპოპოლის მიტროპოლიტის კონსტანტინე იკონომისის ცნობარს ფილიპოპოლის ეპარქიის შესახებ. ამ წიგნის ავტორი, როგორც ტექსტიდან ჩანს, კარგად იცნობს ანა კომნინის თხზულებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით აცხადებს: „(პეტრიწონის) მონასტერი დაარსებულია ბაკურიანის ძის გრიგოლის მიერ, რომელიც იყო ივერიიდან (ექს ივერიას ჰელკონტოს ტო გენოს)“. მეორე წიგნი — „ფილიპოპოლის ეპარქიის ისტორიული აღწერილობა“, რომლის ავტორია გიორგი ცუკალა ზაკინთელი, გამოცემულია 1851 წელს. ამ წიგნის 72-ე პარაგრაფში ავტორი ამბობს: „1084 წელს, ალექსი I კომნინოსის მეფობის დროს, ორმა ქართველმა ძმამ (დიო ადელფოი ივერეს), გრიგოლ და აბაზ ბაკურიანებად რომ იწოდებიან,... დააარსეს პეტრიწონის ყოვლადწმინდის მონასტერი“. აქვეა გადმოცემული ვრცელი ამბავი პეტრიწონის ცნობილი ქართული ხატის შესახებ. ეტყობა, ამ წიგნთა ავტორებს უფრო ზუსტი ცნობები ქონდათ ხელთ და უკეთ ერკვეოდნენ გრიგოლ ბაკურიანის ძის ვინაობის საკითხში, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარი.[2]

აკაკი შანიძის წიგნი მეცნიერული სიზუსტითაა დაწერილი და მასში დამარწმუნებელი დებულებებია წარმოდგენილი. დასასრულ უნდა ითქვას შემდეგი: ჩვენს მრავალსაუკუნოვან მეგობარს სომეხ ხალხს დიდი და ძველისძველი კულტურა აქვს. ამ კულტურას, ისევე, როგორც ქართველი ხალხის მდიდარ კულტურულ წარსულს, არავითარი საეჭვო შემატება არ სჭირდება. მეცნიერი და მკვლევარი, იქნება იგი ქართველი თუ სომეხი, სულ ერთია, ჭეშმარიტების მიღწევასა და დამტკიცებას უნდა ემსახურებოდეს.

აკაკი ურუშაძე

[1] А. Шанидзе, Великий доместик запада Григорий Бакурианисдзе и грузинский монастырь, основанный им в Болгарии. 1970.

[2] იხ. ა. ურუშაძე. ქართული კულტურის კერა ბულგარეთში. თბილისი, 1969, გვ. 38.

# მეჩონგურე ქალთა პირველი ანსამბლი

ავქსენტი მეგრელიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

1933 წელი იყო, ლერმონტოვის ქუჩაზე (№ 5), ერთი პატარა დარაბის მოხურულ კარიდან ყოველდღე ისმოდა ჩონგურის დაკვრა და სიმღერის ხმა. აქ იყო პირველი ბინა ავქსენტი მეგრელიძის ჯერ ისევ მცირერიცხოვანი მეჩონგურე ქალთა ანსამბლისა. ამ გუნდში პირველად ექვსნი ვიყავით: ქეთევან ოქროპირიძე, ელენე ჭუბაბრია, ქეთევან ლოლობერიძე, მარო კაციაშვილი, მარო ჯოხაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ავქსენტი მეგრელიძე ჩონგურზე დაკვრისა და დამღერების უბადლო ოსტატი იყო, მან იცოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები. ადრე იგი ბათუმში მოღვაწეობდა, იქ ჰყავდა გუნდი და მეჩონგურეთა ანსამბლი. შემდეგ კი კომპოზიტორთა კავშირმა, კოტე ფოცხვერაშვილის მეშვეობით მოიწვია თბილისში, რათა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ჩამოეყალიბებინა. თბილისში ასეთი ანსამბლი ჯერ არ არსებობდა.

ავქსენტი მეგრელიძე დიდი მონდომებით შეუდგა დავალებული საქმის შესრულებას. დღედაღამ მუშაობდა, ჩონგურზე დასამღერი ყველა სიმღერა ჯერ ნოტებზე გადაჰქონდა და შემდეგ მოწაფეებს ასწავლიდა. მას მხარში ედგა და დიდად ხელს უწყობდა მისივე მეუღლე ქეთევან ოქროპირიძე — დამსახურებული პედაგოგი მუსიკის დარგში. ქეთევანმა საუკეთესოდ იცოდა სოლფეჯიო, საგუნდო-სადირიჟორო საქმეები, ნოტები და საერთოდ მუსიკათმცოდნეობა; ცოლ-ქმარი ჯერ თვითონ ერთად დაუკრავდნენ და დაამღერებდნენ მათ მიერ დამუშავებულ ყოველ ახალ სიმღერას და მერე მოწაფეებს სათითაოდ შეასწავლიდნენ. ჩვენც დიდად მონდომებულნი, ვცდილობდით და ვბაძავდით მათ; რასაკვირველია, აქ საჭირო იყო კარგი სმენა და ხმაც. ა. მეგრელიძემ პირველად ჩონგურზე ლარების გაბმა და აწყობა შეგვასწავლა; იგი გვეტყოდა ხოლმე: „ხშირ-ხშირად შეამოწმეთ თქვენი ჩონგურები და ზუსტი ხმა გამოგონეთო", ოდნავ აუწყობელ ჩონგურს ვერ იტანდა. მართლაც და ჩონგური ვიოლინოსავით არის, მალიმალ უნდა მომართვა, ვინაიდან დაკვრის დროს ლარების სამაგრები ცოტა მოეშვება ხოლმე და თუ ჩონგური კარგი აწყობილი არ არის, კარგი სმენის პატრონი მაშინვე მიხვდება ამა თუ იმ მელოდიის სიყალბეს.

ანსამბლი თანდათან გაიზარდა, რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე თორმეტი ქალი იყო და თორმეტი ჩონგური. ანსამბლი ხშირად გამოდიოდა სცენებზე, რადიოში, კლუბებსა და ესტრადებზე, როგორც თბილისის რაიონებში, ისე მოძმე რესპუბლიკების ქალაქებშიც (ერევანი, ბაქო და სხვ.); მახსოვს ერთხელ ქართულ დივიზიას ვესტუმრეთ და დიდი კონცერტი გავმართეთ. აღტაცებული წითელარმიელები აღარ სწყვეტდნენ ტაშს, დივიზიის მეთაური სოსო ბუაჩიძე ამოიჭრა სცენაზე, ავქსენტი მეგრელიძეს ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა: აღფრთოვანებული ვართ თქვენი ანსამბლითო, მშვენიერი საქმე წამოგიწყიათო.

ანსამბლში გვყავდა კარგი კრიმანჭულის მთქმელი — აჭარელი ქალი ცაცა მამედ-ოღლი. აი, კიდევ მახსენდება, ბაქოში მოვაწყეთ კონცერტი. სწორედ იმ დროს ბაქოში ჩამოსული იყო ამერიკელი ციმბალისტი, რომელიც ჩვენს კონცერტს დაესწრო. ამერიკელს იმდენად მოეწონა ჩვენი მდიდარი და ტკბილი, მრავალფეროვანი სიმღერები, რომ იქვე სიტყვა ითხოვა, გამოვიდა, დიდად შეაქო ქართველი ერი, რომელმაც შექმნა ესოდენ ბრწყინვალე მუსიკა. ჩვენი სიმღერები შემოინახეს იმდროინდელმა კინოფილმებმაც („ნარინჯის ველი", „დარიკო", „უკანასკნელი მასკარადი" და სხვ.).

1934 წელს ანსამბლი დიდი წარმატებით გამოვიდა ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე, იგი დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის სიგელით და ფულადი საჩუქრით. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ანსამბლის სიმღერებით მოხიბლული იყო ცნობილი იუმორისტი თაგუნა (შარაშიძე). მძიმე ავადმყოფობის დროს მას ანდერძად დაეტოვებინა — გეხვეწებით, ჩემს პანაშვიდზე ავქსენტი მეგრელიძის ანსამბლი მოიწვიეთო. მას მართლაც შეუსრულეს თხოვნა და მის პანაშვიდზე ჩონგურებზე დავამღერეთ რამდენიმე სიმღერა — „ბატონებო მოუოხეთ", „ნანა" და სხვ.

იმ ხანებში კიდევ გაიზარდა და გამდიდრდა ანსამბლი, მასში ახლა უკვე ოცი ქალი ირიცხებოდა, რეპერტუარიც გაიზარდა და აუარებელი ხალხური სიმღერები შეგვემატა. ა. მეგრელიძემ ანსამბლში შეიტანა ფანდური, რაჭული სტვირი, სვანური ჩანგი და ჭუნირი.

1936 წლის დეკემბერში, მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე, კირილე პაჭკორიას გუნდთან ერთად გამოვდიოდით. აქ მინდა ჩამოვთვალო მოსკოვის დეკადის მონაწილე მეჩონგურეები: ქ. ოქროპირიძე-მეგრელიძე, ე. ჭუბაბრია, ე. მეგრელიძე, ლ. მეგრელიძე, ლიანა მეგრელიძე, ქ. ლოლობერიძე, მ. კაციაშვილი, ო. ბიძინაშვილი, ა. ავლოხაშვილი, თ. უჩანეიშვილი, მ. ჯოხაძე, თ. სხირტლაძე, ქ. აფრასიონი, ქ. კაპანაძე, კ. ბაბუნაშვილი, მაჭავარიანი, შ. ბაბიჩი, ლ. მეგრელაძე, ცაცა მამედ-ოღლი და მ. თედიაშვილი. მოსკოვში მრავალი კონცერტი გავმართეთ ფაბრიკა-ქარხნებისა და წარმოება-დაწესებულებების კლუბებსა და სცენებზე. შემდეგ გამოვედით მოსკოვის დიდ თეატრში, კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა აღარ იყო, მთავრობის ლოჟაში ისხდნენ ი. ბ. სტალინი და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. ანსამბლის მონაწილეებს ეცვათ ძვირფასი ნაჭრისაგან, კოხტად შეკერილი სარტყელგულისპირიანი და ოქრომკედისმაგვარი ძაფით მოქარგული ქართული კაბები, თავზე — არშიამოვლებული ლეჩაქი; ეს სხვადასხვა ფერების ლამაზი კაბები ანსამბლის ყველა წევრს შვენოდა, მომღერლები პირდაპირ ფერიებსა ჰგავანდნენ.

ახალ წელს მოსკოვში შევხვდით. 14 იანვარს, საღამოს ექვს საათზე კრემლში წაგვიყვანეს. მაცხოვრის კოშკის დიდ ჭიშკართან, შესასვლელში, მარჯვნივ და მარცხნივ ხმლებგაშიშვლებული ორი ოფიცერი იდგა, ხმლები მაღლა აწეული და გადაჯვარედინებული ჰქონდათ, როგორც ჩვენში ქორწილის დროს იციან, ნეფე-დედოფალს რომ გაატარებენ ხოლმე კარებში ორ ხმალს შუა, აქაც ასე გავიარეთ და ავუყევით კიბეებს. ლამაზი იყო ეს ყველაფერი, ჩვენი გულებიც ლამაზობდნენ იმ დროს. მხნედ ვიყავით, მომღიმარი სახეებით. კრემლის დარბაზები სავსე იყო ხალხით, ყველა გვიღიმოდა, შემოგვცინოდა.

ჩვენი ანსამბლის გარდა, კრემლის სცენაზე გამოვიდნენ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავეები, კინო-მსახიობები; აქვე იყო კინომსახიობი თამარ ციციშვილი, რომელმაც შეასრულა ცეკვა „ქართული" და ამას გარდა, ჩვენს ანსამბლში იღებდა მონაწილეობას. კრემლში მოწვეული იყო სანდრო კავსაძის მომღერალთა გუნდიც. მაყურებელთა ტაშის გრიალი დიდხანს გრძელდებოდა, ბევრი სიმღერის გამეორებას ითხოვდნენ. შესვენების დროს, გიორგის დარბაზში რომ გამოვიშალენით, ბევრმა დაიწყო ჩვენს მიერ შესრულებული სიმღერების ღიღინი, ისმოდა „ციცინათელას", „სულიკოს", „ნანას", „ჭიჭე ტურას", „საკოლმეურნეოს" მელოდიები. მახსენდება, ამ დროს სტალინმა, რომელიც შუა დარბაზში იდგა, სანდრო კავსაძესთან და მისი გუნდის წევრებთან, წამოიწყო სიმღერა — „ნეტავი გოგო მე და შენ", გუნდის წევრებიც აჰყვნენ. ერთ წუთს იქაურობა თითქმის სრულიად მიწყნარდა, მტკნარი სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა მხოლოდ ტკბილი, ხავერდოვანი ტენორი, მღეროდა სტალინი, გვერდით მდგომი სერგო ორჯონიკიძე კი გულთბილად იღიმებოდა.

მოსკოვის შემდეგ გავემგზავრეთ ლენინგრადს; იქაც ბევრგან გავმართეთ კონცერტები და ახალი სიხარული განვიცადეთ.

ავქსენტი მეგრელიძე დეკადის შემდეგ დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის" ორდენით, მიანიჭეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება.

ა. მეგრელიძის მოწაფეები დღესაც განაგრძობენ მოღვაწეობას ხელოვნების დარგში — მღერიან და უკრავენ ჩონგურს, მათ შორის მინდა დავასახელო ქეთევან ლოლობერიძე (გუნდი ჰყავს), მარგო თედიაშვილი, ელენე ჭუბაბრია, ლიანა მეგრელიძე, ქეთევან კაპანაძე და სხვ.

ავქსენტი მეგრელიძე 1958 წელს გარდაიცვალა. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი მუსიკალური კულტურის აღორძინების საქმეს. მისი ანსამბლის მიერ შესრულებული თითქმის ყველა სიმღერა ჩაწერილია ფირფიტებზე, ამ მელოდიებს ხშირად ისმენს ხალხი არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ოლღა ბიძინაშვილი.

# „მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა"

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, ენციკლოპედიური თხზულების „კალმასობის" ავტორი იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „ისტორია ქართლისა" წერს: „იყო ბალდვოინ იერუსალიმს მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა".

საიდან არის აღებული ეს ფრიად საინტერესო ცნობა? პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არაა გაცემული. ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იოანე ბატონიშვილი უშუალოდ ლათინურ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს, ვინაიდან იერუსალიმის მეფის სახელის ქართული ტრანსკრიპცია უფრო ლათინურიდან გადმოღებულს წააგავს.

უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ ვინ არის ამ ცნობაში მოხსენიებული „ბალდვოინ, იერუსალიმის მეფე".

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ზემოთქმული ამბავი მომხდარა დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების მეორე წელს, მაშასადამე 1119 წელს.

ამ დროს, ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა ბალდუინ II (1118—1131 წწ.).

...მომთაბარე თურქ-სელჩუკთა ტომებმა XI საუკუნის ბოლო მესამედში დაიპყრეს ბიზანტიის მრავალი სამფლობელო, აგრეთვე „წმიდა ქალაქი" იერუსალიმი. ბიზანტიამ დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. XI საუკუნის დამლევს სირია-პალესტინა დაფარა ევროპიდან სახელისა და მიწების მოსახვეჭად წამოსულ ჯვაროსანთა ტალღამ. ანა კომნენეს სიტყვით, ყოველი მხრიდან მოვარდნილი მდინარეებივით დაიძრნენ ისინი და სიმრავლე მათი აღემატებოდა ზღვაში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს. ბალდუინიც ამ დიდი მოძრაობის მონაწილე გახლდათ. სხვათაშორის, იგი იყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლის გოტფრიდ ბულონელის ბიძაშვილი. 1099 წელს ბალდუინმა, გმირობითა და სისასტიკით განთქმულ ტანკრედთან ერთად აიღო ქალაქი ბეთლემი (ლეგენდის თანახმად — ქრისტეს დაბადების ადგილი), ხოლო 1100 წლის ოქტომბრიდან გახდა ედესის საგრაფოს ბატონ-პატრონი. როგორც ჩანს, ხმალზე არანაკლებ მას ჭკუა უჭრიდა. თავისი პოზიციები ედესის საგრაფოში მალე განიმტკიცა იმით, რომ ცოლად შეირთო ერთ-ერთი სომხური ოლქის მდიდარი გამგებლის — გაბრიელის ქალიშვილი, სახელად მართა. შემდეგ უდიდესი პატივით მიიღო სომეხთა ეკლესიის პატრიარქი და ამგვარად თავისი სომეხი ქვეშევრდომების სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვა.

ბალდუინის შესახებ ერთ ანეგდოტურ ამბავს გადმოგვცემს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ დე ვიტრი. მისი სიტყვით, აღმოსავლეთში უდიდესი გულმოდგინებით უვლიან წვერს და იგი მიაჩნიათ ვაჟკაცობისა და ღირსების მჭევრმეტყველ სიმბოლოდ. სასტიკ დამცირებად ითვლებაო წვერიდან თუნდაც ერთი ღერის ამოგლეჯა. ასეთი საოცარი კულტი წვერისა მშვენივრად გამოუყენებია ბალდუინს. თურმე მან ედესაში დამკვიდრებისთანავე აღმოსავლურ ყაიდაზე მოუშვა წვერი, შემდეგ კი ბრწყინვალე კომედია გაითამაშა. ბალდუინი ღარიბი კაცი იყო და იმ მიზნით, რომ გამოეცანცლა ფული მდიდარი სიმამრისაგან, განუცხადა მას, თითქოს თავისი წვერი დააგირავა კრედიტორებთან საკმაოდ დიდძალი თანხის მისაღებად. ამის გამგონე გაბრიელი ძლიერ განცვიფრდა და მწუხარებამ შეიპყრო. მან მტკიცედ გადაწყვიტა გადაერჩინა თავისი ქალიშვილი და სიძე სამუდამო შერცხვენისაგან, და დაუყოვნებლივ მისცა ბალდუინს 30.000 ბეზანტი იმ პირობით, რომ იგი აღარასოდეს დააგირავებდა თავის წვერს, რაოდენ დიდ გასაჭირშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო.

ერთი სიტყვით, ბალდუინი ჭკუასთან ერთად იუმორის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული...

ედესა იყო ჯვაროსანთა ავანპოსტი ჩრდილოეთ სირიაში და ყველაზე ხშირად უწევდა მტრის თავდასხმების მოგერიება. ბალდუინი უნარიანად მართავდა თავის სამფლობელოს, თუმცა მრავალ წარმატებასთან ერთად მარცხიც იგემა და ოთხი წელიწადი გაატარა მაჰმადიანთა ტყვეობაში.

ბალდუინი აკურთხეს იერუსალიმის მეფედ 1118 წლის 14 აპრილს. იგი უკვე ხანდაზმული იყო, ომსა და მმართველობაში დიდად გამოცდილი. შემდგომმა მოვლენებმა მალე დაამტკიცეს მისი სამხედრო-პოლიტიკური ნიჭის საჭიროება, რადგანაც მაჰმადიანები ხანგრძლივ განხეთქილებათა შემდეგ ნელნელა იწყებდნენ გაერთიანებას ჯვაროსანთა მოსასპობად.

ბალდუინმა სცადა მორიგებოდა თავის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგეს — დამასკოს ათაბაგს თუღთეგინს და ელჩების პირით დაზავება შესთავაზა. თუღთეგინმა მიუღებელი პირობები წამოაყენა. ბალდუინი ომით დაემუქრა, მაგრამ დამასკოს ათაბაგმა მყისვე საქმით უპასუხა მუქარას და იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას შეესია. ამავე დროს სამხრეთიდან ეგვიპტის გამგებელი შემოიჭრა სამეფოში. ბალდუინმა მოიხმო ჯარები ანტიოქიის სამთავროდან და ტრიპოლის საგრაფოდან, საკუთარ ძალებსაც მოუყარა თავი და აიცდინა საფრთხე. მაჰმადიანები უომრად გაეცალნენ იერუსალიმის მეფეს. ჯვაროსნებმა თავად შეუტიეს დამასკოს, სასტიკად დაამარცხეს თუღთეგინის ვაჟი, შემდეგ ალეპოსკენ დაიძრნენ და მისი მიდამოები აოხრეს.

თუღთეგინი და ალეპოს სულტანი ელღაზი საერთო ძალებით აპირებდნენ ანგარიში გაესწორებინათ იერუსალიმის სამეფოს ჯვაროსნებისათვის, რომლებიც აღარ ასვენებდნენ დამასკოს, მაგრამ მოულოდნელად ეს გეგმა გადადებულ იქნა, ვინაიდან 1118 წლის დამლევს ანტიოქიის მთავარმა როჟერმა კილიკიის სომხებთან ერთად აიღო აზაზის ციხე (ალეპოს ჩრდილოეთით), რომელიც ეკუთვნოდა ელღაზის და უშუალოდ დაემუქრა ალეპოს. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს ლაშქრობა ანტიოქიის წინააღმდეგ.

ამ შეთანხმების შესაბამისად ელღაზი წამოვიდა მარდინიდან, მცირე ხნით შეჩერდა ედესასთან და 1119 წლის ივნისის დამდეგს გადაჭრა მდინარე ევფრატი. როჟერს აცნობეს მოახლოებული საფრთხე, მან დახმარება სთხოვა ბალდუინს, რომელიც მაშინვე შეუდგა სამზადისს, მაგრამ როჟერმა დატოვა ანტიოქია და გზას დაადგა, შემდეგ შეისვენა. რამდენიმე დღე ელოდა იერუსალიმის მეფის გამოჩენას და მისი დაყოვნებით გაღიზიანებული საბოლოოდ აჰყვა ადგილობრივ მფლობელთა რჩევას, რომელთაც საკუთარი მიწების დაცვა უფრო აწუხებდათ, და უბრძანა ჯარს წინსვლა. ჩქარობდა, რათა აეცილებინა თავდასხმა ათარიბის ციხეზე (ანტიოქიასა და ალეპოს შორის).

20 ივნისს როჟერმა დაიკავა უვარგისი პოზიცია ორ მთას შუა, სოფელ ბალათთან, ათარიბის ციხის ჩრდილო-დასავლეთით. მან ჩასთვალა, რომ ამ ადგილის კლდოვანი რელიეფი ხელს შეუშლიდა მტერს.

ამასობაში ელღაზი ელოდა თუღთეგინს ქალაქ ალეპოსთან, მაგრამ მის ამირებს მოსწყინდათ უქმად ყოფნა და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოქმედება. ელღაზი დათანხმდა, 27 ივნისს აშალეს ბანაკი და იმავე ღამეს, ისარგებლეს რა სიბნელით, განლაგდნენ ჯვაროსანთა უშუალო სიახლოვეს. მეორე დღეს, გარიჟრაჟზე, ელღაზის ლაშქარი სამი მხრიდან შემოერტყა ფრანკებს (ასე ეძახდნენ ევროპელებს აღმოსავლეთში) და მუსრი გაავლო. მრავალ რაინდთან ერთად დაიღუპა როჟერიც. სამოცდაათი რაინდი დაატყვევეს და ალეპოსკენ უკრეს თავი. ამბობენ, რომ როჟერის მეომართაგან ოც კაცზე მეტი არ დაბრუნებულა ანტიოქიაში. ამ ბრძოლას „სისხლის ველი" უწოდეს ჯვაროსნებმა.

ელღაზის ბოლომდე არ მიუყვანია თავისი ტრიუმფი. ნაცვლად იმისა, რომ თავს დასხმოდა თითქმის დაუცველ ანტიოქიას, იგი დაკმაყოფილდა ათარიბისა და ზარდანას აღებით.

ამასობაში ბალდუინი ჩავიდა ანტიოქიაში და დაეპატრონა იქაურობას. დაღუპულთა ქვრივები დააქორწინა გადარჩენილებზე, დაღუპულთა ქონება მათს შვილებს ჩააბარა. შემდეგ დამხმარე ძალები მოიხმო ედესის საგრაფოდან და ელღაზის შესახვედრად დაიძრა. 14 აგვისტოს, სოფელ დანითის მახლობლად გაიმართა შეტაკება.

სირიელი ამირა უსამა იბნ-მუნკიზი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ ოფიცრის დღიური, მოგვითხრობს, რომ ელღაზის ძალიან ჰყვარებია ღვინო. როჟერის დამარცხების შემდეგ დაუწყია სმა და ბალდუინის გამოჩენამდე ველარ გამოფხიზლებულა.

უსამას მიხედვით, აგვისტოს ბრძოლა არც ერთ მხარეს არ მოუგია. ფრანკთა რაზმებმა დაამარცხეს მაჰმადიანთა რაზმებიო და მაჰმადიანთა რაზმებმა — ფრანკთა რაზმებიო. ფრანკებიც ბლომად დახოცილან და მაჰმადიანებიც. ელღაზი დაბრუნდა მარდინში, ბალდუინი — ანტიოქიაში.

ტყვედ ჩავარდნილთა შორის ყოფილა ვინმე რობერტი (ორიოდე ციხის მფლობელი ანტიოქიის სამთავროში). მან თვითონ დანიშნა თავისი გამოსასყიდი — ათი ათასი დინარი. „წაიყვანე ათაბაგთან, — ბრძანა ელღაზიმ, — იქნებ დააშინოს ტყვე და მეტი გამოსასყიდი დაანიშნინოს". რობერტი მიჰგვარეს ათაბაგ თუღთეგინს, რომელიც თავის კარავში ღვინოს შეექცეოდა. რობერტის დანახვაზე იგი მაშინვე წამოდგა, ხმალს ხელი დაავლო და თავი მოჰკვეთა ტყვეს. როცა ეს ამბავი შეიტყო ელღაზიმ, უსაყვედურა ათაბაგს: „ჩვენ ყოველი დინარი გვესაჭიროება, მეომრებს დროზე რომ გადავუხადოთ, ამან გამოსასყიდი დანიშნა ათი ათასი დინარი, შენთან გამოვგზავნე, მეგონა დააში-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნებდი და გაზრდიდა თანხას, შენ კი მოგიკლავს“. ათაბაგმა მოკლედ მოუჭრა, ამაზე უკეთ კაცის დაშინება მე არ ვიციო.

1119 წლის ზაფხულში მომხდარმა ამბებმა საგანგაშო ვითარება შეუქმნეს ბალდუინს. როჟერისა და მისი რჩეული რაინდების ამოჟლეტა მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ჯვაროსანთა პოზიციების შესარყევად. სხვას რომ თავი დავანებოთ, როჟერს ნიჭიერი მხედართმთავრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე მან სასტიკად დაამარცხა ირანის თურქ-სელჩუკთა ლაშქარი, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაჰმადიანურ სამყაროზე. როჟერი, ანუ როგორც არაბები ეძახდნენ — „სიროჯალ“ (ე. ი. სირ როჟერ), გახდა ისეთივე ლეგენდარული ფიგურა, როგორც შემდგომში რიჩარდ ლომგული. საერთოდ, ჯვაროსანი და მაჰმადიანი რაინდები დიდად აფასებდნენ ერთი მეორის სამხედრო ნიჭსა და მეომრულ შემართებას. ზემოხსენებული უსამა ამტკიცებს, რომ ფრანკებს არ გააჩნიათ არც ერთი ადამიანური ღირსება. გარდა სიმამაცისა! ხოლო ერთი ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აცხადებს, თურქები რომ ქრისტიანები იყვნენ, მათზე ბრწყინვალე ხალხს მთელს დედამიწის ზურგზე ვერ იპოვნიდიო.

1119 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ოთხი წლის წინათ მოპოვებული უშიშროება. ახლა მათ დაუპირისპირდა ძლიერი გამგებელი ალეპოში (ელღაზის სახით), სადაც მუდამ ეგულებოდათ სუსტი მეტოქე. ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გაჭირვება კატასტროფულ ხასიათს იღებდა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ 1119 წელს დაარსდა ტამპლიერთა ორდენი, რომლის წევრები ნახევრად ბერები, ნახევრად რაინდები იყვნენ. როგორც ფიქრობენ, ტამპლიერთა ორდენი შეიქმნა მაჰმადიანური სამყაროსათვის თავზარდამცემი ასასინთა ორდენის მიბაძვით. მკაცრი დისციპლინა და მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია თავიდანვე გახდა ტამპლიერთა გამოსარჩევი ნიშანი, მათ შესამჩნევი როლი ითამაშეს ჯვაროსანთა შემდგომ ისტორიაში, მაგრამ 1119 წელი მათი დაბადების წელი იყო მხოლოდ.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით დამაჯერებელი ხდება იერუსალიმის მეფის ჩამოსვლა საქართველოში და მისი საიდუმლო ვიზიტის მიზანიც ნათელია; როგორც ჩანს, გასაჭირში ჩავარდნილმა ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრიდანვე თვლიდნენ ქრისტიანული კულტურის ბასტიონად აღმოსავლეთში. თუმცა ჯვაროსან დამპყრობელთა და საქართველოს მიზნები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, მტერი მაინც საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდიოდნენ. XI საუკუნის დამლევს ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებამ მაჰმადიანთა უძლეველობას სახელი გაუტეხა და ხელსაყრელი გარემოება შეუქმნა საქართველოსაც. ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამის შემდგომ შესწყვიტა სელჩუკთათვის ხარკის ძლევა დავით აღმაშენებელმა.

ახლა კი, ოცი წლის შემდეგ, საქართველო უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და თამამად შეეძლო ჯვაროსანთათვის დახმარების გაწევა. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმებმა მოამწიფა თურქ-სელჩუკთა განდევნა საქართველოს მიწა-წყლიდან. 1118-1120 წლებში განხორციელდა ყივჩაღთა მუდმივი ჯარის შექმნა. ამიერიდან დავით აღმაშენებელს შეეძლო მარტო თავდაცვითი ომით არ დაკმაყოფილებულიყო და თვითონ მიეტანა იერიში მტერზე.

არაფერია გასაოცარი და საეჭვო იმაში, რომ იერუსალიმის მეფე დახმარების სათხოვნელად ჩამოსულიყო საქართველოში 1119 წლის დამლევს.

ამის შემდეგ სირიაში დროებითი სიწყნარე დამყარდა. მაჰმადიანები აღარ უტევენ სისხლდაცლილ და ღონეგამოლეულ ჯვაროსნებს. დროებითი სიწყნარე ავის მომასწავებელია. ვისთვის? რა თქმა უნდა, ჯვაროსნებისათვის! ელღაზი ძალებს იკრებს გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. მაგრამ მის გეგმებს განხორციელება არ უწერია.

ნებით თუ უნებლიედ, ელღაზი ჩათრეულ იქნა ახალ კონფლიქტში, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ ქართველების ლაშქრის შემოსევას მაჰმადიანურ ოლქებში 1120 წელს, ხოლო ერთი მათგანი სირიაზე თავდასხმასაც მიუთითებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით „თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა“. აშორნია მოთავსებულია ბასიანის მეზობლად. აქედან არც ისე შორს იყო ელღაზის სამფლობელოები — მარდინი და მიაფარიკინი. ეტყობა, ეს ცნობები ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, სახელდობრ საქართველოს სამხედრო დახმარებას დასუსტებული ჯვაროსნებისათვის.

თავისთავად, შემდგომ წელს ელღაზის გამოლაშქრება საქართველოზე და დიდგორის ომი იმას მეტყველებს, რომ 1120 წელს მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ჯვაროსანთა წინააღმდეგ საღვთო ომის სულისჩამდგმელი და დაუცხრომელი წინამძღოლი ელღაზი ანტიოქია-იერუსალიმის მაგიერ დიდგორში მოიყვანა.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერს გოტიეს 1121 წლის ლაშქრობა საქართველოზე თითქმის ელღაზის პირად საქმედ მიაჩნია. მისი სიტყვით, ელღაზი აპირებდა დავით აღმაშენებლის დამარცხებას და მოსპობა-დამორჩილებას, რათა შემდეგ იერიში მიეტანა ანტიოქია-იერუსალიმზე და ბოლო მოეღო ჯვაროსნებისათვის. მაშასადამე, ელღაზი თავისი ზურგის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა ჯვაროსნებთან მომავალი ომის წინ და აშკარაა, რომ ამ ზურგის გამაგრება გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, რათა გულდამშვიდებით გაეშალა ოპერაციები სირია-პალესტინის ფრონტზე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ 1120 წლის დამლევს დავით აღმაშენებელს გაულაშქრია ელღაზის სამფლობელოებზე (ალბათ დიარბექირის მიდამოებში) და პირნათლად შეუსრულებია ბალდუინის თხოვნა.

ამრიგად, თუნდაც არ არსებობდეს იოანე ბატონიშვილის ცნობა, ზემოთ მოცემული სურათი თავისთავად მიგვიყვანდა ასეთ დასკვნამდე.

1121 წელს იწყება ჯვაროსანთა გამოცოცხლება. მაისში ისინი თავს დაესხნენ ათარიბის ციხეს და სერიოზულად დაემუქრნენ ალეპოს. ელღაზიმ უბრძანა თავის ვაჟს სულეიმანს (ათარიბის გამგებელს) ფრანკებთან დაზავება. ზავის პირობები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

ჯვაროსანთა გამარჯვებები გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. მათ ალყა შემოარტყეს ზარდანას და აიღეს, შემდეგ დაიძრნენ ალეპოსკენ და დაამარცხეს მისი დამცველები. ბალდუინი რამდენიმე ციხეს დაეუფლა ალეპოს მიდამოებში. შეშფოთებულმა სულეიმანმა ზავი ითხოვა (ელღაზი უკვე საქართველოში იყო წასული), მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგან ბალდუინი დაჟინებით მოითხოვდა ათარიბის ჩაბარებას.

1121 წლის აგვისტო... დიდგორის ომი... დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვება. მძიმედ დაჭრილი ელღაზი გარბის ბრძოლის ველიდან. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი განადგურებულია.

კანცლერ გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ფრანკი. ცხადია, მათი ნაამბობის მიხედვით აღწერა გოტიემ ქართველი ხალხის ტრიუმფი დიდგორში. მისი აღტაცება სავსებით გასაგებია. დიდგორის ომმა გააცამტვერა ელღაზის პერსპექტივები. მას ახლა ჯვაროსნებისათვის აღარ სცხელოდა.

მომდევნო წლის შემოდგომაზე ელღაზის დამბლა დაეცა (ვინ იცის, იქნებ დიდგორში მიღებული ჭრილობის გამო) და სწრაფად მოუღო ბოლო.

ასე გათავდა ისტორია ჯვაროსანთა ყველაზე მრისხანე მტრისა და უდავოა, რომ იერუსალიმის მეფე ამ ამბის გაგონებაზე შვებით ამოისუნთქებდა.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. 1136 წელს ნორმანდიაში მყოფ მწერალს თავის ქრონიკაში შეუტანია ჯვაროსან რაინდთაგან გაგონილი: ვითომც 1123-1124 წლებში დავით, ქართველთა მეფეს და თოროს, კილიკიის მთავრის ძმას, ერთ სულტანთან ტყვედ ჩავარდნილი რაინდების განთავისუფლებაში მიუღიათ მონაწილეობა.

ძნელი სათქმელია, ეხება თუ არა ეს ცნობა თვით ბალდუინს, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ 1123 წლის აპრილში ბალდუინი ხელმეორედ აღმოჩნდა მაჰმადიანთა ტყვეობაში. იგი მოათავსეს ციხეში არზრუმის მახლობლად. კარგად ცნობილია აგრეთვე, რომ ედესის გრაფმა ჟოსელენმა თავისი პატრონის დასახსნელად დახმარება სთხოვა ბიზანტიის იმპერატორს და სომეხთა მთავრებს. ბალდუინის განთავისუფლება მოხერხდა 1124 წელს. მაშასადამე, ზემოხსენებულ რაინდთა შორის შესაძლოა ბალდუინიც იყო.

ბალდუინ II გარდაიცვალა 1131 წელს იერუსალიმში. საერთო აღიარებით, მისი მეფობის დროს ჯვაროსანთა ძლიერებამ თავის ზენიტს მიაღწია. ცამეტი წლის მანძილზე მან განამტკიცა და განავრცო იერუსალიმის სამეფოს საზღვრები.

მას აქებენ მტრულად განწყობილი მაჰმადიანი ისტორიკოსებიც (ისევე როგორც დავით აღმაშენებელს). იბნალ-კალანისის სიტყვით, ბალდუინი მრავალჯერ ჩაუვარდა ტყვედ მაჰმადიანებს (სინამდვილეში — მხოლოდ ორჯერ), მაგრამ ყოველთვის იხსნიდა თავს სხვადასხვა ხერხით. მისი სიკვდილის შემდეგ აღარავინ დარჩაო ფრანკთა შორის, ბალდუინის დარად დაჯილდოებული საღი გონებითა და მმართველობის უნარით.

იბნ ალ-ასირი უხალისოდ აღიარებს ფრანკთა გაძლიერებას 1120 წლის შემდეგ, რაც უეჭველად იყო დავალებულიო ბალდუინისგან.

აქ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ჯვაროსანთა წინაშე არანაკლები დამსახურება მიუძღვის დავით აღმაშენებელს.

თ. კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი დანაშაული

ტრუმენ კეპოტი

მოთხრობა

ვიცი, რასაც ამბობენ ჩემზე, მაგრამ მე ყველაფერს გიამბობთ ჩემს მტრებზე და ვისაც კი ოდნავ ჭკუა გააჩნია, თვითონ მიხვდება ვინ არის მართალი — მე თუ ისინი. ჩემი მიზანია მხოლოდ ყოველივე ზუსტად მოვახსენო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს.

საქმე ასე იყო: კვირას, თორმეტ აგვისტოს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემი ცოლის — მარჯის ერთმა დეიდამ, მამამისის სამოქალაქო ომში ნაქონი ხმლით ჩემი მოკვლა განიზრახა, მეორე დეიდა კი თავისი უზარმაზარი ხორცის საჭრელი დანით დამედევნა და სულ დაჩორკნა ირგვლივ ყველაფერი.

მთელი ამბავი მაშინ დაიწყო, როცა მარჯი ცოლად მოვიყვანე. ეს გახლდათ ჩემი პირველი სულელური ნაბიჯი. დავქორწინდით მობაილში, გაცნობიდან სულ რაღაც ოთხი დღის შემდეგ. მაშინ ორივენი თექვსმეტ-თექვსმეტი წლისანი ვიყავით. მარჯი თავის ბიძაშვილთან მიდიოდა, ჯორჯიას შტატში. ახლა, როცა ამდენი ხნის შემდეგ დავფიქრდები ხოლმე, ღმერთმანი ვერ გამიგია რითი მომხიბლა მარჯიმ: ლამაზი მაინც ყოფილიყო — არც ტან-ფეხი უვარგოდა და ვერც ჭკუით დაიკვეხნიდა. მას ქერა თმა აქვს, ალბათ ამან თუ მიმიზიდა. ეს არის და ეს.

ქორწინების შემდეგ, მესამე თვეზე, მარჯი ფეხმძიმედ შეიქმნა. ესეც ჩემი მეორე სულელური ნაბიჯი. ამის მერე ყოველდღე ტვინს მიხვრეტდა — დედა უნდა მოვინახულოო. ტყუილი, ჰრავითარი დედა არ ჰყავდა, ორი დეიდის — ოლივია-ანასა და ონიცის გარდა. ბოლოს და ბოლოს, ცოლმა იმასაც მიაღწია, რომ დამატოვებინა საკმაოდ კარგი სამსახური კაშენ კერიში და მაიძულა გადავბარგებულიყავი სადღაც ჯანდაბაში — ადმირალ მილში.

როცა სადგურზე ჩამოვედით, კოკისპირულად წვიმდა და თქვენც არ მომიკვდეთ, ჩვენს შესახვედრად თავი არავის შეუწუხებია. მე სულელმა ორმოცი ცენტი ტყუილად დავხარჯე დეპეშაში; ახლა, ამ ნიაღვარში და ტლაპოში შვიდი მილი უნდა გაგვევლო; მარჯი ფეხმძიმედ იყო, მე წელი ისე მტკიოდა, რომ ვერ ვიხრებოდი; ამიტომ ბარგის თრევა ისევ მარჯის მოუწია. როგორც კი დეიდების სახლს თვალი მოვკარი, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მომეწონა. ის იყო დიდი, ყვითელი, სვეტებიანი შენობა, რომლის წინ ლამაზად ჩამწკრივებულიყვნენ წითელი იაპონური იასამნები.

ეტყობა ონიცმა და ოლივია-ანამ ადრევე შეგვნიშნეს და გველოდებოდნენ. ნეტავი ერთი შეგეხედათ რას ჰგავდნენ —სიცილით მოკვდებოდით. ძონძროხა და ბებერი ონიცის საჯდომი ალბათ ას კილოს მაინც იწონიდა. დარი იყო თუ ავდარი, იგი დაფლატუნობდა თავის ჰუჭყიან ფანელის ხალათით, კიმონოს რომ ეძახდა, და ერთ კუნჭულს არ დატოვებდა მოუთვალიერებელს. წარამარა თამბაქოს იღეჭებოდა, თავი ქალბატონი ეგონა და ნაღეჭს ისე შეუმჩნევლად იფურთხებოდა, თითქოს ძალიან მორიდებული ვინმე ყოფილიყო.

მოთმინებიდან რომ გამოვეყვანე, ჩინებული ხერხი აირჩია; დიდად განათლებულად მოჰქონდა ჩემთან თავი, მე კი აინუნშიაც არ ვაგდებდი, რადგან ვხედავდი როგორი ბლუკუნით კითხულობდა რაღაც ხიხულელეებს.

რაც მართალი მართალია, ერთ რამეში მეტად ნიჭიერი იყო: ისე სწრაფად ანგარიშობდა ფულს, რომ ერთ ცენტშიაც არ მოტყუვდებოდა. ონიცს ძალიან ბევრი ფული ჰქონდა და, მიუხედავად ამისა, სულ ფულზე წუწუნებდა. ერთხელ, შემოსასვლელში, ყვავილების ქოთანში, მის მიერ გადამალულ ორიათას დოლარს წავაწყდი. რა თქმა უნდა, არც ერთი ცენტისათვის ხელი არ მიხლია, მაგრამ მან ასი დოლარის ქურდობა მაინც დამაბრალა. ყველას გეფიცებით, ცილი დამწამა. რა გაეწყობოდა, თუ ონიცი რაიმეს იტყოდა, ჯარში გაცემულ განკარგულებას ჰგავდა, ვინაიდან ამ სოფელში ადამიანის შვილი აღარ იყო, მისი ვალი, რომ არ ჰქონოდა. ჰოდა, თუ ონიცი იტყოდა ჩარლზ კარისონმა — ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცმა, რომელიც უკვე ოცი წელია ნაბიჯს ვერ ადგამს, ძალით წამაქცია და გამაუპატიურაო, მთელი სოფელი იტყოდა — მართალი ამბავიაო.

ოლივია-ანა უფრო უარესი გახლდათ; დიდი დამთხვეული ვინმე იყო. წესით ის საგიჟეთში უნდა ყოფილიყო დამწყვდეული.

მას ჰქონდა გამხმარი, ულვაშებიანი, მკვდრის ფერი სახე, უმეტესად შემოსასვლელში იჯდა და თავის უშველებელი ხორცის საჭრელი დანით რაღაცას ჩიჩქნიდა. თუ არა და, ისეთ სიშტერეს ჩაიდენდა, ჭკუიდან შეიშლებოდი. აი, თუნდაც მისს სტელ სმითის ამბავი ავიღოთ. მისს სტელ სმითი ერქვა დეიდა ონიცის კანარის ჩიტს, რომელიც მას ძალიან უყვარდა; ერთ დღეს შემოსასვლელიდან საშინელი ხმაური შემომესმა. მივედი, ვხედავ, გალიის კარები ღიაა, ოლივია-ანა ცოცხით ხელში საწყალ ჩიტს გამწარებული დასდევს და გაჰკივის: ქშა, ქშა, ქშა! შემთხვევით რომ არ შევსწრებოდი, მის დანაშაულს ვერავინ გაიგებდა. დამინახა თუ არა, დაფრთხა. ძალიან შეეშინდა ონიცისათვის არ მეთქვა და მომყვა თავის მართლებას: ცოდვაა ასეთი ნაზი არსება გალიაში იყოს დამწყვდეულიო, თანაც, კანარის ჩიტის სტვენასავით ქვეყანაზე არაფერი მეზიზღებაო. თავი შემაბრალა, და რომ არ გამეთქვა, ორი დოლარი მაჩუქა. იმ ამბის შეთხზვაში, თუ როგორ დაიკარგა ჩიტი, მეც მივეხმარე, ვიფიქრე იქნებ ცოტა ჭკუაზე მოვიდეს-მეთქი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, შევდგით თუ არა ფეხი სახლში, ონიცმა მარჯის მიახალა:

— რას ჰგავს ეს მარჯი, თავზე გადაგვახტი? არაფრად ჩაგვაგდე და გათხოვდი, არა?!

მარჯიმ უპასუხა: — რაო დეიდა, განა ცუდი ბიჭია ჩემი ქმარი?

ონიცმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ბრძანა:

— უთხარი ერთი მაგ ვაჟბატონს შემოტრიალდეს, — შემობრუნება ვერც მოვასწარი, რომ ონიცმა თქვა:

— სად იპოვნე, გოგო, ასეთი გონჯი, მამაკაცის რომ არაფერი ცხია.

გავშტერდი, მართალია, ცოტა ტანმორჩილი კი ვიყავი, მაგრამ ზრდა ჯერ ხომ არ მქონდა დასრულებული.

— არაფერიც, ძალიან კარგი ბიჭია — თქვა მარჯიმ.

ოლივია-ანა იქვე შოშიასავით პირდაღებული იდგა.

— გაიგონე თუ არა, რა თქვა დეიდაშენმა, შენ ქმარს ძალიან კი მოაქვს კაცად თავი, სინამდვილეში მამრობითი სქესისაც არ არის.

მაშინ მარჯიმ თქვა: — როგორც ჩანს, გავიწყდებათ, რომ ეს ყმაწვილი ჩემი ქმარია და იმ ბავშვის მამა, რომელიც უნდა გვეყოლოს.

ონიცმა საზიზღარი ხმა ამოუშვა: — მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შენს ადგილზე მაგისთანა ქმრით არ ვიტრაბახებდი.

რა შესანიშნავი მიღებაა, არა?!

მე სულელმა კი თავი მივანებე ისეთ კარგ სამსახურს კაშენ კერიში. მაგრამ ეს ზღვაში წვეთი გახლდათ, იმასთან რაც იმ ღამეს მოხდა. ის-ის იყო შინამოსამსახურე ბლუბელმა ვახშმობის შემდეგ ჭურჭელი დარეცხა, რომ მარჯიმ დიდი მოკრძალებით დეიდებს ჰკითხა: — ფენიქს-სიტში კინოს სანახავად გვინდა წასვლა და ხომ არ გვათხოვებდით მანქანას?

— შენ ხომ არ გადარეულხარ?! — ისეთი გაოცებით თქვა დეიდა ონიცმა, თითქოს მისი საყვარელი კიმონო გვეთხოვოს, — მაგ კაცუნას გინდა დაამტვრევინო სულ ახალთახალი, 1984 წელს ნაყიდი ჩერვოლეტი? ღმერთმანი, ორივე გამოსულელებულხართ და ეგ არის!

— არაფერია, გენაცვალე, — ვანუგეშე მარჯი, — მე ისეთი კადილაკები მიტარებია, რომ...

— ჰმ, — თქვა ონიცმა.

— დიახაც, — ვუპასუხე.

— თავს მოვიჭრი, შენ ქმარს თავისდღეში ცხენშებმული გუთნის მეტი თუ რაიმე ეტარებინოს, — განაგრძო ონიცმა.

— დეიდა ონიც, მე არ მოგცემთ უფლებას, ჩემ ქმარს ასე უხეშად ელაპარაკოთ, — თქვა მარჯიმ,— ბოლოს და ბოლოს, უკვე ზრდილობის საქმეა, ხომ არ გგონიათ ვიღაც ვიგინდარას გავყევი ცოლად.

— ჰოდა, თუ მოგწონს, გყავდეს, — თქვა ონიცმა.

— არ იფიქრო, რომ შეძლებ რაიმეთი თვალები აგვიხვიო! — ისე თქვა ოლივია-ანამ, თითქოს ვირმა დაიყროყინაო.

— ტყეში გაზრდილები არ გეგონოთ! — კვლავ წამოიყვირა ონიცმა.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სულ რაღაც ოთხიოდე თვის წინ ამ კაცის კანონიერი ცოლი გავხდი, ჰკითხეთ ვისაც გნებავთ. სიკვდილამდე ვერავინ დაგვაშორებს. გარდა ამისა, დეიდა ონიც, იგი სრულწლოვანია, თავისუფალი და ჯორჯ ფარ სილვესტრიც ვერ იტანს, როცა მამამისს უშვერად იხსენიებენ. ჯორჯ ფარ სილვესტრი იცით ვინ არის? ეს სახელი ჩვენს შვილს უნდა დავარქვათ. რას იტყვით, ხომ კარგად ჟღერს?!

— როგორ შეიძლება ქალიშვილს ქალიშვილისაგან ეყოლოს ბავშვი?! — თქვა ოლივია-ანამ ჩემს გასამწარებლად და დასამცირებლად, — დღე არ გავა, რომ რაღაც სასწაული არ მოხდეს!

— კმარა, სიტყვა არ გავიგონო ფენიქს-სიტში კინოში წასვლაზე, — თქვა ონიცმა.

მარჯიმ სლუკუნი მორთო. ჰო, ჰო, აბა, ჯუდი გარლენდი არ ვნახო, არა?!

— დამშვიდდი გენაცვალე, ეგ ფილმი მობაილში ვნახე ათი წლის წინათ, — ვანუგეშე მე.

— უყურე ერთი ამ ტუტუცს ამას, — დაიჩხავლა ოლივია-ანამ, — ჯერ ათი წელი სულ არ გასულა, რაც ჯუდი ფილმებში მონაწილეობს.

ოლივია-ანა თავისი სიცოცხლის ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე კინოში არასოდეს ყოფილა (საერთოდ იგი მალავდა თავის წლოვანებას, მაგრამ მონტგომერიში ბარათი გავგზავნე და მის შესახებ ყველა ცნობები მივიღე), კინოჟურნალებს კი

---

* ტრუმენ კეპოტი — თანამედროვე ცნობილი ამერიკელი მწერალია. მისი მოთხრობა ქართულ ენაზე პირველად იბეჭდება.

გამუდმებით იწერდა. ფოსტალიონ დილანეცის გადმოცემით, ოლივია-ანა თურმე ფოსტით, ამ ჟურნალების გარდა, არაფერს ღებულობდა, ავადმყოფურად იყო შეყვარებული კინომსახიობ ჰარი კუპერზე, რომლის სურათებით ორი ჩემოდანი ჰქონდა გამოტენილი.

ვივახშმეთ, ონიცი ფანჯარაზე გადაეყუდა და თქვა: — ოოჰ, უკვე ჩიტები იბუდებენ, დროა ჩვენც დავწვეთ. მარჯი, შენ დაიძინე იმ ოთახში, სადაც უწინ გეძინა ხოლმე, ამ ვაჟბატონს კი შემოსასვლელში უკვე დავუგეთ და როცა ენებოს, წაწრძანდეს და დაიძინოს.

წამით ხმა ვერ ამოვიღე, ყელი გამიშრა, მერე ვთქვი: — ნება მომეცით, გკითხოთ, რატომ არ შეიძლება ჩემს კანონიერ ცოლთან ერთად დავიძინო?

დეიდები აყაყანდნენ, მორთეს აურზაური. მარჯი აქეთ ეცა, იქით ეცა, ვერაფერს გახდა.

— გავგიჟდები, აღარ შემიძლია მეტი, გეყოფათ! წადი, ჩემო თოჯინავ, სადაც გეუბნებიან. დილას ხომ ისევ ერთად ვიქნებით!

— არა! — ვთქვი მე.

— დეიდა გენაცვალოს, — ეუბნებოდა მარჯას ოლივია-ანა და თავზე ხელს უსვამდა, — ჩემო საბრალო გოგონა, ჩემო პატარა, უმწიკვლო! მოდი, მოდი, იტირე დეიდა ოლივია-ანას მკლავებზე.

მაისი, ივნისი, ივლისი და აგვისტო — წლის საუკეთესო თვეები სახლის უკან, აივანზე მეძინა, კოღოების შემოტევისაგან თავს ვერ ვიცავდი, არავითარი საფარი არ მქონია, მარჯის კი კრინტიც არ დაუძრავს.

ეს თვეები ალაბამას შტატში ძალიან ნოტიოა და იმდენი კოღოებია, რომ კამეჩს აბლავლებს. არაფერს ვამბობ, იმ საშინელ, ვეებერთელა ხოჭოებზე და ღამურებზე, მთელი ღამე ისეთ ხროვად რომ დაფრინავდნენ, შეეძლოთ მატარებელი გადაებრუნებინათ. ოჰ, ჯორჯ ფარ სილვესტრი რომ არა, ჩამოსვლის პირველსავე დღესვე მოვკურცხლავდი იქიდან. დასწყევლოს ღმერთმა, რაც იქ ჩავედი, ერთი წუთითაც აღარ ვყოფილვარ მარჯისთან მარტო, რადგან ხან ოლივია-ანა სდევდა კუდში ჩემ ცოლს და ხან ონიცი.

გასულ კვირას ამ ქალბატონებმა ყოველივეს გადააჭარბეს. ეს მოხდა მაშინ, როცა მარჯი ოთახში ჩაიკეტა, ვითომც რაღაც საშინელება უნდა ჩაედინა და მეც ონიცის ჯინზე ისე დავიმალე, რომ ვერსად მიპოვნეს.

ამის შემდეგ ჩემს წინააღმდეგ ბლუბელიც შემოიერთეს, ამ ხნის განმავლობაში სიგარეტის ფულიც არ მქონია.

ონიცი ყოველდღე იმაზე ბუზღუნებდა, რომ მუშაობა დამეწყო.

— რატომ არ გაეთრევა ეს ღლაპი და არ მოკიდებს ხელს პატიოსან შრომას, — ამბობდა იგი.

როგორც ხედავთ, ონიცი პირადად არასოდეს მელაპარაკებოდა, თუმცა უფრო ხშირად თვითონ ვარიდებდი თავს.

— ამას რომ კაცობის რამე გააჩნდეს, საწყალ გოგონას ლუკმა-პურს მაინც მოუტანდა!

— ვგონებ, თქვენ კარგად იცით, რომ ცამეტი წლის განმავლობაში ყველაზე ცივ ოთახში ვცხოვრობდი და ქატოს გარდა არაფერს ვჭამდი. ექიმ კარტერს ორჯერ ვეჩვენე. იგი დღესაც არაა დარწმუნებული მჭირს თუ არა ცინგა, — ვთქვი მე.

არ ვმუშაობდი იმიტომ, რომ ჩემისთანა ნიჭიერ კაცს რა უნდა გაეკეთებინა იმ აყროლებულ სოფელში, ისეთი კარგი სამსახურის დაკარგვის მერე, ან სად უნდა მემუშავა?! ადმირალ-მილში ერთადერთი ფარდული ჰქონდათ და მისი მფლობელი — ტუბერვილი თავისი უქნარობის გამო ვერაფრის გაყიდვას ვერ ახერხებდა. აქვე იყო კიდევ ბაპტისტთა ეკლესია, სადაც მღვდელი უკვე ჰყავდათ. ერთხელ ამ საზიზღარ ბებერ მღვდელს, რომელსაც შელი ერქვა, ონიცი მიადგა ვითომდა ჩემი სულის გადასარჩენად, საკუთარი ყურით გავიგონე ჩემზე ეუბნებოდა, ძალიან გაუვიდა თავსო.

ეს კიდევ არაფერი, დეიდა ონიცმა ისე შეაძულა ჩემი თავი მარჯის, ზურგში რტყმევაც კი დამიწყო, თუმცა ერთი-ორჯერ როდესაც სახეში ვლეწე, ჭკუად დაჭკვიანდა და აღარასოდეს ბედავდა უპატივცემულოდ მომპყრობოდა.

სწორედ თორმეტი აგვისტოსათვის, როდესაც ჩემი სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა, მტრების დაჯგუფება შემდეგნაირი იყო: ოლივია-ანა, მარჯი და მთელი სოფელი (მოსახლეობა — 342 კაცი).

წინა დღეს წყნარი ამინდი იდგა, მაგრამ ისე ცხელოდა, ალბათ ქვასაც დაადნობდა. მთელი უბედურება ზუსტად ორ საათზე დამატყდა: რადგან ონიცის სულელი თავის ამბავი კარგად ვიცოდი, თავს ვარიდებდი და ჩემთვის ვერთობოდი — სიმღერებს ვთხზავდი მათ დანჯღრეულ პიანინოზე, რომელიც ოლივია-ანას ონიცისათვის ეყიდნა და ჯორჯიიდან თურმე მისთვის მუსიკის მასწავლებელიც კი ჩამოეყვანა.

ფოსტის უფროსის — დილანეცის გადმოცემით (ერთ ხანს ჩემთან მეგობრობდა) მუსიკის მასწავლებელი ჰირვეული ვინმე ყოფილა და ამ ქალბატონებს სახლიდან კუდამოძუებული გაუგდიათ.

მეც ვცდილობდი არ შემეწუხებინა დეიდები და შემოსასვლელში პიანინოს ვუკრავდი. უცებ ოლივია-ანა თმააბურძგნული, ჭიხვინით შემოვარდა ოთახში: — შეწყვიტე ახლავე ეს ჯოჯოხეთური რაკა-რუკი, არ შეგიძლიათ წუთით მაინც მოისვენოთ?! ახლავე მოცილდით ჩემს პიანინოს. ეს თქვენი პიანინო არ გახლავთ, ეს ჩემი პიანინოა! მოწყდით აქედან, თორემ ახლავე პოლიციას გამოვიძახებ.

იგი დიდი შურიანი ვინმე გახლდათ. გულზე სკდებოდა, რომ მუსიკის შესანიშნავი ნიჭი მქონდა და ბრწყინვალე სიმღერებს ვთხზავდი.

— შეხედეთ, როგორ გაგიფუჭებიათ კლავიშები, ბატონო სილვესტრ, — მითხრა ოლივია-ანამ როხროხით, — თითქმის ყველა კლავიში მოშალეთ, ერთიც აღარ ჟღერს წმინდად, ხედავთ რა გააკეთეთ თქვენ? — თუმცა მან მშვენივრად იცოდა ჩემს მისვლამდე ეს პიანინო მხოლოდ ჯართში გადასაგდებად თუ გამოდგებოდა.

— იცით რას გეტყვით, მისს ოლივია-ანა! მეც ვიცი ისეთი რამ, რაც ზოგიერთ ვინმეს ძალიან დააინტერესებს, თუნდაც მისს ჰარი სტელ სმითის ამბავი, — ვთქვი მე, — გახსოვთ მისს სტელ სმითი?!

ოლივია-ანამ ხმა გაკმინდა, ცარიელ გალიას შეხედა და თქვა: — თქვენ ხომ პირობა მომეცით, რომ... — სახე სიბრაზისაგან აენთო.

— იქნებ უკვე ვუთხარი, იქნებ არ მითქვამს. თქვენ სასტიკი დანაშაული ჩაიდინეთ. მოატყუილეთ საკუთარი და, მაგრამ თუ თავს გამანებებთ, იქნებ გადავიფიქრო და არც არავის არაფერი ვუთხრა...

— კეთილი ბატონო! — ოლივია-ანა ოთახიდან გავიდა. მე კი სავარძელში გავიჭიმე. იგი ყველაზე საძაგელი იყო იმ ავეჯეულობაში, რომელიც ონიცს 1912 წელს ატლანტაში ორიათას დოლარად ეყიდნა. მთელი ავეჯი იყო შავი და ქათმის დამპალი ბურტყულის სუნი ასდიოდა.

შემოსასვლელის ერთ კუთხეში მაგიდა იდგა, ზედ ოლივია-ანასა და ონიცის მშობლების სურათი იდო. მამას ასე თუ ისე, კარგი შესახედაობა ჰქონდა. სამოქალაქო ომის დროს იგი კაპიტანი ყოფილა და ბუხრის თავზე სწორედ მისი ხმალი ეკიდა, რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. დედას, მსგავსად ოლივია-ანასი, გამოთაყვანებული ჯალათის სახე ჰქონდა.

ჰოდა, ის-ის იყო ჩავთვლიმე, რომ ონიცის ყმუილი მომესმა: „სად არის, სად, სად?“ მახსოვს თავისი ბოძებივით ხელებით დოინჯი გაეკეთებინა და კარებში ჰიპოპოტამივით გამოჩნდა, მის უკან დარაზმულიყვნენ ბლუბელი, ოლივია-ანა და მარჯი.

წამიც არ გასულა ონიცი შიშველ, ბებერ ფეხს გააფთრებული იატაკს ურტყამდა. თან ბომბორა მსუქან სახეს სურათით იგრილებდა, რომელზეც ნიაგარას ჩანჩქერები ჩანდა.

— სად არის? სად! — ყეფით ამბობდა — სად არის ჩემი ასი დოლარი, რომელიც ამ ვაჟბატონმა მომპარა ხელსა და ხელს შუა (ეს ისე ჰგავდა მართალს, როგორც მე ვგავდი ჰერკულესს.).

ძალიან დაღლილი ვიყავი, წამოდგომა დამეზარა.

— მოიცათ, მოიცათ, ჯერ სადა ხართ, — თქვა მან და ხოჭოსოდენა თვალებს ისე ატრიალებდა, ლამის ბუდიდან ამოვარდნილიყვნენ.

— ეგ ფული ჩემს გასვენებას უნდა მოხმარებოდა! ჩქარა დამიბრუნეთ! თქვენ გესმით რა ჩაიდინა ამ ვაჟბატონმა? მან მიცვალებული გაძარცვა.

— იქნებ ამას არ აუღია, — თქვა მარჯიმ.

— ხმა, კრინტი! — შეჰყვირა ოლივია-ანამ.

— დარწმუნებული ვარ, მან მომპარა, — თქვა ონიცმა, — ერთი შეხედეთ თვალებში, როგორ დამნაშავესავით იყურება!

მე დავამთქნარე და ვთქვი: სისხლის სამართლის კანონის თანახმად, თუკი ერთი პიროვნება ცილს სწამებს მეორეს, ცილისმწამებელს აპატიმრებენ და მას ვაშინგტონის შინაგან საქმეთა სამინისტროც ვერ იხსნის.

— ღმერთი დასჯის მას, ღმერთი, — თქვა ონიცმა.

— ოჰ, არა დაო! — თქვა ოლივია-ანამ, — მოდი ღმერთს ნუ დაველოდებით.

ამ დროს ონიცი მისთვის ჩვეული შტერული გამომეტყველებით მომიახლოვდა. მისი ჭუჭყიანი ხალათის ტოტი იატაკზე მოფხოკიალობდა. ოლივია-ანა წურბელასავით უკან აეკრა მას. ბლუბელი, ბუზღუნით მარჯის ამოეფარა, რომელიც იდგა და თითებს იმტვრევდა.

— ოოჰ, — სლუკუნებდა მარჯი, — გეხვეწები, ჩემო თოჯინავ, დაუბრუნე ფული დეიდას!

— შენც მათთან ბრუტოს! — მოვიშველე შექსპირი.

— სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის მიდრეკილებებს დაუკვირდით, მთელი დღე გდია და საფოსტო მარკების ლოკვის და წებვის მეტს არაფერს აკეთებს, — ბრძანა ონიცმა.

— უჰ, ეს საცოდავი ესა! — კაკანებდა ოლივია-ანა.

— ნეტავ ეგ ყოფილიყო ორსულად, ამ საბრალო გოგონას მაგიერ! — თქვა ონიცმა.

ბლუბელმა ორი ცენტი სწრაფად გააქანა ჯიბეში და ჩაილაპარაკა — „ნეტავი მართლაც, მასე ყოფილიყოს!“

— კუმ ფეხი გამოყო მეც ნაზირ, ნახირაო, — მივაძახე ბლუბელს.

— სამი თვეც არ გასულა, რაც ეს გონჯი ჩვენთან აგდია, როგორ ჰბედავს ცილისმწამებელი მიწოდოს?! — თქვა ონიცმა.

სახელოებზე ფერფლი დინჯად დავიფერთხე, და ოდნავ გაჯავრებულმა ვთქვი: ექიმმა კარტერმა თქვა, რომ ძალიან საშიში ავადმყოფობა მჭირს,

# გუდრუხელი მთქმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოლკლორისტის ჩანაწერებიდან

დუშეთის რაიონის სოფელ გუდრუხში დავბინავდი, ოთხმოც წელს მიღწეულ შაქრო თანდილაშვილის ბინაში.

სარკმლიდან გვიანი შემოდგომა იცქირება.

ძია შაქროს უფროსი ვაჟი გიორგი ომში დაღუპვია. უმცროსი ვაჟი გურამი ცოლ-შვილით თბილისში ცხოვრობს.

— ჰო, თბილისში დასახლდა. ქარხანაში მუშაობს. მისი ცოლი მაღაზიაში მსახურობს. ამ კვირას დასვენება უწევს. უნდა ჩამოვიდნენ. ვაშლი, კაკალი, კომში დასაკრეფია. ყურძენიც. რა ვქნა, მე ჯანი აღარ მომდევს, ეგენი ახალგაზრდები არიან, მოვიდნენ და ყური უგდონ.

ვახშმად ძია შაქრომ მოხარშული კვერცხი, პამიდორი, კარაქი, ყველი მოიტანა. თან ქიპიტაურიც მოაყოლა. უწყინარია, თავს არ ატკივებსო, — ჩაიცინა მოხუცმა.

— სამი დღის წინ მეზობლის ქალმა, გაახაროს ღმერთმა, ერთი დიდი ხმიადი გამომიცხო, ახლა კი ისე გამხმარა, ცულით ვერ გასჩეხ, — უკმაყოფილოდ თვალებს ჰუტავს და: — უქალო ოჯახი ასეთია, გენაცვალე! ეჰ, ისეთი ცოლი მომიკვდა, შუაღამისას ათი სტუმარი რომ მომეყენა კარებზე, მაინც პირზე ღიმილი ეხატა...

მესამე დღეს მისი ვაჟი და რძალი ჩამოდიან. ძია შაქრო მთელი დღე წელგამართული და მხრებაღმართული დადის ეზოში. გულში სიმხნევე მომატებია, თვალებში — შუქი, მუხლებში — ძალა.

ახლა ის ხის სკამზე ზის და ფშაურ კაფიებს მაწერინებს, ჯაბანის, მერცხალის, ხოხას და სხვების ენამოსწრებულ პოეტურ სტრიქონებს.

გუშინ ის ჩვეულებრივ ამბობდა ლექსებს, დღეს სიმღერით ამბობს.

ჩემთვის გასაგებია მისი აღტაცება.

— მე მარტო სხვისი ლექსები კი არ ვიცი, ჩემებიც მაქვს — იღიმება ბერიკაცი.

— აბა თქვენებიც ბრძანეთ — ვაგულიანებ მე.

— აბა რა ვიცი, ვინც კი ჩვენს სოფელში გაურჯელია და უხეირო, ყველას ლექსი გამოვუთქვი. აგერ შაქრო რომ არი, ჩემი სეხნია და კარის მეზობელი, უფხოა, უმარიფათო... სანამ თავზე არ დაექცა, სახლს ყავარი და კოჭ-ფიცრები ვერ გამოუცვალა. მაგას ვინ გაუჩერდება? ისეთი კარგი ცოლი ჰყავდა, მეოჯახე ხევსურის ქალი, ადამიანს ცივ ქვაზე აცხოვრებდა. გაექცა, მაშ რა უნდა ექნა, როცა ეგ სულ სასმელს არის გადაყოლილი, ერბო რომ ეღვრებოდეს, არყის ჰიქას ვერ დათმობს. ეგეც იტყვის, მეც მზეზე დავალო. ჩაიწერე, ეგ ჩემი ლექსია:

შაქრო ვარ გიორგის შვილი,
მეჯიხვეს მეძახიანო,
ახლა რომ ცოლი შევირთე,
სახელ ბაბალე ჰქვიანო,
ჰაი გიდი, ხევსურის ქალო,
თვალ-ჭრელო, ყვითელთმიანო,
ფერმაში მომუშავე ხარ,
ადრითავ სახელიანო.

— აბა ასეთ ცოლს გაეყრება ჭკვიანი კაცი?! — ბრაზობს შაქრო ძია და განაგრძობს.

—ზოგი კაცია, პატიჟი და კალთის შემოგლეჯა არ ჰირდება, სულ ყურები აქვს დაცქვეტილი, — ჰიქა ხომ არსად ჩხარუნობს, მეც იქ მივეხეტოო. მასპინძელი კარებთან ჯოხით ვერ გადაუდგება, თვითონ კი იმდენი მიხვედრა არა აქვს, ასე არე-არეზე ბოდიალი არ ვარგა. სირცხვილია. მწარე წყალი (არაყს ასე უწოდა ძია შაქრომ) ვის დააყრის ხეირსა! ესეც ჩხვლეტია ლექსია, იმათზეა ნათქვამი:

ერთი ყაიდის ხალხნია,
ერთფერ სახელნი ჰქვიანო,
სუააწუნტეს სოფელი,
ადიან-ჩამოდიანო,
კაც რომ არ ეპატიჟება,
ძალად შიგ შაცვივიანო.

სოფელს დიდი თვალები აქვს, კარგსაც ხედავს და ცუდსაც. სოფელს არაფერი არ მოეტყუება. მეც ერთი ჩვენი კარგი მწყემსი დეპუტატი ნარიმანიძე ასე შევაქე:

რა უჭირს მაღაროს კარსა,
ცუთხეა ვაჟაისარ,
დეპუტატ წამააყენეს,
ნატეხი სალის კლდისაო,
ყველა ვერ წავა მწყემსადა,
ყველა ვერ დასთმობს ძილსაო,
ოცი წელია ცხვარშია,
გზა იცის ყიზლარისაო.
კასპის ზღვის პირას ბინა აქვს,
საძოვი თავის ცხვრისაო.

ძია შაქროს დაბამბული ქურთუკი აცვია, ფეხები ჩექმებში აქვს გაყოფილი და თითქოს ბუქნა-ბუქნაობით დადის. რომ გაგელაპარაკება, თავს მაღლა ასწევს, შუბლს მინაბავს და ტკბილი ფშაური კილოთი გაჯერებული ხმით ლექსებსაც ჩაურთავს.

— აბა, რაც იყოს, იყოს, კიდევ ერთი ლექსიც ჩაიწერე, — მეუბნება. — ამ დილით გამახსენდა, რათ უნდა დაიკარგოს, არა?

— რა თქმა უნდა, არ უნდა დაიკარგოს, — ვეთანხმები და მის მიერ ნათქვამი ლექსი რვეულში შემაქვს.

გამომშვიდობებისას ჰიშკრამდის მაცილებს და დაბალი ხმით იწყებს:

— გუდრუხი კარგი სოფელია, ხალხიც კარგია, აქა-იქ თითო-ოროლა უვარგისი ურევია, მეც მათ ვკენწლავ. ავადმყოფს ექიმი ხომ სჭირდება.

და ძია შაქროც თავისებური ექიმია, — სოფლის ტკივილსა და იარას სტრიქონებით მკურნალობს.

**გიორგი შეთეკაური.**

---

ვგონებ ცინგა, ჩემი აღელვება არაფრით არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება პირზე ქაფი მომადგეს და კბილებით დაგგლიჯოთ სუყველა.

— მერე და რატომ არ წაეთრევა თავის ბინძურ მობაილში, დეიდა ონიც, ამის ნაბანი წყლის თრევამ წელში გამწყვიტა, — თქვა ბლუბელმა.

რა თქმა უნდა, ბლუბელის სიტყვებმა ისე გამომიყვანა მოთმინებიდან, რომ ირგვლივ აღარავის და არაფერს ვხედავდი.

არ შევიმჩნიე, მშვიდად წამოვდექი, ხელი დავავლე იაპონურ ქოლგას და ბლუბელს იმდენი ვურტყი თავში, ვიდრე ქოლგა შუაზე არ გატყდა.

— უი, უი, ჩემი იაპონური ქოლგა, — დაიჩხავლა ოლივია-ანამ.

მარჯი აკივლდა! „ბიჭო, ნუ მოკალი, საბრალო ბლუბელი!“

ონიცი კი ოლივია-ანას ეცა:

— ნამდვილად გაგიუდა ეს საძაგელი, არიქა ჩქარა ტუბერვილს დაუძახე!

— ოო, ვერ ვიტან მისტერ ტუბერვილს, — ადუდღუნდა ოლივია-ანა.—უმჯობესია ჩემ ხორცის საჭრელ დანას მოვიტან. — მე ყურიც არ გავაბარტყუნე. ოლივია-ანა კარებისაკენ გაქანდა, მაგრამ იგი ოსტატურად ძირს გავაგორე.

ზურგში რაღაცამ გაიტკაცუნა, მწარედ მეტკინა.

— მიშველეთ! მოკლა ქალი! — ისე იყვირა ონიცმა, რომ კინაღამ ჭერი ჩამოინგრა. — მარჯი, შვილო, არიქა, ჩქარა მომიტანე მამაჩემის ხმალი!

მარჯიმ სწრაფად მოარბენინა ონიცისა და ოლივია-ანას მამის ნაქონი ხმალი. მოდი ამის შემდეგ თქვით კარგი რამ ცოლის ერთგულებაზე; ოლივია-ანამ მაინც მოახერხა და ისე მწვავედ მკრა მუხლი, რომ მაშინვე გავვარდი ოთახიდან. თქვენ წარმოიდგინეთ, არ გასულა რამდენიმე წუთიც, რომ ეზოდან ოლივია-ანას სიმღერა მომესმა.

ონიცი ფართოდ იქნევდა ხმალს, დამდევდა და ირგვლივ ყველაფერს ჩორკნიდა. მე პიანინოს თავზე აძრომა ძლივს მოვასწარი. ონიცი პიანინოს სკამზე ავიდა. საკვირველია, როგორ არ ჩამოვარდა იმ სკამიდან ასეთი ვეება ცხოველი.

— ჩამოეთრიე ძირს, შე ლაჟე შენა, ვიდრე არ გაგაპე შუაზე, — და ხმალი ისე მოიქნია, რომ ერთი გოჯი მაინც გამკაწრა; ამასობაში ბლუბელს თავი მორჩენოდა და ეზოში ოლივია-ანასთან რაღაცეები მიჰქონდა; მივხვდი, აშკარად ჩემს ცხედარს ელოდებოდნენ და ღმერთმა იცის რა მოხდებოდა, რომ მარჯის უცებ გული არ შეწუხებოდა.

ეს იყო და ეს, რა სიკეთეც მარჯიმ მომიტანა.

ამის შემდეგ რა მოხდა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მხოლოდ ის კი მახსოვს, დეიდა ოლივია-ანა ისევ გამოჩნდა თავისი უშველებელი ხორცის საჭრელი დანით ხელში. მის უკან მეზობლების მთელი ხროვა იდგა. მარჯი თავის ოთახში დააწვინეს.

წავიდნენ თუ არა ყველანი, შემოსასვლელის კარები გადავრაზე.

უზარმაზარი წითელი ხის მაგიდა, სკამები და თუკი რაიმე ავეჯი მეგულებოდა ოთახში, ყველაფერი კარებზე მივაწყე, ჩავკეტე ფანჯრები, ფარდები ჩამოვუშვი, იქვე ტკბილეულობით სავსე დიდი ყუთი ვიპოვნე.

ისინი ხანდახან კარებზე მოდიოდნენ, მიკაკუნებდნენ, მეძახდნენ, ხოლო ამჯერად სულ სხვა ხმაზე. მე კი მათ ხმას პიანინოს ვაყოლებდი, უბრალოდ მინდოდა ყველას გაეგო, რომ მეც მხიარულ გუნებაზე ვიყავი.

ინგლისურიდან თარგმნა
**ნიკოლოზ კენჭოშვილმა.**

# საჭადრაკო ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კაროლ ლიბელჯი**

პოლონეთი

## იდუმალი ხერხი

ბავშვობაში ანასტაზიოს დიდი განსაცდელი შეემთხვა. გემი, რომლითაც ის მიჰყავდათ, დიდ ქარიშხალსა და ღელვაში მოხვდა და ჩაიძირა. თითო-ოროლა გადარჩენილთა შორის პატარა ანასტაზიოც იყო. იგი იხსნა ვილაც მისთვის უცნობმა ექიმმა და ალქიმიკოსმა. გადარჩენილი ანასტაზიო მან შინ წაიყვანა და ღვიძლი შვილივით ზრდიდა, ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. სიკვდილის წინ მოხუცმა ანასტაზიოს ანდერძით ასი ცეხინი ოქრო დაუტოვა. ჭაბუკმა მოგზაურობა დაიწყო, მოიარა ქალაქები — რომი, ნეაპოლი, სირაკუზა, რომელთა ნახვაზე მუდამ ოცნებობდა. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, ფული მალე გამოელია, ვინაიდან უთავბოლოდ ხარჯავდა. და აი ერთხელ აღმოჩნდა, რომ სასტუმროს ვალის გასასტუმრებლად თანხა არ ჰყოფნიდა. ჭაბუკი ძლიერ გვიან გამოფხიზლდა და განიზრახა გაეყიდა რაღაც წვრილმანები, რომელიც მამობილისაგან დარჩენოდა. ვალს რომ გაისტუმრებდა, გადაწყვეტილი ჰქონდა წასულიყო პალერმოში და მათემატიკის მასწავლებლობა დაეწყო.

მაგრამ აი პირველი კითხვა — რა გაყიდოს? მათემატიკური ხელსაწყოები? არავითარ შემთხვევაში. ისინი მასწავლებლობის დროს დასჭირდება. ტანსაცმელი? ძველები გააჩუქა, ახლები კი თვითონ სჭირდება, „ჭადრაკი, — წამოიძახა გახარებულმა, — უამისოდ გასძლებს კაცი, ადამიანებს უყვართ ასეთი სამკაულები. ვიპოვი ისეთ მოყვარულს, რომელიც ამაში ხუთ ან ექვს ცეხინს მომცემს".

რაკი-ღა ექიმის საჩუქარს უნდა გამოთხოვებოდა, მოუნდა ერთხელ კიდევ შეეხედა ჭადრაკისათვის, ამოიღო იგი ბუდიდან და უეცრად მისი ყურადღება მიიპყრო ქაღალდმა, რომელიც შემოხვეული ჰქონდა ჭადრაკის დაფას, მასზე ჭადრაკის უჯრედებიც დახაზული და სათამაშო პოზიციებიც აღნიშნული იყო. ქაღალდის კიდეზე ამოიკითხა ექიმის მიერ გაურკვეველი ხელით მინაწერი: „უტყუარი ხერხი, რომლითაც შეიძლება მოიგო პარტია, ვისაც უნდა ეთამაშო".

ანასტაზიოს ენიშნა — გაახსენდა, რომ ექიმს ხშირად ეთამაშებოდა ჭადრაკს, მაგრამ არასოდეს არ მოუგია.

ამ საიდუმლოებამ ისე შეიპყრო ანასტაზიო, რომ მან რამდენიმე საათი მოანდომა მის ამოცნობას. ბოლოს გაახსენდა, სასტუმროს პატრონი მელოდებაო, ამოიოხრა, აიღო თავისი ფულის ქისა, იღლიაში ჭადრაკი ამოიჩარა და სასწრაფოდ წავიდა სასტუმროს პატრონთან. იქ ადრინდელი ნაცნობები დახვდნენ და მიერიდა ჭადრაკის გაყიდვაზე ლაპარაკი. ფულს თვლა რომ დაუწყო, ვითომ გაკვირვებულმა წამოიყვირა:

— ეშმაკმა დალახვროს, ერთი ცეხინი აკლია, წამოლება დამვიწყებია, მერე მოვიტან. ახლა კი მშვენიერი ჭადრაკი მინდა გიჩვენოთ. ბატონებო, ვის გნებავთ მეთამაშოთ ერთი პარტია?

— ჭადრაკი? — ჰკითხა სასტუმროს პატრონმა სენიორ პესკატინიმ, — სიამოვნებით, მზად ვართ გემსახუროთ. ბატონებო, ეს ყმაწვილი რომ არ გავაწვალოთ და ერთი ცეხინისათვის ამდენი არ ვატაროთ, ვეთამაშოთ მაგ თანხაზე.

— მაშინ ორმაგი ჯაფა დაადგება, — თქვა ერთმა დამსწრეთაგანმა, — ბატონო პესკატინი, თქვენ ხომ შესანიშნავად თამაშობთ ჭადრაკს!

ანასტაზიომ თავისთვის გაიფიქრა: „ერთ თუ ორ ცეხინს რა მნიშვნელობა აქვს, დაე, ასე იყოს, ვითამაშებ!"

დაიწყეს თამაში. ანასტაზიომ პირველი სვლა თავისი მამობილის მეთოდით გააკეთა, შემდეგ რამდენიმე პაიკი დაკარგა, მაგრამ მალე ამას მოყვა გადამწყვეტი სვლა — მოწინააღმდეგე ხაფანგში აღმოჩნდა და პარტია წააგო.

— ღმერთო ჩემო! — ყვიროდა სასტუმროს პატრონი და თან მოტვლეპილ თავზე ხელს ისვამდა, დამსწრენი კი იცინოდნენ, — ნუ თუ ასე ადვილია ჩემი მახეში გაბმა? არა, გავაგრძელოთ... ფსონს ორმაგად ჩამოვდივარ. შენ კი, სენიორ, დაიწყე თამაში!

ანასტაზიო ყურადღებით აკეთებდა სვლებს, თამაში ოდნავ გაჭიანურდა, დაძაბულობა მატულობდა, დარტყმა დარტყმას მოსდევდა ორივე მხრიდან, ბოლოს ანასტაზიომ წამოიძახა:

— ქიში მეფეს!

— შამათი! თქვენ შამათი მიიღეთ, სინიორ პესკატინი! — დაიძახა რამდენიმე ხმამ.

— გამოვსულელდი თუ მთვრალი ვარ, — უცებ წამოიძახა გაცოფებულმა მეპატრონემ, — ყმაწვილო, ვთამაშობ ექვს ფსონზე!

— კარგი! — უპასუხა ანასტაზიომ, რომელიც სულ უფრო და უფრო ნდობით იმსჭვალებოდა ექიმის ჩანაფიქრისადმი.

ბრძოლა განახლდა, ყოველი სვლა კეთდებოდა დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით.

გამარჯვების სასწორი დიდხანს მერყეობდა, ვინაიდან პესკატინი უბრალო მოჭადრაკე როდი იყო. მაგრამ ანასტაზიომ შესწირა რამდენიმე ფიგურა, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგის ფლანგს და წამოიყვირა:

— ქიში მეფესა და დედოფალს!

ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე სვლა და პესკატინიმ ისევ შამათი მიიღო.

— შევიშლები ჭკუაზე, — წამოიყვირა მეპატრონემ და მუშტით დაუცხრომელი ბაგუნი აუტეხა მაგიდას, — სენიორ, ინებებთ ითამაშოთ იმ თანხაზე, რაც იმ ოცდაოთხი ცეხინიდან დარჩა?

— რატომაც არა! სიამოვნებით, — თამამად უპასუხა ანასტაზიომ.

მეპატრონემ ოქრო მაგიდის შუაგულისაკენ გასწია. თამაში განახლდა. ამჯერად იგი უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მანამდე. პესკატინი ერიდებოდა ადრინდელ კომბინაციებს, მაგრამ არც კი გასულა რამდენიმე წუთი, რომ პესკატინიმ ისევ შამათი მიიღო. დამსწრენი მთელი სულითა და გულით იცინოდნენ. მეპატრონე [illegible] მიმოდიოდა დარბაზში. [illegible] დამსწრეთაგანმა [illegible] პესკატინი დაფასთან. ანასტაზიომ ყველა ხელი მოიგო. თავის ნომერში რომ დაბრუნდა, დათვალა მოგებული თანხა — ქისაში ორმოცდაათი ცეხინი აღმოჩნდა.

მეორე დღეს მეპატრონემ ანასტაზიოს მომგებიანი საქმე შესთავაზა: — მოდი ასე მოვიქცეთ: გასაღე შენი თავი ბრწყინვალე მოთამაშე უცხოელ ოსტატად, დიდძალ ფულს გავაკეთებთ. ახლა ჭადრაკის საუკეთესო ოსტატებს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ვირტუოზებსა და მსახიობებს. მთელ ქვეყანას ენატრება მათი ნახვა და გაცნობა, — არწმუნებდა პესკატინი ანასტაზიოს და თან ჰპირდებოდა, რომ მისი იმპრესარიო და საქმის თანამონაწილე იქნებოდა. ათ ცეხინზე ნაკლებ არ ითამაშებ თითო პარტიას, მაყურებელს კი ნახევარ ცეხინს გადავახდევინებთო.

მორიგდნენ და დაიწყო ანასტაზიოს შეუწყვეტელი ტრიუმფი. დიდება, აღტაცება, სიყვარული ამიერიდან მისი თანმხლებნი იყვნენ, მაგრამ გამოჩნდნენ მოქიშპენი, შურიანები.

იმ ხანებში ანასტაზიომ გადაწყვიტა ცოლად მოეყვანა თავისი შეყვარებული ქალიშვილი ერმინეა. ქალიშვილის ბიძამ, დიდებულმა დოჟმა და ინკვიზიტორმა, ანასტაზიოს შულერობა დასწამა. ჭაბუკი შეიპყრეს, საპყრობილეში ჩასვეს და უთხრეს, რომ გაანთავისუფლებენ იმ შემთხვევაში, თუ თავისი თამაშის საიდუმლოებას გახსნიდა.

ერმინიამ მოაწყო თავისი საქმროს გაქცევა ციხიდან და ქვეყანას მოწყვეტილი შეყვარებულნი თავს ბედნიერად გრძნობდნენ.

ანასტაზიომ სერიოზულად მიჰყო ხელი მათემატიკას, ჭადრაკს აღარ გაკარებია. იგი თავის მეგობრებს მიუთითებდა ხოლმე ერმინიაზე, და ეუბნებოდა — „აი ეს უკანასკნელი სვლა ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო ცხოვრებაში".



**მორ იოკაი**

უნგრეთი

## არაბი და ესპანელი

იმ დროს ესპანეთი ჯერ ისევ არაბების ხელში იყო.

დრო და დრო ესპანელი აზნაური დონ ურტადო დადიოდა სამოგზაუროდ ახლობელ თუ შორეულ ქალაქებში და ყოველთვის მდიდრული ნაძარცვითა და ნადავლით ბრუნდებოდა. ერთხელ კვლავ გაემგზავრა შორეულ გზაზე. ტყეში, მდინარე

---

* ნოველები იბეჭდება იმ რედაქციით, როგორც ისინი წარმოდგენილია ეჟი გიჟიცკის წიგნში „ჭადრაკი ქვეყნებსა და საუკუნეებში" (ვარშავა, 1970 წ.).

# მელა და შველი

## იგავი

სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი მელია აივანზე იჯდა. ახლოს შველმა გაიარა.

— შენ ეი, ბიჭო! — დაუძახა მელამ, — ამოდი ერთი, ახალი სახლი დამილოცე!

ბინა ფინური ავეჯით ჰქონდა მოწყობილი მელაკუდას— იგი შთამომავალი იყო სახელგანთქმული წინაპრისა, ფეხით რომ წავიდა იერუსალიმში. ეს კი სულ მანქანით დაბრძანდება. შველმა ეზოში შესვლისთანავე შურით გადახედა მის გარაჟს, მერე წაიბურტყუნა „აქა მშვიდობაო", და ბაკუნით შევიდა ოთახში.

დახვეწილი გემოვნებით იყო მოწყობილი საძინებელი ოთახიც, სასტუმროც, საბილიარდოც, მაგრამ შველი ყველაზე მეტად მელაკუდას სამუშაო კაბინეტმა გააოცა. კედლებზე მიმაგრებული ჩეხური თაროები დაძეძგილი იყო მსოფლიო ლიტერატურის ორასტომიანი ხელმოწერითი გამოცემის ეგზემპლარებით, მაგრამ შველმა მაშინვე შენიშნა, რომ ყოველი ტომი ხელუხლებელი იყო, არც კი გადაეშალა პატრონს.

ოთახის კუთხეში მიდგმულ მუხისაგან გამოთლილ და მოჩუქურთმებულ საწერ მაგიდაზე იაპონური ტრანზისტორი და კონიაკის ნახევრად გამოცლილი ბოთლი იდგა. იქვე ეწყო ავტომატური კალმები და ჯერ უნახავი, რაღაც უცნაური მოწყობილობა.

— ეს რაღაა, ბატონო მელა? — შეეკითხა შველი.

— შენი თვალით დაინახავ რაც არის, — ამაყად უპასუხა მელამ, მერე სათვალე გაიკეთა, გადაშალა მაგიდაზე დაწყობილი უწყისები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელი ფერმებიდან წამოიყვანა წიწილები, ერთ უწყისში რაღაც წაშალა, მერე კალამი დასდო, ღილაკს დააჭირა თითი, ის უცნაური მოწყობილობა ახმაურდა, დაიძრა, ქაღალდზე დაეშვა და შემდეგ ისევ აიწია.

— ახალი ავტომატური საშრობია, სან-ფრანცისკოდან ჩამოვიტანე. სხვათა შორის, აქ ჩვენს ტყეში ჯერ არავის არა აქვს.

ყველაფერი მექანიზებული ჰქონდა მელას: დააჭერდა ღილაკს თათს და სამზარეულოში ავტომატი წიწილას შესწვავდა, მეორე ღილაკს შეეხებოდა — ავტომატს შემწვარი წიწილა შემოჰქონდა, მესამეს — ნიორწყალი, მეოთხეს რომ ჩართავდა — მუსიკა უკრავდა და ა. შ.

უცებ ტელეფონმა დარეკა. მელაკუდამ დინჯად აიღო მილი:

— გისმენთ! წიწილების ახალი პარტია მოიყვანეს? ინკუბატორის ხომ არ არის? კარგი, ახლავე მოვდივარ.

დააჭირა ღილაკს ხელი და ეზოში მანქანა შემოსრიალდა.

...კეთილი შველი მთელი სამი წლის განმავლობაში ციხის კარზე იდგა და მელას საკანში უგზავნიდა თავის ხელით შემზადებულ ღარიბულ კერძებს.

ვლ. გოგიბერიძე



იუმორესკა

სიდედრი სასტიკ უარზე იყო.

— როგორ გეკადრებათ, დედა, აგერ უკვე მეშვიდე წელიწადია თქვენი სიძე ვარ და ჯერ არც ერთხელ არ დაგისვენიათ. ბოლოსდაბოლოს, მრცხვენია კიდეც. სხვისი სიდედრები წელიწადში ორ-სამ აგარაკს იცვლიან, თქვენ კი... — რაც შემეძლო ტკბილად ვლაპარაკობდი, ორ საათს ალარაფერი აკლდა, რაც სიდედრს ვევედრებოდი, რათა აგარაკზე გაყოლოდა ჩემს ცოლ-შვილს.

დავიღალე. იმედი გადამიწყდა. უცებ სიდედრმა თქვა:

— იყოს თქვენი ნება, მაგრამ იცოდეთ, რომ მე, იქ, ქობულეთში, ჩადილების კეთებას და ქვაბებს არ გადავყვები!

პასუხი არც გამიცია, ისე გავვარდი ბილეთების ასაღებად.

საღამოს, თბილის-ბათუმის მატარებელში ჩავსვი ჩემი ბიჭი, ცოლი და სიდედრი.

კუპედან რომ გამოვდიოდი, ცოლის ხმა დამეწია:

— რა ვქნა, ეს კაცი ისეა გადარეული, ნამდვილად ვიღაცას გადაეყარა!

— მოლჩი, კრომე ტებია სნიმ ნიკტო ნე სვიაჟეტსია, დურ ნა სვეტე ნეტ! — ჩაურუსულა სიდედრმა.

ჩემდა უნებურად გუნებაში რაღაც გავიფიქრე და მატარებლიდან ჩამოვედი.

გაწვიმდა. სახლში დავბრუნდი. კარებში შევჩერდი, ჩვეულებისამებრ ფეხსაცმლის გახდა დავაპირე, მერე გამახსენდა, რომ სამი თვე სრულიად თავისუფალი ვიყავი და შუა ოთახში კინაღამ დავლური დავუარე.

ტელევიზორი ჩავრთე, სავარძელში ჩავჯექი და ფეხები ფეხსაცმელებიანად დაბალ მაგიდაზე შევაწყე. უცებ სიცილი ამიტყდა:

— არ გაგიჟდებოდა, ეს რომ დაენახა? მოკეცდა ტუჩებს და მეტყოდა — ეტო ნე პრიანიატო, ნე ეტიჩნო, ვი ჟე ნე მუჟიკ, დარაგოი! — თან ირონიულად ჩაიღიმებდა, ვითომ სოფელში გაზრდილ კაცს კულტურა სად აქვსო, — მისი სახე ახლაც თვალწინ მიდგას! — ია ურაჟდიონაია ვახვახიშვილი..., როგორ გეკადრებათ!

ჩემი კანტორის უფროსს რა ვუთხრა, მეხუთე წელია მპირდება, ბინა უნდა მაინცდამაინც ცენტრში მოგცეო, აღარ დაადგა საშველი. ცენტრი კი არა... ეჰ, ჩასიძებული კაცის ბედი და იღბალი დალახვროს ეშმაკმა! აბა ესაა ცხოვრება? ძმაკაცი ვერ მომიყვანია, შუქი რაა, ისიც ვერ ამინთია, როცა მე მინდა!

მორჩა! ამ სამ თვეს უნდა ვიცხოვრო!

მეორე დღესვე ამხანაგებს დავუძახე. კარგად ვიქეიფეთ, მესამე დღეს ამხანაგები თვითონ მოვიდნენ და პირველი ჭიქით სიდედრები ვადღეგრძელეთ, მერე კი ერთმანეთს ძლივს ვცნობდით.

მოკლედ, ერთ კვირაში გატყდა ათი თეფში, თხუთმეტი ორთომელი, ერთი მაცივარი და ტელევიზორიც გადაიწვა.

სამშაბათს დილით სამსახურში მეზობლებმა დამირეკეს, ახლავე დაბრუნდიო. ონკანი ღია დამრჩენოდა და ქვემოთ მცხოვრებ მეზობელს ხუთიათასიანი რემონტი კინაღამ წყალში გადავუყარე.

ორ კვირაში ერთ დროს საკრესავით პარკეტი იპოდრომის მანეჟს დაემსგავსა. საქმე გართულდა. ჩაფიქრებული ვიჯექი, ზარის ხმამ გამომაფხიზლა. ფოსტალიონმა დეპეშა გადმომცა: „ბებიამ ხაერი ვერ აიტანა ვამგზავრებთ ორშაბატს ვაგონი ორი გკოცნი გია".

ორშაბათს დილით სასწრაფოდ გავაფორმე შვებულება, მერე აეროდრომისკენ წავედი და შუა დღეზე უკვე ბათუმის ქუჩებში დავაბიჯებდი.

ქობულეთისკენ მიმავალი ავტობუსი საღამოს შვიდ საათზე გადიოდა.

ნეტა თბილისში დაბრუნება საერთოდ თუ მიწერია...

გივი კონტრიძე.

გვადალქვივირის სანაპიროზე ჯორით მშვიდად მიმავალმა დონ ურტადომ ერთი არაბი დაინახა, იგი შუა გზაში იჯდა და თავის თავს ჭადრაკს ეთამაშებოდა.

არაფერია იმაზე უჩვეულო, ვიდრე მარტოდმარტომ ითამაშო ჭადრაკი. დონ ურტადომ ჯორი შეაჩერა და დიდხანს გაკვირვებული უთვალთვალებდა არაბის საქმიანობას. ის კი გართული იყო თამაშით, დიდხანს ფიქრობდა ვიდრე მორიგ სვლას გააკეთებდა; და საერთოდ ისე გატაცებული იყო, ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდა. ბოლოს დონ ურტადომ ვეღარ მოითმინა და არაბს შეეკითხა:

— რას აკეთებ?

— ვერ ხედავ, ჭადრაკს ვთამაშობ?

— როგორ? მარტო?

— მე მარტო არა ვარ.

— მეორე ვინღაა?

— ის, ვინც ყველგან სუფევს — ერთადერთი და ძლევამოსილი, ალაჰი — დიდ არს მისი სახელი!

— მაშ შენ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე გყოლია.

— ყოველ შემთხვევაში, ძლიერ სამართლიანი!

— ახლა მაგ პარტიას ვინ მოიგებს?

— ყველაფერზე ეტყობა, მე წავაგებ. ერთი სვლაც და შამათს გამომიცხადებს. დღეს მეტს აღარ ვითამაშებ.

— რატომ?

— მთელი ფული წავაგე.

— როგორ, ღმერთს ფულზე ეთამაშები?

— აგრეა. ამ პარტიაში ორმოცდაათი ოქრო წავაგე.

— კარგი, მაგრამ როგორ გინდა გადაუხადო ღმერთს ეგ ფული?

— ჩვეულებრივ, როცა მე ვაგებ, ღმერთი წარმომივლენს ვინმე კეთილ, ღვთისმოშიშ კაცს, რომელსაც მიაქვს ჩემგან წაგებული ფული და ღარიბებს უნაწილებს... ეს კი იგივეა, ვითომ ღმერთისათვის მიმეცეს. მე მწამს, რომ ალაჰმა დღეს შენ გამოგგზავნა ჩემთან. წაიღე ეს ფული და დაურიგე ღარიბებს.

არაჩვეულებრივად გახარებულმა დონ ურტადომ იფიქრა — ჭადრაკის ასეთი თამაში ხომ მეტად ჭკუის მასწავლებელი და სასიამოვნოც არის. ამიტომ, როცა მთელს ესპანეთში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დონ ურტადო იმავე გზით კორდოვაში ბრუნდებოდა, გადაწყვიტა კვლავ მოენახულებინა არაბი, და ეკითხა ისევ ხომ არ წაგიგია ღმერთთანო.

მართლაც, დონ ურტადო შეხვდა არაბს. იგი ისევ გზის შუაგულში იჯდა და არაჩვეულებრივი ყურადღებით თამაშობდა ჭადრაკს.

დონ ურტადო ახლოს გაჩერდა და დაუწყო ლოდინი პარტიის დამთავრებას.

— აბუ-რიზლან, ნუთუ დღესაც წააგე?

— დღეს არა. დღეს ბედი მიღიმის... კიდევ ერთი სვლა და ალაჰი შამათს მიიღებს.

— ძალიან კარგი. მაშ დღეს შენ მოიგე, არა?!

— დიახ, მე მოვუგე ალაჰს ხუთასი ოქრო.

— მერე და მაგ ფულს ვინ გადაგიხდის?

— ჩვეულებრივ, როცა ალაჰი წააგებს ხოლმე, წარმომივლენს ვინმე კეთილ, ღვთისმოშიშ ადამიანს, რომ გადამიხადოს მოგებული თანხა. მე მწამს, რომ დღეს შენ წარმოგავლინა ალაჰმა, რომ ხუთასი ოქრო გადამიხადო.

ამ სიტყვებით არაბმა თავზარდაცემულ დონ ურტადოს მკერდში დამბაჩა დაუმიზნა; დაღრეჯილმა და შეწუხებულმა ესპანელმა არაბს ოქროებით სავსე თავისი ქისა გაუწოდა.

თარგმნა ლილი წერონძემ.

# მოზაიკა



## დეპუტატთა სიხარული

ნევადის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) საკანონმდებლო კრების სპიკერმა ლოურენს იაკობსონმა ხუთ დეპუტატ ქალს აუკრძალა სხდომებზე შარვლებითა და მაქსი-კაბებით მოსვლა. იაკობსონის აზრით, ასეთი ტანსაცმელი არ ეკადრება ზემოხსენებული დაწესებულების პრესტიჟს, იაკობსონს, ამასთან ერთად, არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს მინი-კაბის მიმართ. მამაკაცი-დეპუტატები ფრიად გახარებულნი დარჩნენ, რომ აკრძალვა არ შეეხო მინი-კაბებს.



## ჟილეტი, რომელშიც ტყვია არ ატანს

როცა ყაჩაღი ვინმეს მოკვლას გადასწყვეტს, ცხადია, ჯერ იარაღზე ფიქრობს. ამერიკელი განგსტერისათვის ეს არ არის რთული პრობლემა. იქაური გაზეთები სავსეა სარეკლამო განცხადებებით სხვადასხვა სახის იარაღის გაყიდვის თაობაზე; ნახევრადავტომატური შაშხანა, მაგალითად, შეიძლება შეიძინოთ 80-დან 105-მდე დოლარის ფასად. ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ყოველ განგსტერს თავისუფლად შეუძლია იყიდოს 12 დოლარად და 95 ცენტად.

ყოველივე ამის შემდეგ, განა გასაკვირია, რომ მთელს მსოფლიოში ყველაზე მეტი დანაშაული ამერიკაში ხდება — 5 მილიონი სერიოზული დანაშაული ყოველწლიურად. მარტო ნიუ-იორკში, მიმდინარე წლის პირველ 12 კვირაში, რეგისტრირებული იქნა 335 მკვლელობა.



## ღირსეული ჯილდო

სტოკჰოლმში არსებობს „იუმორის აკადემია", რომელიც ყოველწლიურად იკრიბება და განიხილავს თუ ვის მისცეს წლიური პრემია. ახლახან აკადემიამ 1971 წლის პრემია მიანიჭა შვეციის ამინდის პროგნოზების ინსტიტუტს.

ჟიურის გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „ამინდის პროგნოზი გამოირჩევა დაუცხრომელი ფანტაზიით, რომელიც შერწყმულია პოეტური წარმოსახვის ძალასთან".



## ყველაზე გრძელი ულვაშები

დასავლეთში ვინ მოსთვლის რანაირ შეჯიბრებებს არ აწყობენ ფულის მოხვეჭით დაინტერესებული ადამიანები! ინგლისში ამას წინათ მოეწყო გრძელულვაშიანთა ჩემპიონატი. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ტიტული მოიპოვა ჯონ რომ. მისი ულვაშის სიგრძე — 125 სანტიმეტრია.

როგორც კი ეს ცნობა გამოქვეყნდა, რედაქციებში ატყდა ტელეფონების რეკვა, მკითხველებს აინტერესებდათ თუ როგორ ატარებს ჯონ როი თავის ულვაშებს — ქამარში აქვს ჩატანებული თუ მხრებზე ნაწნავებივით აქვს უკან გადაყრილი.

ინგლისური გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ჯონ როი შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონადაც, მანამდე, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე კუთხეში აღმოჩნდება მასზე უფრო გრძელულვაშიანი კაცი.



## „ბრალდებული" და ბრალმდებლები

გალილეო გალილეი, როგორც ეტყობა, მალე ალბათ რეაბილიტირებული იქნება ეკლესიის მიერ; ვენის არქიეპისკოპოსმა კარდინალმა კენიგმა გაზეთ „პაეზე სერას" კორესპონდენტთან ინტერვიუში თქვა, რომ მზის გარშემო დედამიწის ტრიალი, ახლა უკვე... თითქმის არავითარ ეჭვს აღარ იწვევს. შემდეგ არქიეპისკოპოსმა განაცხადა: „ვატიკანმა სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც გალილეო გალილეის საქმეს უნდა გადახედოს". თუმცა, — სწრაფად დაუმატა კარდინალმა, — მე ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ბრალდებული საბოლოოდ გამართლებული იქნება.

კომენტარები, მართლაც ზედმეტია!



## ფირმის საიდუმლო

მეხიკოს ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში ყველაზე პიკანტურ კერძებზე გამართული კონკურსი დიდი აურზაურით და სასამართლო პროცესით დამთავრდა.

რესტორნის შეფ-მზარეულმა რამირესმა კონკურსზე წარმოადგინა საკუთარი რეცეპტით დამზადებული კერძი — „ეშმაკის ფილე", კერძის ჭამის შემდეგ, ჟიურის ყველა წევრმა გონება დაჰკარგა და იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

გონს რომ მოვიდნენ, დაზარალებულებმა უმალ მოითხოვეს ეთქვათ მათთვის, თუ რისგან იყო შემზადებული საჭმელი.

რამირესმა უარი განაცხადა გაეხსნა საიდუმლო. ჟიურის წევრებს ისღა დარჩენოდათ, რომ სასამართლოში ეჩივლათ.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: აჭარის პეიზაჟები. ფოტო ივ. დვალისა და თარხან არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

სკპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/VIII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VIII-71 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 2880. უე 02123.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ოფელია — ც. ბალანჩივაძე, ჰამლეტი — ს. ტერეშჩენკო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამლეტი — ვ. აბულაძე.

# „ჰამლეტი“

„ჰამლეტი“ დიდი ხანია შეიყვარა ჩვენმა მაყურებელმა. მის განხორციელებას ქართულ სცენაზე არც ისე ხანმოკლე ისტორია აქვს. ამჯერად კი შექსპირის ეს უბადლო ქმნილება ქორეოგრაფიის ენაზე აამეტყველეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელოვანმა ქართველმა ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა და კომპოზიტორმა რევაზ გაბიჩვაძემ. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თ. მურვანიძეს, ლიბრეტო — ვ. ჭაბუკიანსა და ა. ხანდამიროვას, დირიჟორია — რესპ. სახალხო არტისტი ვ. ფალიაშვილი. „ჰამლეტის“ დადგმა — თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის უმნიშვნელოვანეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ფოტო
შ. ფიჩხაძისა



ოფელია — ნ. არობელიძე.

ჰერტრუდა — მ. მახარაძე, კლავდიუსი — ბ. მონავარდისაშვილი.





ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა